თხეულ იუშენ ნაშობნი მუცლისა შენისანი, ⁂ ნაუოფი ქუშჳანისა
შენისა მროწეულნი ზროსათა შენთანი, ⁂ სამწუსონი ცხოვართა
ე შენთანი ✡ კურთხეულ იუშენ საუნჯენი შენნი, ⁂ მონაგებნი შენ-
ნი ✡ კურთხეულ იო შესლვასა შენსა, ⁂ კურთხეულ იო გამოს-
ზ ლვასა შენსა ✡ მოგცეს შენ უფალმან ღმერთმან შენმან ყოველნი
მტერნი შენნი კელთა შენთა, ⁂ ყოველნი მგდომნი შენნი შემუსრ-
ნენ წინაშე პირსა შენსა ერთსა გსასა ზედა მოგიედენ შენ, შჯდ
ჳ გზით იქლტოდიან პირისაგან შენისა ✡ ⁂ მოავლინოს უფალმან
კურთხეგა შენ ზედა ⁂ საუნჯეთა შენთა ზედა, ⁂ ყოველსაე რასაცა
იქმოდის კელი შენი ქუშჳანასა მას რომელ იგი უფალმან ღმერთ-
თ ნმან შენმან მოგცეს შენ ✡ აღგადგინოს შენ უფალმან ღმერთმან
შენმან თავისა თჯსისა ერად წმინდად ვითარცა იგი ეფუცა მამათა
შენთა, სმენით თუ ისმინო კმაჲ უფლისა ღუთისა შენისაჲ ⁂ სჯ-
ი დოდი გზათა მისთა ✡ გიხილონ შენ ყოველთა ნათესავთა ქუშჳ-
ანისათა, რამეთუ სახელი უფლისა (ღუთისა) წოდებულარს შენ
ია ზედა ⁂ ეშინოდის შენგან ✡ ⁂ განგამრავლოს შენ უფალმან ღმე-
რთმან შენმან კეთილისა მიმართ, ⁂ განამრავლნეს ნაშობნი მუ-
ცლისა შენისანი, ⁂ ნაშობნი ცხოვართა შენთანი ნაუოფთაგან ქუშჳ-
ანასა შენსა, ქუშჳანასა ზედა რომელ იგი ეფუცა უფალი მამათა შენთა
იბ მოცემად შენდა ✡ ⁂ აღგიხუნეს შენ უფალმან ღმერთმან შენმან სა-
ფასენი იგი კეთილნი, ცათანი: ⁂ მოსცეს წჯმაჲ ქუშჳანასა შენსა ჟამსა
შინა თჯსსა მსთუშჳდი ⁂ მცხუშჳდი, ⁂ აკურთხნეს ყოველნი საქმენი
კელთა შენთანი, ⁂ ავასხებდე შენ ნათესავთა მრავალთა, ხოლო შენ
არა იავასხებდე: ⁂ მსთავრობდე შენ ნათესავთა ზედა მრავალთა, ხო-
იგ ლო შენ არა ვინ გმთავრობდის ✡ ⁂ დაგამტკიცოს შენ უფალმან
ღმერთმან შენმან თავად ⁂ არა ბოლოდ, ⁂ იო შენ სეშთა მაშინ
ყოველთა, ⁂ არა ქუშჳმო, ისმინე თუ მცნებანი უფლისა ღუთისა
იდ შენისანი, რომელთა ესე გამცნებ, დამარხუად ⁂ ყოფად მათდა ✡ ⁂
არა გარდაქციო ყოველთა ამათ სიტყუათა, რომელსა მე გამცნებ
დღეს, მარჯულ არცა მარცხულ, ვითარმცა შეუდეგ შენ კე-

რჱთა უცხოთა მსახურებად მათდა ✿ ⁂ [1] იოს უკეთუ არა ისმინოთ იე
თქუჱნ კმაჲ უფლისა ღუთისა თქუჱნისა, დამარხუად ⁂ ყოფად ეო-
ველთა მცნებათა მისთა რომელთა ესე მე გამცნებ შენ დღეს: ⁂
მოიწინენ შენ ზედა ყოველნი ესე წუეანი, ⁂ გჱოონ შენ ✿ ⁂ იე
წუეულ იუო შენ ქალაქთა შენთა ⁂ წუეულ იუო შენ ველთა გარე ✿
⁂ წუეულ იუნენ საუნჯენი შენნი, ⁂ მონაგებნი შენნი ✿ წუეულ იზ,იჱ
იუნენ ნაშობნი მუცლისა შენისანი, ⁂ ნაუოფნი ქუჱყანისა შენისა,
მრწუეულნი ზროხათა შენთანი, ⁂ სამწყსონი ცხოვართა შენთა-
ნი ✿ წუეულ იუო შენ შესლვასა შენსა, ⁂ წუეულ იუო შენ გამოს- ით
ლვასა შენსა ✿ ⁂ მოაჳლინოს შენ ზედა უფალმან უჱოვარება ⁂ კ
ნაკლულოვანება, ⁂ უნაუოფოება მსჴობი ეოველსა რომელსა მიჰჳო
ჴელი შენი რაოდენი უკუნ ჰჳო ვიდრემდის მოგსჴოს შენ, ⁂ წარ-
გუემიდოს მსთუად, ბორკტთა საქმეთა თჳს წუეებასა შენთასა, რა-
მეთუ დაუტეე უფალი ღმერთი შენი ✿ ⁂ მოაჳლინოს შენ ზედა კა
უფალმან სიკუდილი, ⁂ მოსრვა ვიდრემდის მოგასრულოს შენ
ქუჱყანისა მისგან, რომელსა იგი შესჳალ დამკჳდრებად მუნ ✿ ⁂ კბ
გეუნჴოს შენ უძლურებითა, ⁂ სენითა სიცხისათა, ⁂ ცხროთა, ⁂ წერტი
თა უსაზომოთა, ⁂ კაცის კლვითა, ⁂ გუნჴმითა ხორშაკისათა, ⁂
გჳნითა ⁂ დადანდლუკითა, ესე ეოველი მოიწიოს შენ ზედა ⁂ მოგ-
სჴოს შენ ✿ ⁂ [2] გექმნეს შენ ცაჲ ზესკნელ თაჳსა შენისა ვითარცა კგ
რვალი, ⁂ ქუჱყანა ქუჱშე შენსა ვითარცა რკინა ✿ გარდააქციოს კდ
უფალმან ღმერთმან წჳმაჲ იგი ქუჱყანისა მის შენისა მტუჱრად, ⁂
ვითარცა მიწა ცით გარდამო ⁂ მოსცჳოდის შენ ზედა, ვიდრემდის
შეგმუსროს შენ ⁂ წარგუემიდოს შენ მსწრაფლ ✿ ⁂ მიგცეს შენ კე
უფალმან შენმან ძლეგასა წინაშე მტერთა შენთასა, ერთით გზით
მოადგე შენ მათდა, ⁂ შჳდით გზით მეოტად წარქცეული იჳლტოდი
ჰირისაგან მათისა ⁂ განგაბნიენოს შენ უფალმან ეოველთა შორის
შარავანდედებთა ⁂ ნათესაჲთა ქუჱყანისათა ✿ ⁂ იოს მსორები კვ
თქუჱნი საჭმელად მფრინველთა ცისათა, ⁂ მკეცთა ქუჱყანისათა ⁂
არა ვინ იოს განმარინებელ თქუჱნდა ✿ ⁂ გეუნჴოს შენ უფალმან კზ

[1] გ მოსე კკ. ნუშტ. ბ. მადაჭია ბ. ბარუქ ა.— [2] გმოსე კკ.

სალმობითა მეგჯჰტელთათა, სენითა მით საგურჯუშლისათა ⁂ მდე-
რითა უცხოთა, ⁂ ფხანითა განუკურნებელითა, ⁂ სალმობითა
კშ რომელსა ვერ განერე ✿ ⁂ გეშმოს შენ უფალმან წყლულებითა
განუკურნელებითა ⁂ ბრმობითა, გონებისათა იოო შენ ვითარცა
კთ ბრმაჲ ✿ ⁂ იოო შუაჲ სამხრის ეფეშუნობდი, ვითარცა ეფეშუნებიან
ბრმანი ბნელსა შინა, ⁂ არა წარეკმართნენ გზანი შენნი, ⁂ იოო
შენ ვნებულ, ⁂ მიმოტაცებულ ყოველთა დღეთა, ⁂ არა ვინ იოს
ლ შენდა მწე ✿ ცოლი მოიუშანო შენ, ⁂ სხუამან კაცმან შეირთოს
იგი ცოლად; სახლსა იშენებდე, ⁂ ვერ დაემკჳდრო მას შინა, რჳსა
ლა დაასხმიდე, ⁂ სხუათა მოისთლონ იგი ✿ უსხი შენი დაკლულ იოს
შენ წინაშე, ხოლო შენ არა შჯამო მისგან არამედ სხუათა შეჯამონ
იგი, კარაული შენი მიეტაცონ შენგან ⁂ კეალად არაგინ გაგოს შენ,
საცხოვარი შენი მიცემულ (იოს) კელთა მტერთა შენთასა, ⁂ არა
ლბ ვინ იოს შენდა მწე ✿ მენი შენნი, ⁂ ასულნი შენნი მიცემულ
(იუნენ) ნათესავთა სხუათა, ⁂ თუალნი შენნი ხედვიდენ წარტეე-
ნულთა შენგან, ⁂ არა კელ ეწიფოს კელსა შენსა გამოღებად ✿
ლგ ნაუოფსა ქუეყანისა შენისასა, ⁂ ყოველთა ნაშრომსა კელთა შენ-
თასა შესჭამდეს ნათესავი უცხოჲ, რომელი არა იცოდი, ⁂ იოო
ლდ შენ მიხვეჭილ ⁂ ვნებულ ყოველთა დღეთა შენთა ✿ ⁂ იოო შენ
კალბებულ, ხილვითა მით თუალთა შენთათა, რომელსა იკი ხე-
ლე დვიდე შენ ✿ ⁂ დაგცეს შენ უფალმან. სალმობითა ბოროტითა მუ-
კლთა, ⁂ წვივთა შენთა ზედა ვნებითა რომლითა ვერ განიკურნო ⁂
იეშმო შენ, ტერფით ფერჳთა შენთაგან ვიდრე თხემად თავად შენ-
ლვ დამდე ✿ ⁂ მიცეს უფალმან შენ, ⁂ მთავარნი იკი შენნი, რო-
მელნიცა დაედგნენ შენ ზედა, ნათესავსა უცხოსა, რომელ არა იცო-
დი შენ, ⁂ არცაღა მამათაჲ მათ შენთა, ⁂ მსახურებდე შენ მუნ კერპ-
ლზ თაჲ უცხოთა, ბელისა ⁂ ქჳსათა ✿ ⁂ იოო შენ მუნ საბასრობელად,
⁂ იჳავად, ⁂ მისათხრობელად ყოველთა შორის ნათესავთა, ვიდრე-
ლშ ცა მიგიუშანოს შენ უფალმან (ღმერთმან) შენმან მუნ ✿ [1] თესლი
დიდად განთესო ყანობირსა შენსა, ⁂ მცირედ შეკრიბო იკი, რამე-

[1] მოქ. კ. ხგბ. ა.

თუ შჯამოს იგი მკალმან ✿ ვენაცსა ასხმიდე, ⁂ ღჯნო არა სგაჯ, ლთ
⁂ არცადა იხარებდე მისგან, რამეთუ შჯამოს იგი მგრაგნელმან ✿
ზეთის ხილი იოს ყოველთა საზღუართა შენთა, ⁂ ზეთი არა მ
ჰჰოო ცხებად, რამეთუ უჟამოდ დასცვეს ზეთის ხილი იგი ✿ მეებ მა
⁂ ასულებ ისხნე, ⁂ არა სარგებელ გეყუნენ შენ, არამედ წარისხნენ
იგინი ტუუწდ ✿ ყოველი ნერგი ხისა შენისა, ⁂ მცენარე ქუწყანი- მბ
სა შენისა, მოჰყოცოს მგრაგნელმან ✿ მწირი იგი ⁂ მსხემი რო- მგ
მელი იოს შენ შორის, ამაღლდეს უზეშთაეს შენსა, ხოლო შენ
დაჰგდე დამართ ⁂ იუო შენ ნაკლულევან ✿ იგი გაჟასხებდეს შენ ⁂ მდ
შენ არა იპოო რათამცა უკუნ სცე, იგი იოს თავ შენსა, ხოლო
შენ იუო ბოლო ✿ ⁂ მოიწინენ შენ ზედა ყოველნი ესე წუევანი ⁂ მე
განგდევნონ ⁂ გეწინენ შენ, ვიდრემდე მოგასრულნეს შენ, ⁂ წარ-
გწუმიდონ შენ, რამეთუ არა ისმინე შენ კმაჲ უფლისა შენისა, და-
მარხვად მცნებათა ⁂ სამართალთა მისთა რომელნი იგი გამცნო
შენ ✿ ⁂ იოს შენ შორის სასწაულები ⁂ ნიშები ⁂ ნათესავსა შე- მვ
ნსა შორის უკუნისამდე კამთა ✿ ამისთჯს რამეთუ არა მსახურებდ მზ
უფალსა ღმერთსა შენსა სიხარულით, ⁂ გულ წრფელობით სიმრა-
ვლისათჯს ყოველთასა ✿ ⁂ მსახურებდე შენ მტერთა შენთა რომელ მწ
მოავლინოს უფალმან ღმერთმან შენ ზედა შიმშილითა ⁂ წყურ-
ვილითა, ⁂ შიშლოებითა, ⁂ ნაკლულოვანებითა ყოველისაგან, დაგ-
დვას შენ ჯაჭვი რკინისა ქედსა შენსა, ვიდრემდე მოგსპოს შენ ✿
მოავლინოს შენ ზედა უფალმან ღმერთმან შენმან, ნათესავი იგი მთ
შორიელი კიდითგან ქუწყანისათ, რომელნი გბრდღჯნვიდენ ვითარ-
ცა ლომნი, ⁂ გეტევებოდენ ვითარცა ორბნი, ნათესავი რომლისა
არა გესმა კმაჲ მისი ✿ ნათესავი ურიდი ჰირითა, რომელმან არა ნ
თვალ ახუნეს მოხუცებულისა სიბერესა, ⁂ არცადა შეიწყალოს
ურმაჲ ჩჩჯლი ✿ ⁂ შეჯამნეს ამან ნაშობნი საცხოვართა შენთანი, ნა
⁂ ნაოფი ქუწყანისა შენისა, ⁂ არა დაგიშთეს შენ იფქლი, ⁂ არცა
ღჯნო, ⁂ ზეთი, ⁂ ზროხანი მრწოლთა შენთანი: ⁂ არ-
ცა სამწუსონი ცხოვართა შენთანი, ვიდრემდის მოგასრულონ შენ ✿
აღგფხურას შენ ქალაქთაგან შენთა, რომელთა დამკჯდრებულ იუო, ნბ

ჴ დაამჭუნეს ზღუდენი იგი შენნი მაღალნი ჴ ძნელნი, რომელთა
იგი შენ ესევდი, ყოველსა მას ქუჱყანასა შენსა, ჴ შეგიცვან შენ
ჴ შეგაურვონ ყოველთა მათ შინა ქალაქთა შენთა, რომელნი მოგ-
ნგ ცნა შენ უფალმან ღმერთმან შენმან ✿ ჴ შეშჯამდე შენ ნაშობთა მუ-
ცლისა შენისათა ჯორცთა ძეთა, ჴ ასულთა შენთასა, რომელნი მო-
გცნა, უფალმან ღმერთმან შენმან იწროებითა მით, ჭირისა შენისა-
ნდ თა, გაჭირვებდენ რა შენ მტერნი იგი შენნი ✿ ჭაბუკნი თქუჱნ
შორის ჴ ურმანი ფრიად ფუფუნეულნი თვალ ძჯრ იქმნენ ძმისა
თჯსისა თჯს, ჴ ცოლისა თჯს, რომელი იყოს უბეთა შინა მისთა,
ნე ჴ ნეშტთა მათ შჯლთა, რომელიცა დაუშთეს მას ✿ არა მიცემად
თჯთეულთა მათდამი ჯორცთაგან ნაშობთა მისთასა, რომელთა იგი
ჭამდეს, რამეთუ არა რაჲ დაუშთა მას იწროებასა მის ჴ ჭირსა
შინა, რომელთა გაჭირვებდენ შენ მტერნი შენნი, ყოველთა შინა
ნვ ქალაქთა შენთა ✿ ჴ ჭაბუკი თქუჱნ შორის (ცოლი) ჴ ურმანი
ფრიად, რომელმან რაჲთურთით არა იცოდის გამოცდილება სიფი-
ცხლისა, ჴ არცა დაედგას ფერჯი ქუჱყანასა ზედა, სიჩჩოთ ფუფუ-
ნებისა მისისათ, თვალ-ძჯრ იქმნეს ქმრისათჯს, რომელი იყოს
ნზ წიაღთა მისთა, ჴ შჯლთა ჴ ასულთა თჯსთა თჯს ✿ რომელნი იგი
გამოსრულ იუნენ წუჯლთაგან მისთა, ჴ შჯლსა მისსა რომელსა
შობდეს შეჭამდეს იდუმალ, უჰოვარებისა თჯს ყოველთა ჭირთა მათ
ჴ იწროებათა მათისათა, რომელსა იგი გაჭირვებდეს მტერი
ნჩ იგი შენი, ყოველთა შინა ქალაქთა შენთა ✿ არა თუ ისმინო შენ
ყოფად ყოველთა ამათ სიტყუათა შჯულისათა, რომელ ესე დაწე-
რილ არიან წიგნსა ამას, ჴ გეშინოდის შენ სახელისა მის ჰატიო-
ნთ სნისა ჴ დიდებულისა უფლისა ღუთისა შენისა ✿ ჴ განაძლიერნეს
უფალმან გუჱშჰმანი იგი შენნი, ჴ გუჱშჰმანი ნათესავისა შენისანი,
გუჱშჰმანი იგი დიდ დიდნი ჴ საშინელნი, სენითა მით ჰირად ჰირა-
ჲ დითა ჴ ბოროტითა ✿ ჴ მოიქცენეს შენ ზედა სალმობანი იგი
მეგჯპტელთანი ძჯრ ძჯრადნი, რომელთაგან იგი შეძრწუნებულ
ჲა იყავ ჰირისაგან მათისა, ჴ მოვიდენ შენ ზედა ✿ ყოველნი ესე გუჱშ-
მანი, ჴ სალმობა რომელ იგი წერილარს ჴ რომელ იგი არა წე-

რილ არს წიგნსა ამას შჯულისასა, მოაგლინოს იგი უფალმან შენ
ზედა, ვიდრემდის მოგსპოს შენ ✿ ⁂ დაშთეთ თქუენ რიცხჳთ დგ
მცირედ ნაცვლად მისა რამეთუ იყუნეთ თქუენ სიმრავლითა ვითა-
რცა გარსკულავნი ცისანი, ამისთჳს რამეთუ არა ისმინეთ თქუენ
კმაჲ უფლისა ღუთისა თქუენისა ✿ ⁂ იყოს ვითარცა მხიარულ დდ
იყო უფალი კეთილის ყოფასა მას თქუენსა, ⁂ განმრავლებასა
თქუენსა, ეგრე მხიარულ იყოს უფალი თქუენი, მოსრფასა მას
თქუენსა, ⁂ აღკოცასაჲ ქუეყანისა მისგან, რომელსა შეხვიდეთ
დამკჳდრებად მუნ ✿ ⁂ განაბინივეს თქუენ უფალმან ღმერთმან დე
თქუენმან ყოველთა მიმართ წარმართთა კიდითგან ქუეყანისა ვი-
დრე კიდემდე მისა, ⁂ მსახურებდეთ თქუენ ღმერთთა უცხოთა ქჳსა
⁂ ძელისათა, რომელ იგი არა იცოდი შენ ⁂ მამთა შენთა ✿ არა- დვ
მედ წარმართთა მათ შორის არავე განისვენო შენ ⁂ არცადა დგო-
მაჲ იყოს ფერჴთა შენთა, ⁂ მოგცეს შენ უფალმან ღმერთმან შენმან
გული ჭუვნიერი, ⁂ თჳალნი ნაკლულოვანი, ⁂ სული განკაფუ-
ლი ✿ ⁂ იყოს ცხოვრება შენი დამოკიდებულ წინაშე თჳალთა შენ- დზ
თა, ⁂ შეშინებული იყო შენ დღე ⁂ ღამე, ⁂ არა გრწმენეს შენ ცხო-
ვრებაჲ თავისა შენისა ✿ განთიად სთქუა: ოდესმე დაღამდეს, ⁂ დჱ
მწუხრი სთქუა: ოდესმე განთენდეს: შეძრწუნებითა მით გულისა შე-
ნისათა ⁂ შეშინებითა მით, ხილვისა მის თჳალთა შენთასა რომელ-
სა იგი ხედვიდე შენ ✿ ⁂ მიგაქციოს შენ უფალმან მუნვე ეგჳპტედ დთ
ნაებითა, ⁂ გზასა მას, რომელსა იგი გარქუ თქუენ, არღარა შეს-
მინოთ თქუენ მოქცევად აქავე, მიგუიდნეს თქუენ კელთა მტერთა
თქუენთასა, მონად ⁂ მჳეველად ⁂ არა ვინ იყოს რომელმანცა გიყი-
დნა თქუენ.

თ ა ვ ი ქთ.

ესე სიტყუანი არიან შჯულისანი რომელ ამცნო უფალმან ა
მოსეს მიცემად წინაშე ძეთა მათ ისრაჱლისთა, ქუეყანასა მას მოა-
ბისასა, თჳნიერ აღთქმისა, რომელი ამცნო მათ უფალმან მთასა მას
ქორებსა ✿ ⁂ მოუწოდა მოსე ძეთა უოველთა მათ ისრაჱლისათა ბ

ა ⁂ [1] ჰკრქუა მათ: თვალთა თქუჳნთა იხილეს რაჲ იგი უყო უფალ-
მან ქუჳყანასა მას ეგჳპტისასა ფარაოს ⁂ ყოველსა მას ერსა მის-
ბ სა ⁂ ყოველსა ქუჳყანასა მისსა წინაშე თქუჳნსა ✠ ⁂ განსაცდელი
იგი დიდ დიდი რომელი იხილეს თვალთა თქუჳნთა, სასწაულები
დ ⁂ ნიშები დიდ დიდები, კელი იგი მტკიცე, ⁂ მკლავი მაღალი ✠ ⁂
არა მოგცა თქუჳნ უფალმან ღმერთმან თქუჳნთან გული მეცნიერი,
⁂ თვალნი მხილველნი, ⁂ ყურნი მსმენელნი ვიდრე დღეინდელად
ე დღედმდე ✠ ⁂ [2] მოჰვავნდით თქუჳნ ორმეოც წელ უდაბნოსა, სა-
მოსელი თქუჳნი არა დაძველდეს ⁂ კაბანი თქუჳნნი არა განკუ-
ვ დეს ფერჴთაგან თქუჳნთა ✠ ხორი არა შჭამეთ, ⁂ ღჳნო ⁂ თაფლუ-
ჭი არა სუით, რათა გულის ხმა ჰყოთ, რამეთუ იგი არს უფალი
ზ ღმერთი თქუჳნი ✠ ⁂ მოხვედით ვიდრე ამა ადგილადმდე, ⁂ [3] გა-
მოგიყდა თქუჳნ სეონ მეფე ესებონელთა, ⁂ ოგ მეფე იგი ბასანი-
ჱ სა, შემთხუევად ⁂ წეობად ჩუენდა ✠ ⁂ მოვსრენით იგინი ბრძოლასა
ზედა, ⁂ დავიჭერთ ქუჳყანა იგი მათი, ⁂ მიგეც იგი ნაწილად რუ-
თ ბენს, ⁂ გადს, ⁂ კერძოსა მას ნათესავსა მანასესსა ✠ დაიმარხვი-
დეთ ყოველთა ამათ მცნებათა შჯულისათა ⁂ ყოფდეთ მათ, რათა გუ-
ი ლის კმა ჰყოთ ყოველი რასაცა იქმოდეთ ✠ აწ ეგერა წარმოდგო-
მილ ხართ თქუჳნ, დასდგათ დღეს წინაშე უფლისა ღუთისა თქუჳნ-
ნისა, ერის თავნი ეგე ნათესავთა თქუჳნთანი, ⁂ მოხუცებულნი ეგე
თქუჳნნი, ⁂ მსაჯულები ეგე თქუჳნი, ⁂ შჯულის მწიგნობარნი
ია ეგე წინამძღუარნი თქუჳნნი, ⁂ ყოველი კაცი ისრაელისა ✠ ⁂
ცოლნი თქუჳნნი ⁂ შვილნი თქუჳნნი, ⁂ მწირნი თქუჳნნი რო-
მელ ეგე არიან ბანაკსა შორის თქუჳნსა, შეშის მკაფელითგან
იბ თქუჳნთა წუალისა მავსებელამდე თქუჳნთა ✠ ნუცა ვინ გარდავალს
მცნებათა ამათ შჯულისათა უფლისა ღუთისა თქუჳნისა, ⁂ წუევათა
მისთა, რომელი ესე გამცნო უფალმან ღმერთმან შენმან შენ დღეს
იგ დღე ✠ დაგადგინოს შენ თჳსად ერად, ⁂ იგი იყოს შენდა ღმერთი,
ვითარცა იგი ქადგომდა შენ, ⁂ ვითარცა იგი ეფუცა მამათა მათ
იდ შენთა, აბრაჰამს, ისაკს, ⁂ იაკობს ✠ ⁂ არა თჳთ თქუჳნ ერთსა

[1] ბ მოსე ით.—[2] ზემორე ⁂.—[3] ზემორე გ. დ მოსე კა.

სოლო, დაგიდებ მე მცნებასა ამას სჯულისასა ✠ წუეგასა ამას ✠
არამედ მათცა რომელნი ესე დღეს თქუჱნ შორის არიან, წინაშე იე
უფლისა ღუთისა თქუჱნისა, ✠ მათცა რომელნი იგი არა თქუჱნ
შორის არიან დღეს ✠ რამეთუ თქუჱნ თჳთ უწყით ვითარ იგი და- ივ
მკჳდრებულ ვიუეენით ქუჱყანასა მას ეგჳპტისასა: ✠ ვითარ იგი
გამოვედით ჩუჱნ, შორის წარმართთასა, რომელსა თანა წარვლეთ ✠
✠ იხილენით თქუჱნ, უოველიუე იგი სამსახურებელი ბილწებისა იზ
მათისა კერპნი იგი მათნი, ბელისა ✠ ქვისანი, ვეცხლისა ✠ ოქრო-
სანი, რომელნი იუენ მათთანა ✠ ნუ უგუნისამდე იუოს ვინმე იჱ
თქუჱნგანი მამა-კაცი გინა თუ დედა-კაცი, ნათესავთა შორის, ანუ
თუ ტომთა, რომლისა გონება განდრეკილ იუოს უფლისაგან ღუთი-
სა თქუჱნისა, ✠ შეუდგეს მსახურებასა კერპთა მათ წარმართთასა;
ნუ უგუნისამდე იუოს გინმე თქუჱნ შორის რომლისა თანა აღმო-
ცენებულ იუოს ძირი, ნაღუელისა ✠ სიმწარისა ✠ ✠ იუოს ისმინოს იი
თუ სიტჳებანი ამის წუეგისანი, დაიდგას გულსა შინა, ✠ თქუას: ესე
უმჯობეს არს ჩემდა, რათა საცთურსა თუ გულისა ჩემისასა მიეს-
დეუედე მე, შედგომად მისა; ✠ წარწუმდეს უცოდველი იგი ცოდვილი-
სა თანა ✠ ✠ არღა უნდეს ღმერთსა შენდობად მისა, მაშინ აღატჳდეს კ
რისხუა უფლისა, ✠ შური მისი კაცისა მის ზედა, ✠ ეწიენეს მას
წუეგანი იგი ამათ მცნებათანი, რომელნი იგი წერილ არიან წიგნსა
ამას შჯულისასა, ✠ აღჳოცოს უფალმან ღმერთმან სახელი მისი
ქუჱყანისა მისგან ✠ ✠ განეყოს იგი უფალმან ღმერთმან საბოროტ- კა
ტოდ ოველთაგან მეთა ისრაელისათა, მსგაუსად ოველისა მის
წუეგისა, რომელი იგი წერილ არს წიგნსა მას შჯულისასა ✠ ✠ კბ
თქუან ნათესავთა მათ ახალთა, ნაშობთა მათ თქუჱნთა, რომელნი
აღდგენ შემდგომად თქუჱნისა, ✠ უცხოთა მათ, რომელნი მოსრულ
იუნეს შორის ქუჱყანისაგან თქუჱნდა, ✠ იხილნენ გუჱმანი ქუჱყ-
ანისა მის, ✠ სალმობანი სნეულებისანი რომელნი მოაგლინოს
მას ზედა უფალმან, წუნწუბა ✠ მარილი დამწუჱლი: ნუ იჰოებინ
ქუჱყანასა მათსა, თესლი თესვისა, ნუცა საძოგარი კარისა, ✠ არცა
აღმოსცენდეს მათ ზედა მწუანვილი თივისა, ✠ არცა აღმოჯდეს,

არამედ [1] ვითარცა დაიქცა სოდომა ⁂ გომორა, ადამა ⁂ სებოჲმი, რომელი იგი დააქცია უფალმან რისხჳთა ⁂ გულის წურომითა [2]
კბ მისისათა ✿ ⁂ თქუენ ყოველთა ნათესავთა: რაჲსათჳს ესრეთ უო უფალმან ღმერთმან, ქუჱყანასა ამას, ანუ რაჲმე არს რისხუა ესე
კდ დიდი ✿ ⁂ თქუენ ამის გამო, რამეთუ დაუტეეს მცნებაჲ იგი უფლისა ღუთისა თჳსისა, რომელი ამცნო მამათა მათთა, რაჟამს გა-
კე მოიუანნა იგინი ქუჱყანით ეგჳპტით ✿ ⁂ მიჲიდეს ⁂ მსახურებდეს ღმერთთა სხუათა, ⁂ თაუუანისცეს მათ რომელ იგი არა იცოდეს,
კვ ⁂ რომელი არა მისცა მათ არცა ერთი ✿ ⁂ განრისხნა გულის წურომითა უფალი ქუჱყანასა მათსა ზედა, რომელ მოაჲლინა მათ
ზედა მსჯაჲსად წუეგითა მათ აღთქმისათა, რომელი წერილ არს წიგნსა
კზ მას შჯულისასა ✿ ⁂ აღჲოცნა იგინი უფალმან ქუჱყანისა მისგან მა-
თისა რისხჳთა მით გულის წურომისა მისისათა, რამეთუ განრის-
ხნა მათ ზედა ფრიად, ⁂ განჲადნა იგინი ქუჱყანად უცხოდ,
კჱ მოაქა ჯამადმდე ვითარცა აწ ✿ დაფარულნი უფლისა ღუთისა ჩუჱ-
ნისა, ხოლო განცხადებულნი ჩუჱნდა, ⁂ შჯულთა ჩუჱნთა უკუნი-
სამდე, ეოფად ეოველთა ამათ სიტყუათა შჯულისათაჲ.

თ ა ვ ი ლ.

ა **დ**ა იეოს რაჟამს მოიწიენეს შენ ზედა ეოველნი ესე სიტყუა-
ნი, კურთხეგისა ⁂ წუეგისანი, რომელ ესე მიგეც შენ წინაშე ჰირსა
თქუჱნსა, შეიწუნარნე ეგე გულსა შენსა ეოველთა შორის წარმართ-
თა რომელსა შინა განგაბნიოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან
ბ შენ ✿ ⁂ [3]. მოიქცე შენ უფლისა ღუთისა შენისა ⁂ ისმინო კჱდ მი-
სი რომელსა ესე მე გაგჱცნებ შენ დღეს დღე, შენ ⁂ მეშან შენმან, ⁂
ჰჳო იგი ეოველითა გულითა შენითა ⁂ ეოველითა ეონებითა შენი-
გ თა ✿ ⁂ გილხინოს შენ უფალმან შენმან ცოდუთა შენთაგან, ⁂ შე-
გიწუალოს შენ, ⁂ კუალად, შეგკრიბოს შენ უფალმან ღმერთმან შე-
ნმან, ეოველთაგან ნათესავთა, რომელსა იგი შენ განბნეულ იეო
დ შენ ✿ ⁂ [4]. განღათუ ბნეულ იეო შენ კიდითგან ცისა ვიდრე კიდე-
მდე ცისა მის, მიერცა შემოვეკრიბოს შენ უფალმან ღმერთმან შე-

[1] ა მოსე ით.—[2] გ მეფ. თ კრებ. კბ.—[3] ფსალმუნი რვ.—[4] კზდრა ა.

ნმან, ⁂ [1] მოგიყვანოს შენ ✿ ⁂ შეგიყვანოს შენ ქუჱყანასა მას ე
რომელსა დამკჳდრებულ იყვნეს მამანი იგი შენნი, დაიმკჳდრო
იგი ⁂ კეთილი გიყოს შენ, ⁂ განგამრაჭლოს შენ უფროს მამათა
მათ შენთა ✿ ⁂ განწმიდოს უფალმან გული შენი, ⁂ გული ნათე- ვ
საჲსა მის შენისა, შეყვარებად უფლისა ღუთისა შენისა, ყოვლითა
გულითა შენითა, ⁂ ყოვლითა ღონებითა შენითა, რათა სცხოვნდე
შენ ✿ ⁂ მიავლინოს უფალმან ღმერთმან შენმან წყევა ესე მტერთა ზ
მათ შენთა ზედა, ⁂ მოძულეთა შენთა, რომელი იგი გდევნიდეს
შენ ✿ მოთუ იქცე შენ, ⁂ ისმინო ჴმაჲ უფლისა ღუთისა შენისა, ჱ
⁂ ჭეუნე ყოველნი მცნებანი მისნი, რომელსა ესე მე გამცნებ შენ
დღეს დღე ✿ ⁂ დღეგრძელ ყოს შენ უფალმან ღმერთმან შენმან, ⁂ თ
განგიმრაჲლნეს ყოველნი საქმენი კელთა შენთანი, ⁂ ნაშობნი მუ-
ცლისა შენისანი, (⁂ ნაყოფი ქუჱყანისა შენისა) ⁂ ნაშობნი ცხო-
ვართა შენთანი, ⁂ სცხოვრებდე ქუჱყანასა შინა შენსა, რამეთუ
მოიქცეს უფალი ღმერთი შენი, ⁂ იხარებდეს შენდა მიმართ კეთი- ი
ლის ყოფითა, ვითარცა იგი იხარებდეს მამა შჯლთა ზედა ✿ უკე-
თუ ისმინო ჴმაჲ უფლისა ღუთისა შენისა, ⁂ დაიმარხნე ყოველნი
მცნებანი მისნი ⁂ ჭეუნე ყოველნი სამართალნი მისნი ⁂ მშჯავრნი
მისნი, რომელ ესე წერილ არიან წიგნსა მას შჯულისასა; მოთუ
იქცე უფლისა ღუთისა შენისა, ⁂ ყოვლითა სულითა შენითა ⁂
ყოვლითა გულითა შენითა ყოველთაგან ✿ რამეთუ მცნება ესე ია
რომელსა მე გამცნებ შენ დღეს, არა სიმძიმე რაჲმე არს შენდა,
არცა განშორებულ არს შენდა ✿ [2] არცა ზეცას არს, სთქუა რა: იბ
თუ ვითარმედ ვინ აღჯდეს ჩუჱნგანი ზეცად, ⁂ მოგჳართუას იგი
ჩუჱნ, რათა ვისმინოთ ⁂ გუოთ იგი ✿ არცაღა ზღუასა წიაღ არს, იგ
სთქუა თუ: ვითარმედ ვინ წიაღჰჴდეს ზღუასა ⁂ წიაღმოგჳართუას
იგი ჩუჱნ, რათა ვისმინო ჩუჱნ ⁂ ვჰყოთ იგი ✿ მახლობელ არს იდ
შენდა სიტყუა იგი ფრიად, ჴირსა შენსა შინა არს, ⁂ გულსა შენსა,
⁂ კელთა შენთა შინა არს ყოფად მისი ✿ აჰა ესერა მომიცემიეს იე
თქუჱნ წინაშე დღეს დღე, ცხოვრებაჲ ⁂ სიკუდილი, კეთილი ⁂ ბო-

[1] ბ მოსე ა ⁂ ბ.—[2] რომაელთა ი.

რტი ✿ ისმინნეთ თუ მცნებანი უფლისა ღუთისა შენისანი, რო-
მელსა ესე მე გამცნებ შენ დღეს, ⁂ შეიყვარო შენ უფალი ღმერთი
შენი, ⁂ ხჳდოდი ყოველთა გზათა მისთა, ⁂ დაიმარხენ ყოველნი
მცნებანი მისნი, ⁂ სამართალნი მისნი, ⁂ მშჯავრნი მისნი, სცხო-
ვნდეთ ⁂ გაკურთხნეს ⁂ განგამრავლოს თქუენ უფალმან ღმერთმან
თქუენთან ქუეყანასა მას ზედა, რომელსაცა შეხჳდეთ დამკჳდრებად
მუნ ✿ უკეთუ გარდა რაიმე იცვალოს გული შენი, ⁂ არა ისმინო
შენ ⁂ შესცდე ⁂ თაყუანისცემდე შენ კერპთა უცხოთა, ⁂ მსახურებდე
შენ მათ ✿ გაუწუებ შენ დღეს დღე, რამეთუ წარწყმედით წარსწყმე-
დეთ თქუენ, ⁂ არა დღეგრძელ იყუნეთ თქუენ ქუეყანასა მას ზე-
და, რომელ იგი უფალმან ღმერთმან შენმან მოგცეს შენ, რომლისა-
თჳს წიაღსჳალთ თქუენ იორდანესა მდინარესა შესლვად ⁂ დამკჳდრე-
ბად იგი მუნ ✿ მოწამე ვჰყოფ დღეს თქუენდა, ცასა ⁂ ქუეყანასა,
ცხოვრებასა ⁂ სიკუდილსა, კურთხევასა ⁂ წყევასა დაჳდებ თქუენ
წინაშე, გამოირჩიე შენ ცხოვრებაჲ იგი, რათა სცხოვნდე შენ ⁂ ნა-
თესავი შენი ✿ შეიყვარე შენ უფალი ღმერთი შენი ⁂ ისმინე ჴმისა
მისისა, ⁂ შეკრძალე იგი მტკიცედ, რამეთუ იგი არს ცხოვრებაჲ
შენი, ⁂ დღეგრძელობა დღეთა შენთა, დამკჳდრებად შენდა ქუეყა-
ნასა ზედა, რომელისათჳს ეფუცა უფალი ღმერთი მამათა შენთა,
აბრაჰამს, ისაკს, ⁂ იაკობს, მიცემად მათდა.

თ ა ვ ი ლა.

და დაასრულნა მოსე, ყოველნი იგი სიტყუანი, რომელთა იგი
ეტყოდა ძეთა მიმართ ისრაჱლისათა ✿ ⁂ ჰრქუა მათ: ას ოცის
წლისა ვარ მე დღეს, ⁂ ვერ ძალჳძს მე შემოსლვად, ⁂ განსლვად
თქუენ წინაშე, რამეთუ უფალმანცა მრქუა მე [1] ვითარმედ არა წი-
აღუდე შენ იორდანესა მას ✿ უფალი ღმერთი წინა გიძღჳს შენ,
⁂ [2] მან მოსპნეს ყოველნი მტერნი შენნი წინაშე ჰირსა შენსა, ⁂
დაგიმკჳდროს ქუეყანა იგი მათი, რამეთუ ისუ წარგიძღუენ წი-
ნაშე ჰირსა თქუენსა, ვითარცა ეტყოდა უფალი ✿ ეცრცა უფალ
მათ უფალმან თქუენმან, რაჲცა [3] უფალ სეონს ⁂ ოგს ორთა მათ

[1]) ზემორე ა, გ ⁂ დ.—[2]) ზემორე ზ.—[3]) დ მოსე კ.

მეფეთა ამორეველთასა რომელი იგი იუნეს წიაღ იორდანესა, ქუჱ-
ყანასა მათსა, ვითარ სასედ მოსრნა იგინი ✿ დ მოაცნა იგინი უფა- ე
ლმან თჳსჱნმან კელთა თჳსჱნთა, დ უყავთ მათ ვითარცა იგი გა-
მცენ თჳსჱნ ✿ [1] მკნე იყავ დ განძლიერდინ, ნუ გეშინინ ნუცა შე- ვ
მრწუნდები, ნუცა დაბრკოლდები ჰირისაგან მათისა, რამეთუ უფალი
ღმერთი თჳსჱნი ესე წინა გიძღჳს თჳსჱნ, არა დაგაგდოს შენ არცა
უგულებელს გყოს შენ ✿ დ მოუწოდა მოსე ისუს, დ ჰრქუა მას ზ
წინაშე ყოველისა მის ერისა ისრაელისა: მკნე იყავ დ განძლიერდი:
რამეთუ შენ წარუძღუე წინაშე ჰირსა, ერსა ამას, დ შესჯდე ქუჱყა-
ნასა მას, რომლისათჳს ეფუცა უფალი მამათა თჳსჱნთა მიცემად
იგი მათდა, დ შენ დაუმკჳდრო იგი მაგათ ✿ დ უფალი თანა გი- ჱ
ვიდოდის შენ, დ არა დაგაგდოს შენ, დ არცა უგულებელს გყოს
შენ, ნუ გეშინინ, ნუცა შეძრწუნდები შენ ✿ დ დაწერნა მოსე ყო- თ
ველნი, სიტყუანი ესე ამის შჯულისანი წიგნსა, დ მისცა იგი
მეთა ლევისთა მღდელთა, რომელთა აქუნდა კიდობანი იგი შჯუ-
ლისა უფლისაჲ დ ყოველთა მათ მოხუცებულთა ერისა მის ისრაე-
ლისათა ✿ მერმე ამცნებდა მათ მოსე მას დღესა შინა, დ ჰრქუა: შემდგო- ი
მად შჯდისა მის, წლისა, ჯამსა წელიწდისა მის მიტევებისასა, დ დღე-
სასწაულსა მას ტალავრობისასა ✿ რაჟამს შეკრებოდიან ყოველნი იჱ
იგი ძენი ისრაელისანი, წარდგომად წინაშე უფლისა ღუთისა შე-
ნისა, ადგილსა მას, რომელიცა იგი გამოირჩიოს უფალმან შენმან,
აღმოიკითხონ წიგნი ესე შჯულისა წინაშე ყოველისა მის ისრაე-
ლისა, უურთა მიმართ მათთა ✿ შეჰკრიბენით ერი, მამები დ დედე- იბ
ბი, დ შჯლნი დ მწირი თჳსჱნი, რომელ იყოს ქალაქთა შინა თჳსჱ-
ნთა, რათა ესმოდის დ შეისწაონ შიში იგი უფლისა ღუთისა
თჳსჱნისა, დ ისმინონ დ ყონ ყოველი იგი სიტყუა, რომელი წე-
რილ არს წიგნსა მას შჯულისასა ✿ დ შჯლთაცა მათთა რომელთა იგ
არა იცოდიან ისმინონ, დ შეისწაონ შიში უფლისა ღუთისა თჳსჱ-
ნისა, ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მათისათა, რაოდენ სცხოვნდენ
ქუჱყანასა მას ზედა, რომელთათჳს ეგე თჳსჱნ წიაღხვალთ იორდა-

[1] ზემორე ზ.

იდ ნესა, მუნ დამკჳდრებად მისა ✿ მერმე სიტყუად იწყო უფალმან მო-
სესა ⁂ ჰრქუა: ესერა მოახლებულ არიან დღენი სიკუდილისა შე-
ნისანი, მოუწოდე ისუს, ⁂ დაადგინე იგი წინაშე კართა ზედა, კა-
რვისა მის საწამებელისათა, ⁂ ვამცნებდე მას: ⁂ მივიდეს მოსე ⁂
ისუ კარავსა მას საწამებელისასა, ⁂ დადგეს კართა თანა წინაშე
იე კარვისა მის საწამებელისათა ✿ ⁂ გარდამოჴდა უფალი სჳეტითა
მით ღრუბლისათა ⁂ დადგა წინაშე კართა კარვისა მის საწამებე-
იჳ ლისათა ✿ ⁂ ეტყოდა უფალი მოსეს, აჰა შენ ეგე რა დაიძინო
მამათა შენთა თანა, ⁂ აღდგეს ერი იგი ⁂ ისიძვიდეს შემდგომად
ღმერთთა მიმართ უცხოთა მაგის ქუეყანისათა რომელსა შევლენან
მისა მუნ, დამიტეონ მე, ⁂ გარდაჴდენ შჯულსა ⁂ მცნებათა ჩემთა,
იზ რომელ ვამცენ მათ ✿ ⁂ განვრისხნე გულის წურომითა მათ ზედა,
მას დღესა შინა, დაუტევნე იგინი, ⁂ გარე მივაქციო პირი ჩემი
მათგან, ⁂ იუნენ იგინი საჭმელად (მკეცთა ქუეყანისათა) იპოვნენ
იგინი ძჯრთა პირად პირადთა ⁂ ჭირთა; ⁂ თქუან მას დღესა შინა:
ვინათგან არა ჩუენთანა არს უფალი ღმერთი ჩუენი: ამისთჳს
იჱ მპოვნეს ჩუენ ძჯრთა ამათ პირად პირადთა ⁂ ჭირთა ✿ ⁂ მე გა-
რე მიქცევით მივიქციო პირი ჩემი მათგან მას დღესა შინა უკეთუ-
რებათა მათთათჳს, რომელსა იგი იქმოდეს, რამეთუ მიექცეს ღმერ-
ით თთა მიმართ უცხოთა ✿ ⁂ აწ დაწერენით სიტყუანი ესე გალობი-
სანი, ⁂ ასწავლენით ძეთა მათ ისრაელისათა, ⁂ შეასწავენით იგი-
ნი პირსა მათსა, რათა იყოს გალობა ესე საწამებელად ჩემდა ძეთა
ჱ მაგათ შორის ისრაელისათა ✿ რამეთუ შეიყვანნე ეგენი ქუეყანასა
მას კეთილსა, რომელ იგი ვეფუცე მამათა მათთა (მიცემად მათდა)
რომელსა ცამოსდის სძე ⁂ თაფლი; ⁂ ჭამონ ⁂ განძღენ ⁂ მიი-
ქცენ კერძთა მათ მიმართ უცხოთა ⁂ მსახურებდენ მათ, ⁂ განმარი-
სხონ მე, ⁂ გარდაჴდენ მცნებათა მათ რომელი ვამცენ მათ ✿ ⁂
კა იყოს რაჟამს ჰოვნენ იგინი ჭირთა ბოროტთა ⁂ ძჯრთა ⁂ აღუ-
დგეს წინაშე პირსა მათსა გალობა ესე, ჰირის პირ დგეს პირსა
მათსა, საწამებელად, ⁂ არა დავიწუებულ იყოს ესე პირისაგან მა-
თისა ⁂ ნათესაჲსა მათისა, რამეთუ მე უწყი უკეთურება იგი მათი,

რომელსა ეგე იქმან დღეს აქა ვიდრე შეყვანებამდე მათისა ქუეყანასა
მას კეთილსა, რომელ იგი ვეფუცე მამათა მათთა ✿ დასწერა მოსე კბ
გალობა ესე მას დღესა შინა, ⁂ ასწავებდა მას მეთა მათ ისრაელი-
სათა: ⁂ ამცნებდა მოსე ისუს ძესა ნავესსა, ⁂ ჰრქუა მას ✿ მკნე კგ
იყავ ⁂ განძლიერდი, რამეთუ შენ შეიყვანო მენი ეგე ისრაელისნი
ქუეყანასა მას რომელისათჳს ეფუცა უფალი მათ, რამეთუ იგი თა-
ვადი წინა გიძღოდის შენ ✿ ⁂ იყო რაჟამს დაასრულნა მოსე ⁂ კდ
შთაწერნა ყოველნი სიტყუანი ესე შჯულისანი წიგნსა შინა ვიდრე
აღსრულებდე ✿ ⁂ ამცნებდა ლევიტელთა მათ რომელთა აქუნდა კი- კე
დობანი იგი შჯულისა მის უფლისა ⁂ ჰრქუა ✿ მიიღე წიგნი ესე კვ
მცნებათა მათ შჯულისა მის, ⁂ შედადევ ეგე გვერდით კიდობ-
დობნისა მის შჯულისა უფლისა ღუთისა თქუენისა, ⁂ იყავნ ეგე
თქუენ შორის საწამებელად ✿ რამეთუ მე უწყი ზრახინება ეგე კზ
თქუენი, ⁂ ქედ ფიცხელობა ეგე თქუენი, რამეთუ მე ესე ვიდრეღა
ცოცხალ ვარ თქუენ შორის დღეს, განამწარებთ უფალსა თქუენსა რა-
ოდენთა უფროს სიკუდილისა ჩემისა, ჰყოთ ესე თქუენ ✿ აწ შე- კთ
მოკრებეთ ჩემ წინაშე მთავრები ეგე თქუენი, ⁂ მოხუცებულნი
თქუენნი, ⁂ მსაჯულნი თქუენი, ⁂ მწიგნობარნი იგი განმგებელნი
თქუენნი, რათა ვიტყოდი ყურთა მათთა ყოველთა სიტყუათა ამათ,
⁂ დავდგა აღთქმა ჩემი მათთანა, ⁂ მოწამე ვყოდ მათ წინაშე ცად ⁂
ქუეყანა ✿ უწყი მე რამეთუ შემდგომად სიკუდილისა ჩემისა უშჯუ- ლ
ლოებითა უშჯულოებდე ⁂ გარდააქციოთ გზისა მისგან რომელ ესე
მე გამცენ, ⁂ შეგემთხჯოს თქუენ ბოროტი შემდგომად მათ დღეთა,
რამეთუ ბოროტსა იქმოდით წინაშე უფლისა ღუთისა თქუენისა, ⁂
განარისხოთ საქმითა მით ჴელთა თქუენთათა ✿ ⁂ იტყოდა მოსე לא
სიტყუათად ამათ გალობისათა ყურთა ყოველისა მის ერისა ისრაე-
ლისათა, დამი აღსასრულამდე. გალობა მოსესი:

თ ა ვ ი ⁘ ლგ.

Მოისჩილე ცაოჲ, ⁂ ვიტყოდი, ⁂ ისმენდინ ქუეყანა სიტყუათა ა
ჴორისა ჩემისათა ✿ მოელოდენ ვითარცა წუჴმა კმასა ჩემსა, ⁂ გარ- ბ
დამოვიდოდის ვითარცა ცვარნი, სიტყუანი ჩემნი, ვითარცა წუჴმად

გ ⁋წუანგილსა ზედა, ⁋ ვითარცა ნისლი თივასა ზედა ✿ რამეთუ სა-
სელსა უფლისასა ვხადეთ; მიეცით დიდებად ღმერთსა ჩუ⁋ნსსა ✿
დ ღმერთი ჩუ⁋ნი, ჴელმარიტებით არიან საქმენი მისნი, ⁋ ყოველნი
გზანი მისნი სიმართლით არიან, ღმერთი სარწმუნო არს, ⁋ არა
ე არს სიცრუჱე მისთანა, მართლ ⁋ წმიდად არს უფალი ✿ შესცოდეს
მათ ნაშობთა მათ ბილწებისათა, ნათესავმან დრეუმან ⁋ გულრძ-
ვ ილმან ✿ ესე მოსაგებელი მოაგეს უფალსა, ამან ერმან ცოფმან,
⁋ არა ბრძენმან, ანუ არა ამან თავადმან მამამან შენმან მოგიხოვა
ზ შენ, შეგქმნა შენ ⁋ დაბადა შენ ✿ მოიკსენენ დღენი იგი საუკუნე-
ნი, ⁋ გულის ხმა ყოვნ წელიწადნი იგი თესლითი თესლადმდე,
ჰკითხე მამასა შენსა, გითხრას შენ ⁋ მოხუცებულთა შენთა, გაუწყონ
ჱ შენ ✿ რაჟამს მიმოჲ დაუნაწ მაღალმან ნათესავნი იგი, ვითარ იგი
მიმოჲ დასთესნა ძენი ადამისნი, დაამტკიცნა საზღვარნი იგი თეს-
თ ლებისნი მსგავსად რიცხჳთა მათ ანგელოზთა ღუთისათა ✿ ⁋ იო
ნაწილად უფლისა ერი მისი იაკობი, ⁋ საზომად სამკჳდრებელი-
ი სა თჳსისა ისრაელი ✿ უნაკლულო ჰჳუნაწ იგი უდაბნოსა მას ზედა,
ქუჱყანასა შინა, წუურვიელსა სიცხისასა ⁋ ურწუულსა, გარე მოა-
დგა მათ, ⁋ განსწავლნა იგინი, ⁋ დაიცუნა იგინი ვითარცა გუგაჲ
ია თუალისა ✿ ვითარცა ორბმან რაჲ დაფარნის ბუდენი თჳსნი, ⁋ მა-
რთჳეთა თჳსთა თჳს სუროდა, განუუნა ფრთენი თჳსნი, ⁋ შეკრიბნა
იბ იგინი, ⁋ აღიხვნა იგი ბჭეთა ზედა თჳსთა ✿ უფალი მხოლოჲ უძ-
იგ ღოდა მათ, ⁋ არა ვინ იყო მათდა სხუაჲ ღმერთი ✿ აღმოიჴვანნა
იგინი ძალსა მას ზედა ქუჱყანისასა, ⁋ აჭამა მათ ნაყოფი იგი
ჴელთა, სწოვდენ იგინი თაფლსა კლდისაგან, ⁋ ზეთსა კლდისა
იდ მისგან უღელისა ✿ ერბოსა ზროხათასა, ⁋ სძესა ცხოვართასა; ცმე-
ლითა კრავთა ⁋ ვერძთათა, ნაშობთა კუროთა, ⁋ ვაცთათა; თირკ-
მელთა ცმელითა, იფქლისა თანა, სისხლსა ყურძნისასა სმიდეს
იე ღჳნოს ✿ ⁋ ჭამა იაკობ ⁋ განძღა, ⁋ განწიხნა იგი საყუარელმან
მან; განსუქნა განსხვა, განზრქნა, დაუტეა ღმერთი შემოქმედი
ივ თჳსი, ⁋ განუდგა ღმერთსა მაცხოვარსა თჳსსა ✿ განმარისხეს მე
უცხო თესლთა მათ ზედა ⁋ საძაგელებითა მათითა, განმამწარეს

მე ✿ უზორვიდეს იგინი ეშმაკთა მიმართ, ⁂ არა ღუთისა; ღმერთთა იზ
მათ რომელ იგი არა იცოდეს, ცოდუათა მათ ⁂ საწუთოდ მოხმუ-
ლთა რომელ იგი არა იცოდეს მამათა მათთა ✿ ღმერთი რომელმან იჩ
გშვაჲ შენ დაუტევე ⁂ დაივიწუე ღმერთი გამომზრდელი შენი ✿ იხი- ით
ლა ესე უფალმან აღშურვა, ⁂ განრისხნა გულის წყრომითა მეთა
⁂ ასულთა მათთაჲ ✿ ⁂ თქუაჲ: გარე მივაქცი პირი ჩემი მათგან, კ
⁂ განვაცხადო რაჲ იგი ეოფად არს მათდა შემდგომთა ჟამთა; რა-
მეთუ ნათესავი ესე განდრეკილი არს, ⁂ ნაშობნი რომელთა თანა
არა არს სარწმუნოებაჲ ✿ მათ [1] მაშურვეს მე არა ღმერთთაჲ მათთა კა
ზედა, ⁂ კერპებითა მათითა განმაწარეს მე, აწ მეცა ვაშურვოჲ მათ,
არა ნათესავსა მას ზედა შეურაცხსა, ⁂ ნათესავითა მით უცებითა,
განვარისხნე იგინი ✿ რამეთუ ცეცხლი აღტყდა გულის წყრომისა- კბ
გან ჩემისა, ⁂ შესწუაჲდეს ჯოჯოხეთამდე ქუესკნელად, შეჭამოს
ქუეყანა ნაეოფითურთ თჳსით, ⁂ შეუნეს საფუძველნი მათთანი ✿
დავჰკრიბო ძჯრი მათ ზედა, ⁂ ისარნი ჩემნი დავასრულნე მათ ზე- კგ
და ✿ განკოფდენ იგინი ⁂ სიყმილთა, ⁂ ჭამითა მფრინუელთათა, ⁂ კდ
სალმობითა განმაძრუდებელითა; კბილნი მგეცთანი მივაჴლინე მათ,
ზედა, რომელნი გულის წყრომით ითრევდენ ქუეყანასა ზედა ✿
გარეშე უმკჳდრო ყუნეს, იგინი მახჳლთან, ⁂ სუნჯით მათითგან კე
შიშმან; ჭაბუკი ⁂ ქალწულნი: მუძუს მწოვარნი მოხუცებულთა
ოანა დღითა ✿ ვთქუ: განვაბინე იგინი, ⁂ განვაქარვო კაცთაგან კვ
საგსენებელი მათი ✿ არა თუმცაჲ გულის წყრომითა მტერთათა, რა- კზ
თა არა მეოვარ ჭაჲ იუენენ, ⁂ რათა არა განმრავლდენ მჯდომი იგი
მათნი, ⁂ რათა არა თქუან, იუოვე ჴელი ჩუენნი უმაღლეს მათ ზე-
და, არა თუმცა უფალმან ჰყო, ესე ეოველი ✿ რამეთუ ნათესავი ესე კთ
წარწყმედისა მზრახველი არს, ⁂ არა არს მათ თანა მეცნიერებაჲ,
არა ცნეს ესე გულის კმის ეოფად ✿ ესე ეოველი თავს იდვან მომა- ლ
ვალთა ჟამთა ✿ ვითარმე იოტის ერთმან ათასები, ⁂ ორმან წარი-
ქცივის ბევრი, არა თუმცა ღმერთმან განაბინივნა იგინი, ⁂ უფალ-
მან მისცნა იგინი ✿ რამეთუ არა ეგრე იუენეს კერპნი მათნი, ვი- ლა

[1] იგრემაი ეგ. რომაელთა ი.

ლბ თარ ღმერთი ჩუენი: ხოლო მტერნი ჩუენნი უგნურ იყუნეს ✿ რა-
მეთუ საყურძნისა მისგან სოდომელთასა იყო ყურძენ მათი, ⁂ ვენაკები
მათი გომორეველთაგან; ყურძენი მათი ყურძენი ნაღვლისა, ⁂ ტევა-
ლგ ნი სიმწარისა მათისა ✿ გულის წურომა ვეშაპთა იყო ღჳნო მათი,
ლდ ⁂ რისხვა ასპიტთა განუკურნებელი ✿ აჰა ესერა ესე ყოველი არა
დამიკრებიეს ჩემთანა, დაბეჭდულ არიან საუნჯესა შინა ჩემსა ✿ [1]
ლე დღესა მას შურის გებისასა მივაგო მათ, ჟამსა მას რომელსაცა
შეუცთენ ფერჴნი მათნი: რამეთუ ახლოს არს დღე იგი წარწუედისა
ლვ მათისაჲ, ⁂ მოწევნულარს განმზადებული მათ ზედა ✿ რამეთუ განი-
კითხოს უფალმან ერი თჳსი, ⁂ მონათა თჳსთა ზედა ნუგეშინის
ცემელი იყოს; რამეთუ იხილნა იგინი ნაკლულევანნი, ⁂ გუშბულნი
ლზ ბოროტთა მიცემულნი ⁂ განკაფულნი ✿ ⁂ ჰრქუა მათ უფალმან აწ
სადაჲ არიან კერპნი იგი თქუენნი, რომელთა იგი თქუენ ესევდით
ლთ მათ ზედა ✿ რომელთა ცხჳლისა ნაზორეველთა მათთასა შჯამდით, ⁂
სუმდით ღჳნოს ნაგებთა მათთასა; აწ აღდგეგ ⁂ შეგეწიენ თქუენ,
ლი ⁂ გეფაროს თქუენ იგინი მფარველ ✿ იხილეთ იხილეთ, რამეთუ
მე ვარ, ⁂ არა არს სხუაჲ ღმერთი ჩემსა გარეშე [2]: მე მოვაკლდინი, მე
ვაცხოვნი: მე მოვსწყლი ⁂ მე განაჯკურნი, ⁂ არა არს რომელმან
მ განერწეს ჴელთაგან ჩემთა ✿ რამეთუ აღვჴდე ცაჲდ ჴელი ჩემი, ⁂
ვფუცო მარჯუენესა ჩემსა, ⁂ ვთქუა ცხოველ ვარ მე უკუნისამდე ✿
მა აღვლესო ვითარცა ელვა ჴრმალი ჩემი, ⁂ განვიმზადოს შჯად ჴელი
ჩემი, ⁂ შური ვიძიო ⁂ მივაგო საშჯელი მტერთა, ⁂ მოძულეთა
მბ ჩემთა მივაგო ✿ დავათჳრნე ისარნი ჩემნი სისხლითა, ⁂ ჴრმა-
ლი ჩემი შჯამდეს ჴორცსა; სისხლთაგან წყლულებისათა ⁂
ნატყუენავებისაგან ⁂ თავებისა მთავართა წარმართთასა ✿
მგ იხარებდით ცანი მისთანა, ⁂ თაყუანისცემდით მას ყოველნი ანგე-
ლოზნი, ღუთისანი ✿ იხარებდით წარმართნი ერისა თანა მისისა,
⁂ განამტკიცებდით მას ყოველნი ძენი ღუთისანი რამეთუ [3] სის-
ლი მეთა მისთა იძიოს, ⁂ მიაგოს სასჯელი მტერთა ზედა, ⁂ მო-

[1] ზირაქ კჳ. რომ. იბ. კბრ. ი.—[2] ა მეფეთა ბ. ცხებია იგ. სიმრძნე იგ. —[3] ბ მაკაბელთა ზ.

მულეთა თჳსთა კეალად აგოს, ⁂ განწმიდოს უფალმან ქუჱყანა
იგი ერისა თჳსისა ✿ ⁂ დაწერა მოსე გალობა ესე მას დღესა ში- მე
ნა, ⁂ ასწავა იგი მეთა მათ ისრაელისთა ✿ ⁂ შეიდა მოსე, ერისა მვ
მიმართ ⁂ ეტყოდა უოველთა მათ სიტყუათა შჯულისათა ურთა
უოველისა მის ერისათა, თჳთ ⁂ ისუ მე იგი ნაგესი ✿ ⁂ დასრულნა მზ
მოსე უოველნი ესე სიტყუანი უოველისა ისრაელისად ✿ ⁂ თქუა მჳ
მათდა მიმართ: დაიმარხეთ გულთა თქუჱნთა უოველივე სიტყუა ესე
რომელთა ესე მე გაბცნებ თქუჱნ დღეს, რათა თქუჱნცა ამცნოთ
შჯულთა თქუჱნთა, დამარხვად ⁂ უოფად უოველთა ამათ სიტყუათა
შჯულისათა ✿ რამეთუ არა ცუდად რაჲმე იუენეს სიტყუანი ესე მთ
თქუჱნდა მიმართ, არამედ ესე არს ცხოვრება თქუჱნი, რამეთუ ამათ
სიტყუათა გამოჲ დღე გრძელ იუენეთ ქუჱყანასა მას ზედა, რომ-
ლისათჳს იგი თქუჱნ წიაღსვაჲთ იორდანესა, დამკჳდრებად მუნ
იგი ✿ ⁂ [1] ეტყოდა უფალი მოსეს მას დღესა შინა, ⁂ ჭრქუაჲ ✿ ნ
ალვედ შენ მთასა მას აბარიმსა, რამეთუ იგი თჳთ არს ნაბავი ქუჱ- ნა
ყანასა მას მოაბისასა რომელ არს ჰირის ჰირ იერიქოსა, ⁂ იხილე
ქუჱყანაჲ იგი ქანანისა, რომელ იგი მივსცე მე მეთა ისრაელისათა
სამკჳდრებელად ✿ ⁂ მოკუნჱ მთასა მას ზედა რომელსაცა ალჳდე ნბ
მუნ ⁂ შეიძინე ერსა მას შენსა, [2] ვითარცა იგი არონ ძმაჲ შენი
მოკუნდა ორს მთასა ზედა, ⁂ შეიძინა ერსა მას თჳსსა ✿ ვინათგან [3] ნგ
ურჩ ყქმნენით სიტყუათა მათ ჩემთა მეთა მათ შორის ისრაელისათა, წუა-
ლეთა მათ ზედა ცილობისათა კადეშს, უდაბნოსა ზედა სინასა ვი-
ნაიგან არა წიდაჲ მუაეთ მე მეთა შორის ისრაელთასა ✿ რამეთუ ნდ
მართლ იხილოჲ ქუჱყანა იგი შორით, ⁂ ვერ შეხჳდე მუნ, რომელ
იგი მივეც მეთა მათ ისრაელისათა.

თ ა ვ ი ⅬⅭ.

Ⅾა [4] უსე კურთხეაჲ არს, რომლითა აკურთხნა მოსე კაცმან ა
მან ღუთისამან მენი იგი ისრაელისანი ჰირჭელ, სიკუდილადმდე ძი-
სა ✿ ⁂ თქუა: უფალი სინაჲდ მოვიდა, ⁂ გამოგჳჩნდა ჩუჱნ სეი- ბ

[1] ⅆ მოსე კგ. — [2] ⅆ მოსე. კ ⁂ ლგ. — [3] ⅆ მოსე კ ⁂ კჩ. ბ მოსე აჩ.
[4] ზიარქ გ.

რით, ისწრაფა ფარან მთათ, ⁂ მოვიდა ბევრეულთა თანა წმიდათა,
გ კადესა, მარჯუენით მისად ანგელოზნი მისნი მის თანა ✿ ⁂ წუა-
ლობა ყოდ ერსა თჳსსა ზედა, ⁂ ეოველნი [1] შეწირული კელთა ში-
დ ნა შენთა, ⁂ ესენიცა შენ ქუჱშე არიან ✿ ⁂ შეიწუნარა სიტყუათა-
გან მისთა შჯული, რომელ მოუშცა ჩუენ მოსე, სამკჳდრებელად
ე შესაკრებელსა მას იაკობისსა ✿ ⁂ იყოს საყვარელ მისგან მთავარი
შეკრებასა მას მთავართასა ერთი ერთბამად ნათესაითურთ ისრაე-
ვ ლისათა ✿ ცხონდინ რუბენ, ⁂ ნუ მოკუდებინ (⁂ სჯეოს) ⁂ იუავნ
ზ იგი რიცხჳთ მრავალ ✿ ⁂ ესე იუდა: ისმინე უფალო კმაჲ იუდასი,
⁂ შესაკრებელთა მისთა შეკრებად, კელნი მისნი გამოერჩინედ მას,
ჱ შემწედ მისა მტერთაგან მისთა, იეოს ✿ ⁂ ლევის ჰრქუა: მიეცით ლე-
ვის მხილება მისი: ⁂ ჳეშმარიტება კაცსა მას ღირსსა, რამეთუ გან-
ცადეს იგი განცდით, ⁂ განაბოროტეს იგი წუალთა მათ ზედა ცი-
თ ლობისათა ✿ რამეთუ ჰრქუჱს მამასა თჳსსა, ⁂ დედაჲსა თჳსსა: არა
გიცი შენ, ⁂ ძმანი თჳსნი არა სცნა, ⁂ შჯულნი თჳსნი არა იცნაჲ.
დაიმარხნა მან მცნებანი ესე შენნი, ⁂ შჯულსა შენსა არა განეშო-
ი რეს ✿ აუწეენ სამართალნი შენნი იაკობსა, ⁂ შჯული შენი ისრაე-
ლსა, შეწირონ მათ მსხუჱრჱული ⁂ საკეველი რისხჳსა თჳს შენისა
ია მარადის საკურთხეველსა შენსა ზედა ✿ აკურთხე უფალო ძალი იგი
მისი, ⁂ საქმენი კელთა მისთანი შეიწირენ, შემუსრე ძა-
ლი იგი მტერთა რომელნი აღდგომილ იუჱნენ მის ზედა, ⁂ მოძუ-
იბ ლენი მისნი ნუღარა აღემართონ ✿ ⁂ ბენიამენს ჰრქუა: შეყვარე-
ბული უფლისა დაემკჳდროს სასოებითა, ⁂ ღმერთი თავადი მფარველ
ეეოს მას ეოველთა დღეთა ⁂ ბეჭთა შორის მისთა განუსვენოს
იგ მას ✿ ⁂ იოსებს ჰრქუა: კურთხევითა უფლისათა იეოს ქუჱყანა იგი
მისი, ⁂ სამეაროთაგან ცისათა ⁂ ცგართაგან წუაროთა უფსკრულთა-
იდ სა ქუჱსკნელ ✿ ⁂ ჟამსა შინა ნაეოფთა მათ მზისათა მოვნიერება.
იე ⁂ მოქცევათაგან თუჱთასა ✿ ⁂ თავთაგან მთათა დასაბამისა, ⁂ თხემ-
ივ თაგან ბორცუთა მათ სამარადისოთა ✿ ⁂ ჟამსა მას ქუჱყანისა სა-
ვსებისასა, მსგავსად შეწუნარებისა მის რომელი იგი [2] გამოჩნდა მა-

[1] სიბრძნე გ.—[2] ბ მოსე გ.

ეშლოვანსა მას, მოვედინ თავსა ზედა იოსებისასა, ⁋ თხემსა მისსა
ზედა ⁋ იდიდენ იგი შორის ძმათა მისთა ✿ ჰირმშოთა იყავნ შუშ- იზ
ნიერებაჲ მისი ვითარცა შუშნიერებაჲ ზუარაკისა, ⁋ ვითარცა რქაჲ
მარტორქისა რქანი მისნი, ⁋ მით ურქენდეს წარმართთა, ვიდრე
კიდედმდე ქუჱყანისა; ესენი იყვრეულნი ეფრემისნი ⁋ ესენი ათა-
სეულნი მანასესი ✿ ⁋ ზაბულონს ჰრქუა: იხარებდ ზაბულონ გამოს- იწ
ლუასა მას შენსა, ⁋ იზაქარს ჰრქუა: სამკჳდრებელსა მისსა ✿ ნათე- ით
საჲნი დაეცნენ, ⁋ მოუწოდონ მუნ: ⁋ შესწიროთ მსხუერპლი სი-
მართლისა უფლსა, რამეთუ სიმდიდრესა მას ზღუასასა სწოვდე შენ,
⁋ ვაჭართა მათ წარმართთაგან დამკჳდრებულთა ღრჳს კიდისა-
თა ✿ ⁋ ეაადს ჰრქუა: კურთხეულ ⁋ განვრცელებულ იყოე გად, გი- გ
თარცა ლომი განსუენებული ⁋ შემმუსრუსლი მკლავთა მთავარ-
თათა ✿ ⁋ იხილა დასაბამი მისი, რამეთუ მუნ განიყოჲ ქუჱყანა იგი, კა
მთავართა შეკრებასა მას ერთა მრავალთასა; სამართალი უფალ-
მან ჰყოო, ⁋ შჯული შორის ისრაელისა ✿ ⁋ დანს ჰრქუა: დან ვი- კბ
თარცა ლეკვი ლომისა გამოვიდეს ბასანით ✿ ⁋ ნეფთალემს ჰრქუა: კგ
ნეფთალიმ, საგსება შეწირული, ⁋ აღვსენ კურთხევითა უფლისა
მიერ: ზღუთ კერძო ⁋ სამხრით დაემკჳდროს იგი ✿ ⁋ ასერს ჰრქუა: კდ
კურთხეულ იყავნ ნაშობთა შორის ასერ, ⁋ შეწუნარებულ იყავნ ძმა-
თა შორის თჳსთა, დააწოს ზეთსა ფერჴი მისი ✿ რკინა ⁋ სპილენძი კე
იყოს ჴამლი მისი, ვითარცა დღენი შენნი ეგრე იყოს ძალი შენი ✿ არა კვ
არს ვითარცა ღმერთი საყუარელისა, რომელი აღვიდის ცად შემწედ შენ-
და, ⁋ დიდად შუშნიერებითა სამყაროსა მისისა ✿ ⁋ გფარვიდეს შენ კზ
ველმწიფებაჲ ღუთისა, ძლიერებითა მკლავისათა სამარადისოთა,
⁋ განასხნეს მტერნი შენნი პირისაგან შენისა, ⁋ ჰრქუა: მიგედ
წარწყმდი ✿ ⁋ [1] დაემკჳდროს ისრაელი სასოებითა მხოლოდ ქუჱყ- კთ
ანასა ზედა იაკობისსა, ⁋ ღჳნითა ⁋ იფქლითა ⁋ ღრუბლითა ⁋
ცვარითა ცისათა მარადის ✿ ნეტარ ხარ შენ ისრაელ, ვინმე ეგეს-
გავსოს შენ, ერი ეგე გამოჳსნილი უფლისა მიერ; ზედა მდგომელ
ეგეოჲ შენ შემწე იგი შენი, ⁋ მახჳლითაჲ შენითა სიქადული შენი,

[1] ორგ. კბ ⁋ დფ.

ვეცრუვნენ შენ მტერნი შენნი, ჲ ქედსა მათსა ზედა ფერვი ეგე შენი.

თავი ლდ.

ა და აღვლდა მოსე არაბოთად მობით, მთასა მას ზედა ნაბაის, თხემსა ზედა ფასგასა, რომელი არს ჰირის ჰირ იერიქოსა, ჲ [1] უჩვენა მას უფალმან ყოველი იგი ქუეყანა გალადისა ვიდრე დანამდე ✿ ჲ ყოველი იგი ქუეყანა ნეფთალემისა ჲ ეფრემისა ჲ მანასესი, ჲ ყოველი იგი ქუეყანა იუდასი ვიდრე დასასრულამდე ზღჳსა ✿ ჲ ყოველი იგი უდაბნო, ჲ ყოველი იგი გარემოს სოფლები რომელი იყო ველთა მათ იერიქოსთა, ქალაქები იგი დანაკის კუდოვანი ვიდრე სეგორამდე ✿ ჲ ჰრქუა უფალმან მოსეს: ესე არს ქუეყანა იგი [2] რომლისათჳს ვეფუცე: აბრაამს, ისააკს, ჲ იაკობს, ჲ ვარქუ: ვითარმედ ნათესავსაჲ შენსა მივსცე ეგე, აწ ეგერა გიჩუენე შენ ჲ თვალთა შენთა იხილეს, ხოლო ვერ შეხვდე შენ მუნ ✿ ჲ მოკუდა მუნ მოსე მონა იგი უფლისა ქუეყანასა მას მოაბისასა სიტყჳთა უფლისათა ✿ ჲ დაჰფლეს იგი ქუეყანასა მოაბისასა მახლობელად სახლსა მას ფოგორისასა, ჲ არა ვინ იცის საფლაჲი იგი მისი მოდღეინდელად დღედმდე ✿ ჲ იო მოსე ვითარ ას ოცის წლის, ოდეს მოკუდა იგი, ჲ არა დაუბრუელდეს თვალნი მისნი, ჲ არცა იცვალა ქმნულება ჰირისა მისისა ✿ ჲ იტირეს მოსე ძეთა მათ ისრაელისათა არაბოთს მოაბისასა კიდესა მას იორდანისასა მდინარესა, ჰირის ჰირ იერიქოს: ოც და ათ დღე, ჲ აღესრულნეს დღენი იგი ტირილისა ჲ გლოვისა მოსესნი ✿ ჲ ისუ ძე იგი ნავესი ადიცსო სულითა სიბრძნისათა, რამეთუ მოსე დაასხნა კელნი მისნი მას ზედა, ჲ ერჩდეს მას ყოველნი იგი ძენი ისრაელისანი ჲ ყვის რაჲ იგი უბრძანა უფალმან მოსეს ✿ ჲ არღარაჲნ აღდგა მერმე, წინასწარმეტყველი შორის ისრაელისა მსგავსად მოსესაჲ, რომელი იგი უფალსა შეესწავა ჰირის ჰირ ✿ ყოველითა მით სასწაულებითა ჲ ნიშებითა: ვითარ იგი მიავლინა უფალმან ყოფად სასწაულთა მათ ქუეყანასა მას მეცჯჰტელთასა ფარაოს ზედა ჲ ყოველთა მონათა ყოველსა ქუეყანასა მისსა ✿

[1] ბ მკაბელთა ბ.—[2] ა მოსე აბ, აგ, აიწ ჲ კგ.

საკჳრველებანი იგი დიდ-დიდნი, კელი იგი მტკიცე, ჲ მკლავი მაღალი, რომელ უო მოსე წინაშე ყოველისა ისრაელისა.

დასასრულთა წიგნთა მოსესთა, მეორესა შჯულისათა, აქუნ თავსა შორის თჳისსა თავი ლდ.

წიგნი მეექუსე ისუსი ძისა ნავესი.

თ ა ვ ი ა.

და იუო შემდგომად აღსრულებასა მოსესსა მონისა მის უფლისა, ჰრქუა უფალმან ისუს ძესა ნავესსა, მსახურსა მოსესსა ჲ ეტყოდა ✡ მოსე მონა ჩემი აღესრულა, აწ შენ აღდეგ ჲ წიაღვედ იორდანესა შინა, ჲ [1] ყოველი ეგე ერი ქუჱყანასა ჩას, რომელსა მე მიცემ თქუჱნ ✡ ყოველსა ადგილსა რომელსაცა დაადგათ კუალი ფერჯთა თქუჱნთა, თქუჱნ მიცე იგი ვითარცა იგი ვარქუ მოსეს ✡ უდაბნოჲ წინა ლიბანე მიმდინარემდე დიდად ევფრატად, ჲ ვიდრე სღუჱდმდე, დასასრულად მზისა დასავალამდე, იუჱნენ სახღუარნი თქუჱნნი ✡ არა დაიდგეს კაცი წინაშე თქუჱნსა, ყოველთა დღეთა ცხოვრებისა შენისათა; ჲ ვითარ იგი ვიუავ მოსეს თანა, ეგრეცა ვიუო შენთანა, ჲ [2] არა დაგაგდო შენ, ჲ არცა უგულებელს გეო შენ ✡ განძლიერდი ჲ მკნე იუავ: რამეთუ შენ განუო ერსა მას ქუჱყანა იგი, რომლისათჳს ვეფუცე მამათა თქუჱნთა მიცემად მათდა ✡ აწ განძლიერდი ჲ მკნე იუავ ფრიად დამარხუად ჲ უოფად, რაჲცა იგი გამცნო შენ მოსე მონამან ჩემმან, ჲ არა გარდააქციო შენ მათგან მარჯუჱლ ჲ არცა მარცხულ, რათა გულის ხმა ჰჳო ყოველი რომელსაცა იქმოდი ✡ ჲ [3] არა განგეშოროს შენ წიგნი ესე შჯულისა ჰირისაგან შენისა, ჲ იწურთიდე მას დღე ჲ

[1] კ მოსე იჲ. ქკეშორე იდ.—[2] კბრ. იგ.—[3] ფსალმუნი ჲ.

ღამე, რათა გულის სმაჲ ყოფად ყოველი წერილი, მაშინ წარ-
გემართოს ⁂ წარმართენ გზანი შენნი, ⁂ მაშინ გულის სმა ჰყოჲ ✿
თ აჰა ესერა მე გამცნებ შენ, განძლიერდი ⁂ ჰკნე იყავ ნუ შეძრწუნ-
დები, ნუცა გეშინინ, რამეთუ მე შენთანა ვარ უფალი ღმერთი შენი
ი უოველსა ადგილსა ვიდრეცა სჯდოდი ✿ ⁂ უბრძანა ისუ მწიგნო-
ბართა ერისათა ⁂ ჰრქუა: შევედით შორის ბანაკსა ამას ერისასა ✿
ია ⁂ ამცნით ერსა ამას ⁂ არქუთ: აიმსადეთ საგზალი, რამეთუ შე-
მდგომად სამისა დღისა წიაღსლვად სართ იორდანესა ამას შესჯდე
დაჰპრობად ქუჱყანისა ამის, რომელი უფალმან ღმერთმან მამათა
იბ თქუჱნთამან მოგცეს თქუჱნ ✿ ⁂ რუბენს ⁂ გადს, ⁂ სოგსა ნათე-
იგ საგსა მანასესსა ჰრქუა ისუ ✿ მოიგსენეთ სიტყუაჲ რომელ გამცნო
თქუჱნ მოსე მონამან უფლისამან, ⁂ გრქუა [1] უფალმან ღმერთმან
იდ თქუჱნმან განგისუჭნა თქუჱნ, ⁂ მოგცა ქუჱყანა ესე ✿ ცოლნი
თქუჱნნი ⁂ შჯლნი თქუჱნნი, ⁂ საცხოვარი თქუჱნი სცხოვრებდენ
ქუჱყანასა მას, რომელი მოგცა თქუჱნ მოსე წიაღ იორდანესა:
ხოლო თქუჱნ წიაღგდეთ ჯურვილნი ბირველად მმათა თქუჱნთათა-
იე ნა ყოველსა რომელსა უძლავს ⁂ ბრძოდეთ მათ ✿ ვიდრემდის და-
ფუმნეს უფალმან ღმერთმან თქუჱნმან მმანი ესე თქუჱნნი, ვითარცა
ეგე თქუჱნ, ⁂ დაიმკჯდრონ მათცა ქუჱყანა იგი რომელ უფალმან
ღმერთმან მისცეს მათ, ⁂ მაშინ წარსჯდეთ კაცად კაცადი სამკჯდრე-
ბელად თჯსა, რომელ მოგცა თქუჱნ მოსე წიაღ იორდანესა, მზისა
ივ აღმოსავლით ✿ ⁂ მიუგეს ისუს ⁂ ჰრქუჱს: ყოველი რაოდენიცა
გვამცნო ჩუჱნ, გჰყოთ, ⁂ ყოველსა ადგილსა, რომელსა მიგვავლი-
იზ ნნეთ ჩუჱნ მივიდეთ ✿ ყოველითა რაოდენითა ვერჩდით მოსეს გე-
რჩდეთ შენცა: ოარნა უფალი ღმერთი ჩუჱნი იყავნ შენთანა ვითარ-
იჱ ცა იყო მოსესთანა ✿ ხოლო კაცმან რომელმან გაცილოს შენ ⁂
რომელმან არა ისმინოს სიტყუათა შენთა ამცნებდ თუ რასმე მას,
მოკუჱდინ იგი ჰირველად გარნა განძლიერდი ⁂ მკნე იყავ.

თ ა ვ ი ბ.

ა ⁂ ა წარავლინა ისუ მემან ნავესმან სატსით ორნი ჯაბუკნი გან-

[1] დ მოსე ლბ.

მსტრობად ქუჱსწუანისა ⁘ ჰრქუა მათ: აღუედით ⁘ იხილეთ ქუჱსწუანა
იგი, ⁘ იერიქო. ⁘ წარვიდეს ორნი იგი ჳაბუნი ⁘ მოვიდეს იერი-
ქოდ ⁘ [1] შევიდეს სახლსა მეძავისა დედაკაცისასა რომლისა სახე-
ლი რაჳბ ⁘ იუნეს მუნ ✿ მიუთხრეს მეფესა იერიქოსასა მე- ბ
ტუჱსწლთა, ვითარმედ აჳა ესერა კაცნი შემოსრულ არიან აქა მეთა
ისრაელისათანი მოსილვად ქუჱსწუანისა ✿ ⁘ მიაყლინა მეფემან იე- გ
რიქოსამან ⁘ ეტყოდა რაჳბს ⁘ ჰრქუა გამოიუნენ კაცნი იგი რო-
მელ შემოსრულ არიან სახიდ შენდა დამე, რამეთუ განძმსტრობად
ქუჱსწუანისა მოსრულ არიან ✿ ⁘ [2] მიიუანნა დედაკაცმან კაცნი იგი დ
ორნი ⁘ დამალნა იგინი, ⁘ მათ მიუგო ⁘ ჰრქუა: შემოვიდენ ჩემდა
კაცნი იგი, არამედ არა უწუნი სადაითგან იუნენ ✿ ⁘ რაჟამს და- ე
კჱჯდეს ბჱჭეთა სამრიისსა ქალაქისათა კაცნი იგი განვიდენ ⁘ არა
უწუი ვიდრე ვიდეს, დევნა უყავთ უკანა მათსა, ეწიენით ხოლო თუ
მათ ✿ ხოლო მან აღიუუანნა იგინი ტალაჳრად ⁘ დამალნა იგი- ვ
ნი სელსა შინა მნეულსა რომელ დაზჯნულ იყო ტალაჳრსა შინა
მისსა ✿ ⁘ კაცთა მათ დევნა უყვეს უკანა მათსა გზასა იორდანი- ზ
სასა წიაღსლჳთ კერძო, ⁘ ბჱჭნი დაუჱშნეს ✿ ⁘ იყო რაჟამს გან- ჱ
ვიდეს მდევარნი იგი უკანა მათსა ⁘ ესენი ვიდრე დაძინებაა-
დმდე მათდა აღვიდა იგი მათდა ტალაჳრად ⁘ ჰრქუა მათ ✿
უწუი რამეთუ თქუჱნ მოგცა უფალმან ქუჱსწუანა ესე, ⁘ აწ რამეთუ თ
დაცემულ არს შიში თქუჱნი ჩუჱნ ზედა ⁘ შეშინდნენ ყოველნი
მსჳანებელნი ✿ ⁘ გჳასმიეს რამეთუ განაჳმოჲ უფალმან ღმერთმან ი
ღუაჲ იგი მეწამული წინაუე ჰირისაგან თქუჱნისა რაჟამს გამო-
სჳდოდეთ ეგჯპტით ⁘ [3] რაოდენი უყოჲ ორთა მათ მეფეთა ამორე-
ველთა, რომელ იგი იუნეს წიაღ იორდანესა, სეონ ⁘ ოგ, რო-
მელ იგი მოსრენით ✿ ⁘ ესერა გუჱსძმა ჩუჱნ უგუნურ ვიქმნენით ია
გულითა ჩუჱნითა, ⁘ არღარა არს სული არაჳისთანა ჰირისაგან
თქუჱნისა, რამეთუ უფალი ღმერთი თქუჱნი, ღმერთი არს ცათაჲ
შინა ესესკნელს ⁘ ქუჱსწუანასა ზედა ქუჱსწოო ✿ ⁘ აწ მეფუცენით მე იბ
უფალსა ღმერთსა, რამეთუ ვყოფ თქუჱნთჳს წუალობასა, ⁘ რათა

[1] კბრ. იჲ. იჲკობ. ბ—[2] ქუჱსწ. გ.—[3] დ მოსე კა.

თქუჳნცა ჰყოთ წუალობა სახლსა ზედა მამისა ჩემისასა ⁘ მომეცით
იზ მე სასწაული ჯუშმარიტი ✿ რამეთუ აცსოვნოთ სახლი მამისა ჩე-
მისა, დედა ჩემი ⁘ ძმანი ჩემნი, ⁘ დანი ჩემნი, ⁘ ყოველივე რაჲცა
იდ არს მათი, ⁘ იჳსენით სული ჩუჳნი სიკუდილისაგან ✿ ⁘ ჰრქუჳს
მას კაცთა მათ სული ჩუჳნი თქუჳნ წიალ იყავნ სიკუდილად (უკეთუ აწ
არა გამოგვაცხადებ ჩუჳნ) ⁘ მან ჰრქუა მათ, რაჟამს მიცეს თქუჳნ
უფალთან ქალაქი ესე, ჰყავთ ჩემთჳს წუალობა ⁘ ჯუშმარიტება ✿
იე ⁘ გარდასხნა იგინი სარკმლით, რამეთუ სახლი მისა ზღუდისა თანა
ივ იყო ⁘ ზღუდისა თანა ესე მეოფობდენ ✿ ⁘ ჰრქუა მათ: მთად წა-
რვედით, ნუ უკუჳ შეგემთხჳნენ თქუჳნ მდევარნი იგი თქუჳნნი ⁘
დაიმალენით მუნ სამ დღე, ვიდრე მოქცევადმდე რომელსა დევნა უფო-
ფიეს უკანა თქუჳნსა, ⁘ ამისა შემდგომად წარხჳდეთ თქუჳნ გზა-
იზ სა ✿ ⁘ ჰრქუჳს კაცთა მათ: უბრალოცა ვართ ჩუჳნ ფიცსა შენსა
იჱ რომელ გვფიცე ჩუჳნ ✿ აჰა ესერა ჩუჳნ შემოვიდოდით ოდეს ქა-
ლაქად: ⁘ დასდგა შენ სასწაულად შტანგი ესე მეწამული, გამოაბა
სარკმელსა, ვინა იგი გარდაგუსხენ ჩუჳნ მას ზედა, ⁘ მამა შენი
⁘ დედა შენი ⁘ ძმანი შენნი ⁘ ყოველი სახლი მამისა შენისა შე-
იო კრიბე შენთანა სახლსა შინა შენსა ✿ ⁘ იოს ყოველი რომელი
გამოვიდეს სახლით შენით გარე თჳთ თანამდებ იოს თავისა თჳ-
სისა, ხოლო ჩუჳნ უბრალო ვიეუნეთ ფიცსა ამას შენსა, ⁘ რაო-
დენი იეუნენ სახლსა შენსა ჩუჳნ თანამდებ ვიეუნეთ უკეთუ კელი
კ ვისი იოს მათ ზედა ✿ უკეთუ ვინმე გვჳვნოს ჩუჳნ ანუ განაცხა-
დნენ სიტეუანი ესე ჩუჳნი, უბრალო ვიეუნეთ ფიცსა ამას შენსა
კა რომელ გვაფუცე ჩუჳნ ✿ ⁘ ჰრქუა მათ: მსგავსად სიტეუისა თქუჳ-
ნისა ვეო ⁘ განუტევა იგინი ⁘ განვიდნენ ⁘ გამოაბა სასწაუ-
კბ ლი იგი მეწამული სარკმელსა ✿ ⁘ წარვიდეს ⁘ მივიდეს მთად ⁘
იეუნეს მუნ სამ დღე ვიდრემდის მოიქცნენ მდევარნი, ⁘ ეძიეს
კგ მდევარნი იგი ყოველთა გზათა, ⁘ არა ჰპოვნეს იგინი ✿ ⁘ მო-
ქცეს ორნი იგი ჯაბუკნი, ⁘ მოვიდეს მთად ⁘ წარვიდეს ისუსა ძისა
კდ ნავესა, ⁘ აუწეეს ეოველი იგი რაჲცა შეემთხჳა მათ ✿ ⁘ ჰრქუჳს
ისუს, რამეთუ მოგვცა უფალმან ღმერთმან კელთა ჩუჳნთა ეოველი

ქუჴჴანა ⁂ შეშინებულ არიან ყოველნი იგი მკჳდრნი მის ქუჴჴანისა ჩუჴჴნგან.

თავი ჲ.

ა Და ადიმსთო ისუ განთიად, ⁂ წარმოიძრნეს სატხიმით, ⁂ მოვიდეს იორდანედ იგი ⁂ ყოველნი ძენი ისრაელისანი ოდენ ⁂ დადგეს მუნ წიაღსლვადმდე ✿ ⁂ იოო შემდგომად სამისა დღისა, ბ გამოვლეს მწიგნობართა მათ ბანაკი იგი ✿ ⁂ ამცნეს ერსა მას, გ ⁂ ჰრქუჴს: რაჟამს იხილოთ კიდობანი იგი შჯულისა უფლისა ღუთისა ჩუჴჴნისა, ⁂ მღდელნი ჩუჴჴნნი ⁂ ლევიტელნი რომელთა აღიღოს იგი, წარემართენით, ადგილთაგან თქუჴჴნთა, ⁂ შეუდგეთ უკანა მათსა ✿ ⁂ იყაენ განშორება საშუალ თქუჴჴნსა ⁂ მათსა ორ დ ათას ოდენ წყრთა წურთითად ადგილი იჰყართ, ნუ შეესებით მას; არამედ უწყოდეთ ოდენ გზად, რომელსა სჯდოდით რამეთუ არა სრულ ხართ გზასა მას გუშინ ⁂ მუდან დღეთა ✿ ⁂ ჰრქუა ისუ ე ერსა მას, განიწმიდენით ხვალისა, რამეთუ ხვალე ყოს უფალმან თქუჴჴნ შორის საკჳრველი ✿ ⁂ ჰრქუა ისუ მღდელთა მეტუველთან ვ აღიღეთ კიდობანი შჯულისა უფლისა, ⁂ წარუმეღჳთ ერსა ამას, ⁂ აღიღეს მღდელთა მათ კიდობანი იგი შჯულისა უფლისა, ⁂ ვი- ზ დოდენ წინა ერისა მის ✿ ⁂ ჰრქუა უფალმან ისუს: ამას დღესა შინა ვიწყებ ამაღლებად შენდა წინაშე ყოველთა მეთა ისრაელისათა; რათა უწყოდიან რამეთუ ვითარცა ვიყავ მოსეს თანა, ეგრეცა ვიყო ჱ შენთანა ✿ ⁂ შენ ამცენ მღდელთა რომელთა აღიღონ კიდობანი იგი შჯულისა, ⁂ არქუ: რაჟამს შესჯდეთ ზოგსა წუალსა იორდანისასა იორდანესა შინა დაადგერით ✿ ⁂ ჰრქუა ისუ მეთა ისრაელისათა: თ მოკერბით აქა, ⁂ ისმინეთ სიტყუა უფლისა ღუთისა ჩუჴჴნისა ✿ ი ამით გულის კმაჲ ჴყოთ რამეთუ ღმერთი ცხოველ არს ჩუჴჴნ შორის; ⁂ მოსრვით მოსრნეს ჰირისაგან თქუჴჴნისა, ქანაანელნი ⁂ ქეტელნი: ეველნი ⁂ ფერეზელნი, ⁂ გერგესველნი, ⁂ იობოსელნი ⁂ ამორველნი ⁂ იუსველნი ✿ აჰა ესერა კიდობანი შჯულისა უფლისა ია ყოვლისა ქუჴჴნისა წიაღველოს იორდანესა, გამოირჩიენით თქუჴჴნ ათორმეტნი კაცნი მეთაგან ისრაელისათა, ერთი თჯთეულისაგან

იბ ნათესავისა ✡ ⁂ იოს რაჟამს დადგენ ფერჳნი მღდელთანი რომელ-
თა აღიღონ კიდობანი იგი შჯულისა უფლისა ყოველისა ქუჱყანი-
სა, წუალსა შინა იორდანისასა, წუალი იორდანისა მოაკლდეს, ⁂ [1]
იგ მომაგალი იგი წუალი დადგეს ✡ ⁂ იო რაჟამს წარიძრა ერი იგი
საყოფელთაგან მათთა, წიაღსლვად იორდანესა, [2] ხოლო მღდელ-
თა აღიღეს კიდობანი იგი შჯულისა უფლისა წინაშე ერისა ✡
იდ ხოლო ოდეს შეიდგინენ მღდელნი ამღებელნი კიდობნისა შჯულისა
უფლისა იორდანესა ⁂ ფერჳნი მღდელთა მათ კიდობნისა უფლისა
ამღებელთანი შეისოვნეს მცირედ წუალსა იორდანისასა, ხოლო
იორდანე სავსე იყო რაჲთურთით კიდედმდე მისა, ვითარცა დღეთა
იე იფქლისა მკისათა ✡ ⁂ დადგეს წუალი მომდინარე ზემორე, ⁂ და-
დგა შესქელებითა ერთითა შორს ჯერგმა ფრიად ფრიად, ადამაითგან
ვიდრე კერძოსა კარიათადმდე, ხოლო შთამავალი იგი, შთაგდა ზღუაჲ-
სა არბაისა მარილოვანსა შინა ზღუაჲსა სადაცა ვიდრე სრულიად
ივ მოაკლდა ✡ სოლო ერი იგი დგაჲ მართლ იერიქოსა, ⁂ [3] დგეს
მღდელნი იგი რომელთა აქუნდა კიდობანი იგი შჯულისა უფლისა
კმელსა, შორის იორდანესა, ⁂ ყოველნი მენი ისრაელისანი წიაღ-
ვიდოდეს კმელსა ვიდრემდის დაასრულა ყოველმან ერმან წიაღსლვა
იორდანესა.

თავი დ.

ა და ვითარცა დაასრულა ყოველმან ერმან წიაღსლვა იორდანე-
ბ სა, ეტყოდა უფალი ისუს ⁂ ჰრქუა ✡ მოიუჱანენ კაცნი ერისაგან
გ ათორმეტნი, კაცი ერთი თჯთოსაგან ნათესავისა ✡ ⁂ უბრძანე მათ
⁂ არქუ, აღიღეთ ამიერ საშუალ იორდანესა სადა დგეს ფერჳნი
მღდელთანი მზანი ქუანი ათორმეტნი, ⁂ ესენი წარისუჱნით
დ თქუჱნ თანა, ⁂ დასხენით იგინი საბანაკესა თქუჱნსა სადა დაიბა-
ნაკოთ მუნ ამას ღამესა ✡ ⁂ მოუწოდა ისუ ათორმეტთა კაცთა ჰა-
ტიოსანთა მეთაგან ისრაელისათჳს, ერთსა თჯთოსაგან ნათესავისა, ⁂
ე ჰრქუა მათ ✡ მოვედით წინაშე ჩემსა წინაშე ჱიერსა უფლისასა სა-
შუალ იორდანესა: ⁂ აღებით შუნით აღიღეს კაცად კაცადმან ქუაჲ ერთი

[1] ფსალმუნი რიგ.—[2] სჰმე ზ.—[3] ფსალმ. რდ.

ბეკთა ზედა თჳსთა, მსგაჳსად რიცხჳსა მის ნათესავთა ისრაელისათა ✿ გ
რათა იყუნენ ესენი თქუენ‌ნდა საწამებელად მარადის; ⁂ რაჟამს გკი-
თხჳდეს შენ ძე შენი ხუალე ⁂ გრქუას შენ: რაჲ არიან ქუანი
ესე თქუენ‌ნდა ✿ ⁂ შენ აუწუე მესა შენსა ⁂ არქუ, ვითარმედ დასწუდა ზ
იორდანე მდინარე ჰირისაგან კიდობნისა შჯულისა უფლისა ჴოვ-
ლისა ქუჱყანისა, რაჟამს წიაღვიდოდა მას, ⁂ განაკმა წუალნი იორ-
დანისა, ⁂ იუნენ თქუენ‌ნდა ქუანი იგი საკუენებელად ძეთა შორის
ისრაელისათა დამი უკუნისამდე ✿ ⁂ უნს ეგრე ძეთა ისრაელისათა ჱ
ვითარცა უბრძანა უფალმან ისუს: ⁂ აღიხუნეს ათორმეტნი ქუანი
საშუალ იორდანესა, ვითარცა უბრძანა უფალმან ისუს; ⁂ დასრულე-
ბასა მას წიაღსლუისასა ძეთა ისრაელისათასა, ⁂ წიაღიხუნეს იგი-
ნი მათთანა ბანაკად, ⁂ დასხნეს იგინი მუნ ✿ ⁂ აღმართნა ისუ თ
ბსუანი ათორმეტნი ქუანი თჳთ იორდანესა შინა, ადგილსა მას სა-
და დადგეს ფერუანი მღდელთანი, რომელთა აქუნდა კიდობანი იგი
შჯულისა უფლისა, ⁂ არიან იგინი მუნ მოდღეინდელად დღედმდე ✿
დადგეს მღდელნი იგი რომელთა აქუნდა კიდობანი იგი შჯულისა ი
უფლისა იორდანესა შინა, ვიდრე დასრულა ისუ ყოველი რაოდე-
ნი ამცნო უფალმან ისუს, თხრობად ერსა მას ყოველისა ებრ, რაო-
დენი ამცნო მოსე ისუს, ⁂ ისწრაფა ერმან მან ⁂ წიადა ✿ ⁂ იო ია
რაჟამს დასრულა ერმან მან წიაღსლუა (იორდანისა) წიადგდა კი-
დობანიცა იგი შჯულისა უფლისა, ⁂ ქუანი იგი წინა მათსა ✿ ⁂ [1] იბ
წიაღგდეს ძენი რუბენისნი, ⁂ ძენი გადისნი, ⁂ ზოგი ნათესაჲ მანა-
სესი, გამზადებულნი წინაშე ძეთა ისრაელისთა, ვითარცა ამცნო მათ
მოსე ✿ ორმოცი ათასი ჯურვილნი ბრძოლად წიაღგდეს წინაშე იგ
უფლისა, ბრძოლად იერიქოსა ქალაქისა ✿ მას დღესა შინა აღა- იდ
მაღლა უფალმან ისუ წინაშე ყოველისა ნათესაჲსა ისრაელისა: ⁂
ეშინოდათ მისგან, ვითარცა ეშინოდა მოსესაგან რაოდენ ჟამ ცხო-
ველ იყო იგი ✿ ⁂ ეტყოდა უფალი ისუს ⁂ ჰრქუა ✿ უბრძანე იე,იზ
მღდელთა რომელთა აქუნდა კიდობანი იგი შჯულისა საწამე-
ბელისა გამოსლვად იორდანისაგან ✿ ⁂ უბრძანა მღდელთა მათ იზ

[1] დ მოსე ღბ.

იჱ ისუ, ⁂ ჰრქუა: გამოვედით იორდანით ✿ ⁂ იუო რაჟამს გა-
მოჰხდეს იორდანით მღდელნი იგი, რომელთა აქვნდა კიდობანი
იგი შჯულისა უფლისა საშუალით იორდანისა, ⁂ დაიდგნეს მათ
ფერჴნი კმელსა ზედა, ⁂ წარმოემართა წუალი იორდანისა ადგილ-
სავე ზედა თჳსსა, ⁂ ვიდრა ვითარცა გუშინ ⁂ მუღან დღე-
ით თა უოველისა შორის კბოდისა ✿ ⁂ ერი იგი აღმოჰვიდა იორდანით
მეათესა დღესა თჳსა მის ჰირუშჱლისასა; ⁂ დაიბანაკეს მეთა ის-
რაელისთა გალგალს შინა კერძოსა ზედა რომელ არს აღმოსავ-
კ ლით მზისა იერიქოსაგან ✿ ხოლო ათორმეტნი ქუანი იგი, რომე-
ლი აღიღეს იორდანისაგან, დაადგინა ისუ გალგალსა შინა, ⁂
კა ჰრქუა მეთა ისრაელისთა მეტუუშჱლმან ✿ რაჟამს გკითხვიდენ შენ
კბ მენი შენნი, ⁂ გრქუან: რაჲ არიან ქუანი ესე ✿ უთხართ შჯლთა
თქუჱნთა: ვითარმედ კმელსა ზედა წიაღმოჰვიდა ისრაელი იორდანე-
კგ სა ✿ რამეთუ [1] განაჴმო უფალმან ღმერთმან ჩუჱნ წუალი იორ-
დანისა წინაშე მათსა, ვიდრე წიაღსჳლამდე მათდა, ვითარცა მიუო
უფალმან ღმერთმან ჩუჱნ, მეწამულსა ზღუასა, რომელი განაჴ-
ლგ საულ შვა იონათან, ⰴ მელხისუე, ⰴ ამინადაბ, ⰴ ეზვაალა ✿ ხოლო
ძენი იონათანისნი, მემფივოლ ⰴ ანუ მემფივოსთეი, ⰴ მემფივოალ შვა
ლდ მიქა ✿ ხოლო ძენი მიქაისნი, ფითოთ, ⰴ მალოხ, ⰴ ფარეს, ⰴ
ლე ახაზ ✿ ხოლო ხაზ შვა იოდა, ხოლო იოდა შვა სალემეფა, ⰴ ას-
ლვ ლზ მოთ, ⰴ ზამბრი, ხოლო ზამბრი შვა მესა ✿ ხოლო მესა შვა ბაანა
რაფეა მე მისი, ელასა მე მისი, ასაილ მე მისი ✿ ხოლო ასაილი-
სა ექუსნი ძენი, ⰴ ესე სახელები მათი, ეზრიკამ ჰირმშო მისი, ⰴ
ლთ ჳზმაილ, ⰴ ასარია, ⰴ აბდია ⰴ სარაია, ⰴ ანან, ესე ყოველნი ძე-
ნი ასალისნი ✿ ხოლო ძენი ასინისა ძმისა მისისანი; ულამ ჰირ-
მშო მისი, ⰴ იეუს მეორე, ⰴ ელიფას მესამე ✿ ხოლო იქმნეს
ძენი ულამისნი, კაცნი ძლიერნი ძალითა, მომრთხმელნი მშჯლდი-
სანი, ⰴ განმრავლებულნი მეთა, ⰴ მეთა მეთანი, ას ორმეოცდა ათ-
ნი: ესე ყოველნი მეთაგან ბენიამენისთა.

თ ა ვ ი თ.

ა და ყოველი ისრაელი აღრიცხულ არს ⰴ აჴა არიან აღწე-
რილ წიგნსა შინა მეფეთა ისრაელისათა, ⰴ იუდასათა, გარდაშენე-
ბ ულთა თანა ბაბილონს შინა უსჯულოებათა წილ მათთა, რომლი-
თა იუსჯულეს ✿ ⰴ რომელთა დაივანეს ჰირველ სამკჳდრებელთა
გ ებრ თჳსთა ქალაქთა შინა ისრაელთასა, მღდელთა, ⰴ ლევიტელთა
ⰴ მიცემულთა მსახურებასა სედა ✿ ⰴ იერუსალემს შინა დაივანეს,
დ მეთაგან იუდასთა, ⰴ მეთაგან ბენიამენისათა, ⰴ მეთაგან ეფრემისთა
ⰴ მანასესთა ✿ უთი ძე ამიუდისა, ძისა ამბრისა, ძისა ამმირა-

[1]) ჭკმორე თ.—[2]) ჭკმორე თ. ა მეფეთა იდ.

იმისა მისა ბანიისა, მისა მეთა ფარესისთა, მისა იუდასა ✿ ⁂ სი- ე
ლომისგან, ასა ჰირმშო მისი, ⁂ მენი მისნი ✿ ხოლო მეთაგან ვ
ზარასია, იეილ, ⁂ ძმანი მათნი, ექვსას ოთხმეოცდა ათი ✿ ⁂ მე- ზ
თაგან ბენიამენისთა, სახომ მე ბოსოლამასი, მისა ოდუიისა, მისა
სანუისა ✿ ⁂ იებანა მე იერობოამისა, ⁂ ილავ: ⁂ ესენი მენი ოზი- ჱ
სნი, მისა მაქირისა, ⁂ მოსოლამ, მე საფათისა, მისა რაგუილისა,
მისა იებანისა ✿ ხოლო ძმანი მათნი შობისაებრ მათისა ცხრა ას თ
ორმეოცდა ათექუსმეტნი, ყოველნი კაცნი, მთავარნი ტომთა სა- ი
სლისაებრ მამეულთა თჯსთა ✿ ხოლო მდგელთაგან იოდაი, ⁂
იოარიმ, ⁂ იოაკიმ ✿ ⁂ ასარია მე სელკისა, მისა მოსოლამისა, ია
სა სადუკისა, მისა მარარიოთისა, მისა აქიტობისა უსუცესისა სა-
სლსა ღუთისსა ✿ ⁂ ადიამ მე იერაამისა, მისა თაზბორისა, მისა იბ
მელქიისა, ⁂ მაასია, მე ადიილისა, მისა აზერისა, მისა მოსოლამი-
სა, მისა მასელიმოთისა, მისა ემმარია ✿ ხოლო ძმანი მათნი მთა- იგ
ვარნი სახლისაებრ მამეულისა მათისა, ათას შჯდას სამეოცი, ძლი-
ერნი ძალითა საქმისა მსახურებისა სახლსა შინა ღუთისსა ✿
ხოლო ლევიტელთაგან, სამეია მე ასუბისა, მისა აზრიკამისა, მისა იდ
საბიისა, მეთაგან მერარისთა ✿ ხოლო ბაკბაკარ, ⁂ არეს ⁂ ბარეა, ⁂ იე
მათანია მე მიქასი, მისა ზეხრისა, მისა ასაფისა ✿ ⁂ აბდია მე ივ
სამესი, მისა გოლიელისა, მისა ადიფუნასი, ⁂ ბარაქია მე ასისასი,
მისა ელკანისა. რომელი დაშენებულ იყო ესოთა შორის ნეტო-
ფათისთა ✿ ხოლო მეკრენი, სელუმ ⁂ აკუმ, ⁂ თელმონ, ⁂ ემმან, იზ
⁂ ძმანი მათნი ✿ სელუმ მთავარი, ⁂ ვიდრე ამა ჟამადმდე ბჭეთა იჱ
შინა მეფეთასა აღმოსავლეთისა მიმართ, ესე ბჭენი დაბანაკებასა
ზედა მეთა ლევისთა ✿ ⁂ სელუმ მე კორესი, მისა აბიასაფისა, მი- ით
სა კორესა; ⁂ ძმანი მისნი სახლისაებრ მამეულთა მათთასა, კორე-
ანნი საქმეთა ზედა მსახურებისათა, მცველნი საკმიღავთა კარვისათა,
⁂ ძამანი მათნი ბანაკთა ზედა უფლისათა, მცველნი შესავალთანი ✿
სოლო ფინეჱს მე ელიაზარისა იყო მეყანებელი მათი წინაშე უფლი- კ
სა, ⁂ ესენი მას თანა ✿ ⁂ შემდგომად ამისა ზაქარია მე მოსოლ- კა
ლამისა, მეკრე კარისა კარვისა საწამებელისა ✿ ყოველნი რჩეულ- კბ

ნი მეცრეცი კართა ზედა, ორას ათორმეტნი: ესენი აყარაკებთა მათთა აღრიცხლულნი: ესენი დაადგინნეს დავით ჴ სამეულ წინათ მსყ-
კგ დველმან სარწმუნოებისა მათისამან ✿ ჴ ესენი ჴ ძენი მათნი იყვნენ ბჭეთა თანა სასლისა უფლისათა, ჴ სასლსა შინა კარეცისასა მჴმი-
კდ ლავნი რიგისაებრ ✿ ოთხთავე ქართა იყვნენ კარნი აღმოსავლით,
კე დასავლით, ჩრდილოთ, ჴ სამხრით ✿ ხოლო მძანი მათნი, რომელნი ცხოვრებდეს დაბნებთა შინა თჯსთა აღმოვიდოდეს შაბა-
კვ თთაებრ ქამთაგან ვიდრე ქამადმდე ცვალებასა ზედა მათსა ✿ ვინათგან ოთხთა მეკრეთა უხუცესთა რწმუნებულნი იყვნენ კარნი იგი, ჴ ლევიტელნი იყვნენ საცველთა ზედა, ჴ საუნჯეთა ზედა სახლისა
კზ ღჯთისასა დიბანაკებდეს ✿ ჴ გარემოს სახლისა ღჯთისასა იქცეოდენ საგმილაჲთა შინა თჯსთა. ჴ ესენი კლიტეთა ზედა რომელნი
კჱ ადრე განსმად ჯერ იყო ბჭეთა ტაძრისათა ✿ ხოლო ამათგანნი იყვნენ ჯურჭელთა ზედა მსახურნი, რამეთუ რიცხჯსაებრ მოიღებდეს
კთ ჯურჭელთა ჴ რიცხჯსაებრ განიღებდენ ✿ ჴ ამათგან დადგინებულნი ჯურჭელთა ზედა, ჴ ყოველთა ზედა ჯურჭელთა წმიდათასა, ჴ
ფქვილთა ზედა იფქლისათა, ჴ ღჯნოთა, ჴ ზეთთა, ჴ საკმეველთა
ჴ სულნელთა ✿ ხოლო ძენი მღდელთანი იყვნეს მსარშველნი მუ-
ლა რთა საცხებლად, ჴ შემსადებდეს არომათიით ✿ ჴ მატათია ლევიტელთაგან, ესე ჰირმშო სალუმ კორიანისა, რომლისა რწმუნებულ
ლბ იყო საქმე ტაფისა მსხუჶრჱლთა დიდისა მღდელისა ✿ ჴ ბანაკ კაათთული მმათაგან მათთა იყო ჰურთა ზედა წინა დასაბჭელისათა,
ლგ რომელი განმსადებდა შაბათითი შაბათად ✿ ჴ ესე ფსალმუნთ მგალობელნი, მთავარნი მამულთა ლევიტელთანი, განსამღუჶრებულნი ცვალებისაებრ ტაძარსა შინა ყოველ დღე, რათა დღე ჴ დამე
ლდ თჯსსა მსახურებასა მსახურებდენ ✿ ესე მთავარნი მამეულთა ლევიტელთანი ნათესაობისაებრ მათისა, უფროსნი ესენი ეგნეს იერუსა-
ლე ლემსა შინა ✿ ხოლო გაბაონსა შინა სცხოვრებდა მამად გაბაონისა
ლვ იეილ, ჴ სახელი ცოლისა მისისა მაახა ✿ ჴ ძე ჰირმშო მისი აბ-
ლზ დონ, ჴ სურ, ჴ კის, ჴ ბაელ, ჴ ნირ, ჴ ნადაბ ✿ ჴ გედორ, ჴ
ლჱ მძანი მისნი, აიუნ, ჴ სქერი, ჴ მაკელოდ ✿ ხოლო მაკელოდ შვა სა-

მაა, ⁂ ესენი დაემკჳდრნეს შორის მმათა თჳსთა იერუსალემს შინა
მმათა თანა თჳსთა ✿ ხოლო [1] ნირ შვა კის, ⁂ კის შვა საული, ⁂ ლთ
საულ შვა იონათან, ⁂ მელხისუა, ⁂ ამინადაბ, ⁂ იესვაალა ✿ ხო- ე
ლო ძენი იონათანისნი, მემფივალ, ⁂ მემფივალ შვა მიქა ✿ ხო- მა
ლო ძენი მიქასნი, ფილოთ ⁂ მელქიილ, ⁂ თარა, ⁂ ქაად ✿ ხო- მბ
ლო ქააზ შვა იოდა, ხოლო იოდა შვა ალეთ, ⁂ აზმოთ, ⁂ ზამბრია,
ხოლო ზამბრია შვა მაასა ✿ ხოლო მაასა შვა ბანა, რომლისა მე მგ
რაფაია, ელას ძე მისი, ასაილ ძე მისი ✿ ხოლო ასაელს ესხნეს ექუ- მდ
სნი ძენი, ⁂ ესე სახელნი მათნი, ესრეკამ პირმშო მისი, ⁂ ისმაილ,
⁂ აზარია, ⁂ აბდია, ⁂ ანან, ⁂ ასა: ესენი ძენი ასაილისნი.

თავი ი.

ხოლო [2] ფილისტიმელნი ჴებრძოდეს ისრაელსა, ⁂ ივლტო- ა
დეს კაცნი ისრაელისანი პირისაგან უცხო თესლთასა, ⁂ დაეცეს
წყლულებულნი მთასა ზედა გელბუისასა ✿ ⁂ სდევნიდეს უცხო ბ
თესლნი კუალსა საულისასა, ⁂ კუალსა ძეთა მისთასა, ⁂ მოკლეს
უცხო თესლთა იონათან, ⁂ ამინადაბ, ⁂ მელხისუა, ძენი საულის-
ნი ✿ ⁂ დამძიმდა ბრძოლა საულსა ზედა, ⁂ ჰოვეს იგი მეისრეთა გ
მშჳლდსა შინა, ⁂ წყლეს იგი ისრითა, მოუმლურებული ⁂ ტანჯ-
ვასა, ისრისაგან ✿ ⁂ ჴრქუა საულ მეაბჯრესა თჳსსა, იყადე მახჯ- დ
ლი შენი, ⁂ მით განმგმირე მე, რათა არა მოვიდენ წინა დაუცვე-
თელნი, ⁂ მეცილსხდენ მე, ⁂ არა ენება მეაბჯრესა მას, რამეთუ
ეშინოდა ფრიად, ⁂ აღმოიწოდა საულ მახჯლი, ⁂ დაცა მას ზედა ✿
⁂ იხილა მეაბჯრემან მისმან, რამეთუ მოკუდა საულ ⁂ დაცა იგი- ე
ცა მახჯლსა ზედა თჳსსა, ⁂ მოკუდა ✿ ხოლო მოკუდა საულ, ⁂ ვ
სამნი ძენი მისნი მას დღესა შინა, ⁂ უოველი სახლი მისი ერთ-
ბამად მოკუდა ✿ ⁂ ოდეს იხილეს კაცთა ისრაელთა რომელნი ს
იუენეს ველსა შინა, რამეთუ ივლტოდა ისრაელი, ⁂ რამეთუ მო-
კუდა საულ ⁂ ძენი მისნი, დაუტეევეს ქალაქნი თჳსნი, ⁂ განივლ-
ტოდეს, ⁂ მოვიდეს უცხო თესლნი, ⁂ დაემკჳდრნეს მათ შინა ✿ ⁂ ფ
იქმნა განთიად, ⁂ მოვიდეს უცხო თესლნი განსაძარცუწლად დაცე-

[1]) ზემორე ფ.—[2]) ა მეფეთა იგ.

მულთა ჴ ნატეუშ̃ნავისა, ჴ ჰოეს საულ, ჴ მენი მისნი დაცემულ-
თ ნი მთასა სედა გელბუისასა ✿ ჴ განმარცუშ̃ს იგი ჴ წარეუშ̃თეს
თავი მისი, ჴ საჯურველნი მისნი, ჴ წარეზავნნეს ქუშ̃ყანასა შინა
უცხო თესლთასა, რათა შეიღონ ჴ აჩვენონ კერპთა მათთა, ჴ ერ-
ი თა ✿ ხოლო საჯურველი მათი დადვეს ბოძონსა შინა ღუთისა მა-
ია თისასა, ჴ თავი მისი ბოძონსა შინა დაგონისასა ✿ ჴ ესმათ ყო-
ველთა მკჳდრთა იაველსა შინა გალადიასათა ყოველი, რომელი
იბ უქმნეს ფილისტიმელთა საულს, ჴ მეთა მისთა ჴ ისრაელთა ✿ ჴ
ადგეს გალადიასაგან ყოველნი კაცნი ძლიერნი, ჴ მოვიდეს ჴ
აღიღეს გუშამი საულისა, ჴ გუშამნი მეთა მისთანი, ჴ მოიღეს მათ
იგინი იაბის შინა, ჴ დაფლნეს ძვალნი მათნი ქუშ̃ყშე მუხასა იაბსა
იგ შინა, ჴ იმარხეს შჯდ დღე ✿ ჴ [1] მოკუდა საულ უსჯულოებათა
შინა თჯსთა, რომლითა ეუსჯულოა უფალსა, სიტყჯსა ებრ უფლი-
სა, ვინათგან არა დაიმარხა, ჴ რამეთუ [2] ჰკითხა საულ მუცლით
მოსულჯრესა გამოძიებად, ჴ მიუგო მას სამოელ წინასწარმეტუშ̃ს-
იდ ლმან, რამეთუ არა გამოჰკითხა უფალსა ✿ ჴ მისთჯს მოკლა
იგი, ჴ მიაქცია მეფობაჲ მისი დავითისად, ძისა იესესი.

თ ა ვ ი ია.

ა [1] ✿ეკრბა ყოველი ისრაელი დავითის მიმართ ქებრონს შინა,
ბ ჴ ეტყოდეს: აჰა მჯალნი შენნი ჴ ჯორცნი შენნი ვართ ✿ ხოლო
გუშინ ჴ გუშინწინ, ოდეს კუალად მეფობდაღა საულ, შენ იყავ გა-
მომჳვანებელ ჴ შემჳვანებელ ისრაელისა, ჴ შენ გრქუა უფალმან
ღმერთმან შენმან: შენ მწყსიდე ერსა ჩემსა ისრაელსა, ჴ შენ იყო
გ მთავრად ერთა ჩემთა ზედა ისრაელთა ✿ ჴ მოვიდეს ყოველნი მო-
ხუცებულნი ისრაელისა მეფისა მიმართ ქებრონს შინა, ჴ დაამტ-
კიცა დავით მათ თანა აღთქმა ქებრონს შინა წინაშე უფლისა, ჴ
სცხეს დავითს მეფედ ისრაელსა ზედა, სიტყჯსა ებრ უფლისა,
ე რომელი თქუა კელითა სამოელისათა ✿ ჴ წარვიდა მეფე დავით, ჴ
ყოველნი ისრაელნი იერუსალიმს შინა, ესე არს იებუს, სადაცა
ვ იუნეს იებუსელნი მკჳდრნი მის ქუშ̃ყანისა ✿ ხოლო ჰრქუშ̃ს და-

[1]) ა მეფეთა იდ.—[2]) ა მეფეთა კ̃ზ.—[3]) ბ მეფეთა ჯ.

ვითს რომელნი დაშენებულ იუშენეს იებოსს შინა, არა შემოხჳდე
აქა: ✠ აღიღო დავით სიმაგრე სიონისა რომელ არს ქალაქი დავი- 8
თისი ✿ ხოლო ჰრქუა დავით: ყოველმან რომელმან მოკლას იებო-
სელი ჰირველად იოს მთავარ, ✠ მკედართა მთავრად: ✠ აღვიდა მათ ზ
ზედა ჰირველ იოაბ ძე სარუისი, ✠ იქმნა მთავრად ✿ ✠ დაჯდა
დავით ✠ დაეგანა მას შინა: ამისთჳს ეწოდა მას ქალაქი დავითი- ჱ
სი ✿ ✠ აღაშენა ქალაქი გარემოს მაალოსგან, ვიდრე ძომრეულე-
ბულადმდე: ხოლო იოაბ სხუანი ქალაქნი აღაშენნა ✠ იბრძოლა ✠
აღიღო ქალაქი ✿ ხოლო აღისწრაფდა დავით ✠ ვიდოდა, ✠ აღ თ
მაორძინდებოდა, ✠ უფალი ყოვლისა მჴერობელი იყო მის თა-
ნა ✿ [1] სოლო ესე იუშენეს მთავარნი ძლიერნი დავითისნი, რომე- ი
ლნი შეეწეოდეს მას მეფობასა შინა მისსა ყოველთა თანა ისრაელ-
თა, რათა მეფე იქმნეს სიტეჳსა ებრ უფლისა, ისრაელთა ზედა ✿ ✠ ია
ესე არს რიცხჳ ძლიერთა დავითისათა: იესბაალ, ძე ქომანისა,
ჰირველი შორის ოცდა ათთა, ამან იწყვადა ხრმალი თჳსი ერთგზის
სამასთა ზედა წულულთა ერთსა შინა ჟამსა ✿ ✠ შემდგომად მისა იბ
ელეაზარ ძე დოდეს აქოქისა, ესე იყო შორის სამთა ძლიერთა ✿
ესე იყო დავითის თანა ფასკდომინს შინა, სადა უცხო თესლნი შე- იგ
კრებულ იუშენენ ბრმოლასა ზედა, ✠ იყო წილი ველისა სავსე ქრთი-
ლითა, ✠ ერნი ივლტოდეს ჰირისაგან უცხო თესლთასა ✿ ✠ [2] და- იდ
დგა საშუალ წილსა, ✠ დაიფარა იგი, ✠ მოსწყჳდნა უცხო თესლნი,
✠ უყო უფალმან ცხოვრება დიდი ერსა თჳსსა ✿ ✠ შთამოვიდეს იე
სამნი ოცდა ათთაგან მთავართა კლდესა ზედა დავითის მიმართ
ქუაბსა შინა ოდოლამისასა, ✠ ბანაკი უცხო თესლთა დგეს ტიტე-
სა შინა გჱრთასა ✿ ხოლო დავით იყო მაშინ სიმაგრესა შინა, ✠ ივ
ბანაკი უცხო თესლთა ბეთლემს შინა ✿ ✠ შეეწუურა დავითს ✠ იზ
თქუა: ვინ მასჩას მე წყლისაგან ჯურღმულისა ბეთლემურისა რო- იჱ
მელ არს ბჯეთა შინა ✿ ✠ სამნი ესენი მოჳდეს შორის ბანაკთა
უცხო თესლთასა, ✠ აღმოიცვეს წუალი ჯურღმულისაგან, რომელ
არს ბეთლემს შინა, რომელი იყო ბჯეთა შინა, ✠ აღიღეს ✠ მოი-

[1]) ბ მეფეთა კგ.—[2]) ბ მეფეთა კგ.

ღეს დავითის მიმართ რათა სჳას, ⁂ არა ინება დავით სუმა მისი,
ით ⁂ გარდუთხია იგი უფალსა ✿ ⁂ ოქუა: დამიცევ მე უფალო, რათა
არა გქმნა სიტჳა ესე, უკეთუ სისხლი კაცთა ამათ ჳსჳა, სულ-
თა შინა მათთა, ვინათგან სულითა თჳსითა მოიღეს იგი, ⁂ არა
კ ინება სმა მისი: ესე ქმნეს სამთა მლიერთა ✿ ⁂ აბესია ძმა იობი-
სა, იყო ჰირველი სამთა შორის, ამან იწჳადა კრმალი თჳსი წინა
ალმდგომად სამასთა კაცთა ერთსა შინა ჯამსა, ⁂ მოკლნა იგინი, ⁂
კა იყო იგი შორის სამთა სახელოჳანი ✿ სამთაგან შორის ორთა
ჳოვლად დიდებული, ⁂ იყო მათი უჴუცესი, გარნა სამთა მიმართ
კბ ჰირველთა ვერა მისწუდა ✿ ხოლო ვანე მე იოადაგისა, მე კაცისა
მლიერისა, მრაგალნი არიან საქმენი მისნი, კაგასალისათჳს: მან
მოკლა ორნი, არილა მოაბელი, ⁂ იგი შთავიდა ⁂ მოკლა ლომი
კგ ჯურღმულთათანა ჯამსა შინა თოვლისასა ✿ ⁂ მან მოკლა კაცი
მეგჳპტელი, რომლისა ჴასაკი იყო, ხუთი წურთა, ⁂ ჴელსა შინა
მეგჳპტელისასა შუბი, ვითარცა რვილი მქსოელთა, ⁂ შთავიდა მი-
სა მიმართ ბანეა კუჲრთხითა, ⁂ წარმოსტაცა შუბი ჴელისაგან მე-
კდ გჳპტელსა, ⁂ მოკლა იგი შუბითა მისითა ✿ ესენი ქმნა ბანეა მე-
კე მან იოდაისმან, ⁂ იყო სახელოჳან შორის სამთა მლიერთა ✿ ოც-
და ათთა ზედა იყო ჰირველი ესე ⁂ სამთა მიმართ არა მისწუდა, ⁂
კვ დაადგინა იგი დავით მამეულსა ზედა თჳსსა ✿ ⁂ მლიერნი ძალთა-
ნი: ასაილ ძმა იოაბისა, ელჳანან, მე დოდოესი ბეთლემისაგან ✿
კზ,კჱ სამოთ, ადდიტანელი, სელკიაფელონელი ✿ ორეი მე კისისაგან
კთ,ლ ფეკუელი, აბიეზერ ანათოთელი ✿ სობოქაი ასოთიელი ✿ ილი
ახორელი, ბოორაი, ძე ნეტოფათისა, ელლად, მე ბაინაკკისა ნე-
ლა ტოფალელისა ✿ ⁂ ფაი მე რიბჳნისა ბორცჳსაგან ბენიამჳნისა,
ლბ ბანეა მე ფარათონისა ✿ ურიი, ნეალისაგან, ღალსავილ, რომელი
ლგ იყო სარაბეთელი ✿ აზმოთ, ბარსაძელი, ელიაბ, სალაბონელი ✿
ლდვ ირას გოინელი, იონათან, მე საბის ასარათელისა ✿ ახიამ, მე
ლვზ საქარ არარეთელისა ✿ ზიფალ მე ორინისა, აფურ მეხურათელი ✿
ლჱ ახია, ფელონელი, ასარა მარმელელი ✿ ნოორა ძე აბდიესი,
ლთ იოილ ძმა ნათანისა, მაბარ მე ატარისა ✿ სელლიკ ამმონელი,

ნაარე, ბეროთელი, რომელი იტჯრთჯდა საჯურველსა იოაბისას
მისა სარუისასა ✿ ირა, იეთერელი, ღარიბ, ფერინელი ✿ ურია ე,მა
ქეტელი, ვაზათ მე ოლისა ✿ ადინა მე საქისა, რუბენის მოავარი- მბ
სა, ⁂ მისთანა ოცდა ათი ✿ ანან მე მაჯისა, ⁂ ისაფატ ფაფანე- მგ
ლი ✿ ოზია ასტაროთელი, სამმა ⁂ იეილ, მე ქოთამისა, არარე- მდ
თელისა ✿ ⁂ იედიალ მე სამერისა, ⁂ იოზაე ძმა მისი თოსე- მე
ლი ✿ ელიიელ მაოელი, ⁂ არიბა, ⁂ ოსოია მე მისი, ენაამ, ⁂ იე- მვ
თემა მოაბელი ✿ ელიიელ ⁂ ობედ, ⁂ იესიელ მესოიბელი. მზ

თ ა ვ ი ია.

და ესენი მოვიდეს დავითის მიმართ სიკილას შინა ოდეს კუშა- ა
ლად გარემოცული იყო ჰირისაგან საულისა ძისა კისისა, ⁂ ესენი
ძლიეთაგან შემწენი ბრძოლასა შინა ✿ ⁂ მომრთხმელნი მშჯლ- ბ
დისა მარჯუენითა ⁂ მარცხენითა კელითა ⁂ მეშურდულენი ქჯთა
⁂ ისრითა, ძმათაგან საულისთა ტომთაგან ბენიამენისა ✿ მთავარი გ
ახიეზერ, ⁂ იოას მე სამესი, გაბათიტელისა, ⁂ იეზიელ, ⁂ ფალით
მენი ზამოთისნი, ⁂ ბარაქია, ⁂ იუა ანათოთიტელი ✿ ⁂ სამაია დ
გაბაონიტელი, ძლიერი შორის ოცდა ათთა, ⁂ ოცდა ათთა ზედა,
⁂ იერემია, ⁂ იეზეკიელ, ⁂ იოანნან, ⁂ იოზაბათ დადარათიტელი ✿
ელიოზი, ⁂ იერიმუთ, ⁂ ბაალია, ⁂ სამარია, ⁂ საფატია არუფი- ე
ნელი ✿ ელკანა, ⁂ იესია, ⁂ იელიიელ, ⁂ იეზაარ, ⁂ იეზბაამ, ვ
კორიტელნი ✿ ⁂ იოილა, ⁂ ზაბადია, ძენი იეროამისნი, რომელ- ზ
ნი გედორასაგან იუშენ ✿ ⁂ გადდისგან მოილტოდეს დავითის მი- ჱ
მართ, ოდეს იფარვოდა უდაბნოსა შინა, კაცნი ძლიერნი, ⁂ მებრ-
მოლნი განწესებულნი მტჯრთველნი ფარისა ⁂ შუბისანი, ხოლო
ჰირნი მათნი ვითარცა ჰირნი ლომთანი, ⁂ მსუბუქ ვითარცა ქურ-
ციკნი მთათა ზედა სიმსწრაფლითა ✿ აზერ ჰირველთა შორის, ავ- თ
დია მეორე, ალიად მესამე ✿ მაზმან მეოთხე, იერემია მეხუ- ი
თე ✿ იეთთია მეექუსე ✿ ელიიელ მეშჯდე, იოანან მერვე, ელზაბელ ია,აბ
მეცხრე ✿ იერემია მეათე, მაქაბენაი მეათერთმეტე ✿ ესენი ქოთა- აგ,აჱ
გან გადმოისთა, მთავარნი მოლაშქრენი უმცროსი ასთა ზედა, ⁂
უფროსი ათასთა ზედა ✿ ესენი მოვიდეს იორდანეს თუესსა ჰირ- აე

ველსა, ⁂ ესე სავსე იყო ჴოველთა ნაჴირთა თჳსთა, ⁂ განსდევნეს
ჴოველნი, რომელნი ცხოვრებდეს ღელეთა შინა აღმოსავლეთისა-
ივ გან ვიდრე დასავლისამდე ✿ ხოლო მოვიდეს ძეთაგან ბენიამენისთა
იზ ⁂ იუდასათა შეწევნად დავითისა ✿ ⁂ განვიდა დავით მიგებებად
მათდა, ⁂ ჰრქუა მათ: უკეთუ მშჳდობით მოხუჱდით ჩუჱნდა მი-
მართ, იყავ გული ჩემი ეგრეთვე თქუჱნდა: ხოლო უკეთუ მიცემად
ჩემდა წინა აღმდგომთა ჩემთა, ⁂ არა იქუშაროიტებით ჴელთა შინა,
იჱ იხილოს ღმერთმან მამათა ჩუჱნთამან ⁂ საჯოს ✿ ამხილა სულმან
ამასიას მთავარსა ოცდა ათსა ზედა, ⁂ ჰრქუა; მიჱვედ დავით ძეო
იესესო, ⁂ ერნო მისნო: მშჳდობა, მშჳდობა შენდა, ⁂ მშჳდობა
შემწეთა შენთა, რამეთუ შენ შეგეწიოს ღმერთი შენი, ⁂ შეიწყნარნა
ით იგინი დავით, დაადგინნა იგინი მთავრად ძალთა ✿ ⁂ მანასესაგან
მოივლტოდეს დავითის მიმართ, ოდეს მივიდოდეს უცხო თესლნი
საულსა ზედა ბრძოლად, ⁂ არა შეეწეოდა მათ დავით, რამეთუ [1]
განზრახუა იქმნა მსჱდართ მთავართათანა უცხო თესლთასა, ⁂ იტ-
ჴოდეს: კაცთა ამათ თავებითურთ მოიქცით უფლისა მიმართ თჳსი-
კ სა საულისა ✿ ⁂ ოდეს წარვიდა დავით სიკილად, მიივლტოდეს
მისა მიმართ მანასესაგან ედნაი, ⁂ იოსათაფ, ⁂ იედიილ, ⁂ მი-
ხაილ, ⁂ იოსაფათ, ⁂ ელიუ, ⁂ სალათი, მთავარნი ათასის თავთა
კა ზედა მანასესთა ✿ ესენი მისცემდეს შეწევნას დავითს ლაშქართა ზე-
და გედურთასა, რამეთუ ყოველნი ძლიერნი ძალითა იუჱნენ, ⁂ წი-
კბ ნამძღუარ მჱედართა შორის ძალთასა ✿ რამეთუ ყოველთა დღეთა
მოვიდოდეს დავითის მიმართ შეწევნად მისსა ძალითა დიდითა, ვი-
კგ თარცა ძალითა ღჱთისათა ✿ ⁂ ესე სახელნი მთავართა მჱედართა-
ნი, რომელნი მოვიდეს დავითის მიმართ ქებრონს შინა, რათა
მოაქციონ შეფობა საულისა მისდა მიმართ სიტყჳსაებრ უფლისა ✿
კდ ესენი იუდასნი მტჳრთუჱლნი ფართა ⁂ შუბთანი, ექუსი ათას რვა-
კე სი, ძლიერნი წყობასა შინა ✿ ძეთაგან სჳმეონისთა, ძლიერ-
კვ ნი ძალითა წყობასა შინა, შჳდი ათასი ⁂ ასი ✿ ძეთაგან ლევისთა
კზ ოთხასთას ⁂ ექუსასი ✿ ⁂ იოდად მთავარი ტომისაგან აჰრონისა,

[1]) ა შეფეთა კთ.

ჴ მისთანა სამი ათასი ჴ შჯდასი ✿ ჴ სადოკ, ურმა მღიერი მა- კჶ
ლითა, ჴ სხლისა მაძისა მისისა მთავარნი ოცდა ორნი ✿ ხო- კთ
ლო მეთაგან ბენიამენისთა მძათა საულისთა სამი ათასი, ჴ კუა-
ლად უფროსი წილი მათი სცჯდენ სმილგასა სახლსა საულისსა ✿
ჴ მეთაგან ეფრემისათა, ოცი ათას რვაასი მღიერნი, კაცნი სახე- ლ
ლოვანნი სახლისაებრ მამეულთა მათთასა ✿ ჴ ნახევარ ტომისა ლა
მანასესა ათჯრამეტი ათასი, ჴ რომელნი იწოდებოდენ სახელებითა
რათა დაადგინონ მეფედ დავით ✿ ჴ მეთაგან იზაქარისათა კაცნი ლბ
მსწავლელნი, რომელნი სცნობდეს ჯამსა განზრახჯასა, რაჲ უო-
ფად აქუს ისრაელსა, თავნი მათნი ორასნი, ჴ ყოველი ძმანი მათნი
მათთანა ✿ ჴ ზაბილონისაგან შემოსრულნი წყობასა შინა ბრძო- ლგ
ლისასა, ყოველითა საჯურველითა ბრძოლისათა, ორმოცდა ათი
ათასი შეწევნად დავითისა არა უქმითა კელითა ✿ ჴ ნეფთალემისა- ლდ
გან მთავარნი ათასნი, ჴ მათ თანა ფართა შინა, ჴ შუბითურთ,
ოცდა ათჯრმეტი ათასი ✿ ჴ მეთაგან დანისთა დამბანაკებელნი ლე
ბრძოლასა ზედა, ოცდა რვა ათას აქუსასი ✿ ჴ ასირისაგან მოს- ლვ
რულნი შეწევნად ბრძოლისა, ორმეოცი ათასი ✿ ჴ წიაღ ადგი- ლზ
ლით იორდანისა მეთაგან რუბენისთა ჴ ცაადისაგანთა, ჴ ნახევარ
ტომთაგან მანასესათა, ყოველითა საჯურველითა ბრძოლისათა ას-
ოცი ათასი ✿ ყოველნი ესე კაცნი მბრძოლნი წარმართებულნი ლჱ
წყობისა მიმართ გულითა მშჯდობისათა, მოვიდენ ქებრონს შინა,
რათა დაადგინონ მეფედ დავით ყოველთა ზედა ისრაელთა, ჴ სხუა-
ნი ისრაელთაგანი ერთითა გულითა იყუნენ, რათა მეფე იქმნეს და-
ვით ✿ ჴ იყუნენ მუნ დავითისთანა სამ დღე, ჭამეს ჴ სუჱს, რა- ლთ
მეთუ განუმზადებდეს მათ მძანი მათნი ✿ ჴ რომელი მახლობელ მ
იყუნეს მათსა ვიდრე იზაქარისამდე, ჴ ზაბილონისა, ჴ ნეფთალე-
ძისა, მოუღებდენ მათ ჳრთა კარაულებითა, აქლემებითა, ჴ ჯორე-
ბითა, ჴ კარებითა საჭმლად, ფქჯლსა, სორჭინითა ლეღუსა, ჴ უურ-
მენსა კჱლსა, ღჯნოსა ჴ ზეთსა, ჴ ზროსათა, ჴ ცხუართა სიმრავ-
ლით, რამეთუ სიხარული იქმნა ისრაელსა შორის.

თავი იზ.

ა ბ გ დ ე ვ ზ ჱ თ ი ია იბ იგ

და ჰყო სრახვა დავით მთავართა თანა, ⁂ ათასის თავთა ⁂ ასის თავთა, ⁂ უოველთა უფროსთა ✿ ⁂ თქუა დავით უოველისა მიმართ კრებულისა ისრაელისა: უკეთუ სათნო გიჩნსთ თქუენ, ⁂ უფლისაგანცა ღუთისა ჩუენისაგან წარგიმართოსთ, წარვაგზავნნეთ მმათა მიმართ ჩუენთა, დანარჩომთა უოველთა შორის ქუეყანათა ისრაელისათა, ⁂ მათ თანა მღდელთა ⁂ ლევიტელთა, ⁂ ქალაქთა შინა სამჴერობელოთა მათთა, რათა შემოკრბენ ჩუენდა მიმართ ✿ ⁂ რათა მოვიღოთ კიდობანი ღუთისა ჩუენისა ჩუენდა მიმართ, რამეთუ არა მოვიძიეთ იგი დღეთა შინა საულისთა ✿ ⁂ მიუგო უოველმან კრებულმან, იყავნ ეგრეთ, რამეთუ სათნო იქმნა სიტყუა ესე უოველისა ერისა ✿ ⁂ [1] შემოკრიბა დავით უოველი ისრაელი, საზღუართაგან ეგჳპტისათა, ვიდრე განსაყალამდე მათისა, რათამცა მოიღონ კიდობანი ღუთისა ქალაქისაგან იარიმისა ✿ ⁂ მოიღო იგი დავით, ⁂ უოველი ისრაელი განვიდა ქალაქსა დავითისა, რომელი იყო იუდასა მოღებად მუნითგან კიდობნისა უფლისა ღუთისა მჯდომარისა ქერაბინთა ზედა, სადაცა წოდებულ არს სახელი მისი ✿ ⁂ დაადგინა კიდობანი ღუთისა ეტლსა ზედა ახალსა, სახლისაგან ამინადაბისა, ხოლო ოზას ⁂ მმათა მისთა მიჰჳვანდათ ეტლი ✿ ხოლო დავით ⁂ უოველნი ისრაელნი იმღერდეს წინაშე ღუთისა უოველითა ძალითა, ⁂ გალობითა ⁂ ებნითა, ⁂ ფსალმუნითა, ⁂ ბობღნითა, ⁂ წინწილითა, ⁂ საუკრითა ✿ ⁂ მოვიდეს კალოსა ქიდონისასა, ⁂ განმარტა ოზან კელი თჳსი რათა იჳროს კიდობანი, რამეთუ დეკეული მიდრკა მისგან ✿ ⁂ განრისხნა უფალი რისხჳთა ოზას ზედა, ⁂ [2] დასცა იგი მუნ, ამისთჳს, რამეთუ განმარტა კელი თჳსი, ⁂ შეახო კიდობანსა, ⁂ მოკუდა მუნ წინაშე ღუთისა ✿ ხოლო შეიწუსა დავით, რამეთუ განკვეთა უფალმან განკვეთით ოზან, ⁂ ეწოდა ადგილსა მას განკვეთა ოზასი, ვიდრე დღედმდე ამისა ✿ ⁂ შეეშინა დავითს ღუთისა მას დღესა შინა, ⁂ იტყოდა: ვითარ მოვიღო ჩემდა მიმართ კიდობანი ღუთისა ✿ ⁂

[1] ბ მეფეთა კ.—[2] დ მოსე კ. ბ მეფეთა კ.

არა მოაქცია დავით კიდობანი თავისა მიმართ თჳსისა ქალაქად დავითისა, არამედ მიაქცია იგი სახლსა შინა ავედარ გეთელისასა ✠ ⳟ გეო კიდობანი ღუთისა სახლსა შინა ავედარისასა სამ თუჱ, ⳟ იდ აკურთხა ღმერთმან ავედარ, ⳟ ყოველი რომელი აქუნდა.

თავი იდ.

და [1] წარავლინნა ხირამ მეფემან ტჳროსისამან მოციქულნი ა დავითის მიმართ ⳟ ხენი კედრისანი, ⳟ აღმაშენებელნი კედელთანი, ⳟ ხუროანი ხეთანი, რათა აღუშენონ მას სახლი ✠ ⳟ ცნა დავით ბ რამეთუ განაძლიერა იგი უფალმან მეფედ ისრაელსა ზედა, რამეთუ აღადგინა სიმაღლესა შინა მეფობა მისი, ერსა ზედა მისსა ისრაელსა ✠ ⳟ მოიყვანა დავით კჳალად ცოლნი იერუსალიმს შინა, ⳟ გ უშჳნეს მას კჳალად ძენი ⳟ ასულნი ✠ ხოლო ესე არიან სახელები დ მათი, რომელნი ეშჳნეს მას იერუსალიმს შინა: სამუა, ⳟ სოვაჳ ✠ ნათან, ⳟ სოლომონ, ⳟ იმაარ ✠ ⳟ ელისუი, ⳟ ელიფათ, ⳟ ნა- ე,ვ ფაგ იაფიე ✠ ⳟ ელისამა, ⳟ ვალიადა, ⳟ ელიფალეტ ✠ [2] ხოლო ზ,ჱ ესმათ უცხო თესლთა, რამეთუ ცხებულ იქმნა დავით მეფედ ყოველთა ისრაელთა ზედა, ⳟ გამოვიდეს ყოველნი უცხო თესლნი მოძიებად დავითისა, ⳟ ესმა დავითს ⳟ განვიდა წინა აღდგომად მათდა ✠ ხოლო უცხო თესლნი მოსრულნი განფენილ იუშნეს ღელესა შინა თ გჳრთასა ✠ ⳟ ჰკითხა დავით ღმერთსა, მეტჳუშლთან უკეთუ განი ვიდეა უცხო თესლთა ზედა, ⳟ მომცნე იგინი ჴელთა შინა ჩემთა, ⳟ ჰრქუა მას ღმერთმან: განვედ ⳟ მოგცენ იგინი ჴელთა შინა შენთა ✠ ⳟ განვიდა ბაალ ფარასინს, ⳟ დასცნა იგინი მუნ დავით; ⳟ თქუა ია დავით, განჰგეთნა ღმერთმან მტერნი ჩემნი ქუშჳშე ჴელსა ჩემსა, ვითარცა განჰგეთნა წუალნი: ამისთჳს უწოდა სახელი ადგილსა მას, განჰგეთა ფარასინისა ✠ ⳟ დაუტეჳეს მუნ ღმერთნი თჳსნი იბ უცხო თესლთა, ⳟ დავით ბრძანა დაწუა მათი ცეცხლითა ✠ ⳟ შეს- იგ მინეს კუალად უცხო თესლთა, ⳟ განეფინნეს კუალად ღელეთა შინა გჳრთასა ✠ ⳟ ჰკითხა კუალად დავით ღმერთსა: ⳟ ჰრქუა მას იდ ღმერთმან: ნუ განხვალ მათ ზედა, მოაქციე მათგან, ⳟ მოვედ მათ

[1]) ბ მეფეთა ბ—[2]) ბ მეფეთა ბ.

იე ზედა მართლ სახლისა ✿ ⁂ იოას ოდეს გესმას ქმაჲ ოხრისა
მწუწრვალთა სახლთასა, მაშინ განხჳდე ბრძოლად, რამეთუ გამოჳი-
დეს ღმერთი წინაშე შენსა, რათა დასცე ბანაკი უცხო თესლთა ✿
იჳ ⁂ ქმნა დავით ვითარცა უბრძანა მას ღმერთმან, ⁂ დასცა ბანაკი
იზ ფილისტიმელთა, გაბაონითგან ვიდრე გაზირადმდე ✿ ⁂ განდიდნა სა-
სჯელი დავითისი ყოველთა შორის ქუეყანათა, ⁂ უფალმან მისცა
შიში მისი ყოველთა ზედა წარმართთა.

თ ა ვ. ი იე.

ა ⁂ და ქმნა თავისა თჯსისა სახლნი ქალაქსა შინა დავითისსა, ⁂
ბ განმზადა ადგილი კიდობნისა ღუთისა, ⁂ უქმნა მას კარავი ✿ მა-
შინ თქუა დავით: [1] არა შეუფჯნის ყოველთაგან, რათა იტჯრთჳდენ
კიდობანსა ღუთისასა, გარნა ხოლო ლევიტელთაგან, ვინათგან
გამოირჩივნა იგინი უფალმან ტჯრთად კიდობნისა უფლისა, ⁂
გ მსახურებად მისსა ვიდრე უკუნისამდე ✿ ⁂ შეკრიბა დავით ყოველი
ისრაელი იერუსალიმს შინა, რათა მოიღონ კიდობანი ღუთისა ად-
დ გილსა ზედა, რომელი განუმზადა მას ✿ ⁂ შეკრიბა დავით ძენი
ე აჰრონისნი ⁂ ლევიტელნი ✿ მეთაგან კაათისთა: ურიილ წინამ-
ვზ ძღუარი, ⁂ ძმანი მისნი, ას ოცი ✿ მეთაგან მერარისათა: ასაია წი-
ნამძღუარი, ⁂ ძმანი მისნი ორას ორმოცდა ათნი ✿ მეთაგან გერ-
სონისათა: იოილ წინამძღუარი, ⁂ ძმანი მისნი, ას ოცდა ათნი ✿
ჱ მეთაგან ელისაფანისთა: სემეია წინამძღუარი, ⁂ ძმანი მისნი ორას-
თ ნი ✿ მეთაგან ქებრონისათა: ელიიელ წინამძღუარი, ⁂ ძმანი მისნი,
ი ოთხმეოცნი ✿ მეთაგან ოზიელისათა: ამინადაბ წინამძღუარი, ⁂
ია ძმანი მისნი ას ⁂ ათორმეტნი ✿ ⁂ მოუწოდა დავით სადუკს ⁂
აბიათარს მღდელთა, ⁂ ლევიტელთა, ურიილს, ასაიას, ⁂ იოილს, ⁂
იბ სემეიას, ⁂ ელიელს, ⁂ ამინადაბს ✿ ⁂ ჰრქუა მათდა მიმართ,
თქუჱნ ხართ წინამძღუარნი მამეულთა ლევიტელთანი, განიწმიდე-
ნით თქუჱნ ⁂ ძმანი თქუჱნნი, ⁂ მოიღეთ კიდობანი უფლისა
ღუთისა ისრაელისა, ადგილსა ზედა რომელი განმზადებულ არს
იგ მისთჯს ✿ რამეთუ პირველ ოდეს თქუჱნ არა განმზადებულ იუჱნ-

[1] ᲓᲐ ᲛᲔᲝᲡᲔ ᲓᲐ.

ნით [1]) განგუუწუნა უფალმან ღმერთმან ჩუ̈ენმან, რამეთუ არა ვიძიეთ
იგი გონიერებისაებრ ✿ ⁂ განწ̈მდენ მღუ̈დელნი, ⁂ ლევიტელნი, იდ
რათა მოიღონ კიდობანი უფლისა ღუთისა ისრაელისა ✿ ⁂ აღი- იე
ღეს მეთა ლევისთა კიდობანი ღუთისა, ვითარცა [2]) უბრძანა მოსე
სიტყუთა უფლისათა, წერილისაებრ ტჯრთად ბეჭითა თჯსითა სა-
ტჯრთუ̈ჩ̈ლთა ზედა ✿ ⁂ ჭრქუა დავით წინამძღუართა ლევიტელთა- ივ
სა: დაადგინეთ მრთნი თჯსნი მგალობლად ორღანოთა, გალობითა
მუსიკთათა, ⁂ ფსალმუნითა, ⁂ ებნითა, ⁂ ბობღნითა, რათა კმობდენ
მაღლად კმითა სიხარულისათა ✿ ⁂ დაადგინეს ლევიტელთა ემან იზ
მე იოელისა, ⁂ მმათაგან მისთა ასაფ ძე ბარაქსი, ⁂ ეთაგან მე-
რარისთა, მმათა მისთა, ყოფნა ძე კისესი ✿ ⁂ მათთანა მრთნი მათ- იჩ
ნი, მეორედ წესად, ზაქარია, ⁂ ოზიილ, ⁂ სემირამოთ, ⁂ იეილ, ⁂
ანანია, ⁂ ელიაბ, ⁂ ბანეა, ⁂ მაასია, ⁂ მატათია ⁂ ელიფალა, ⁂ მაკენია,
⁂ აბდედომ, ⁂ ეილ, ⁂ ოსია მეკარენი ✿ ⁂ მგალობელნი, ემან, ით
ასაფ, ⁂ ეთაამ, ბობღნითა რეალისათა მჭმობელნი სასმენელად ✿
ხოლო ზაქარია, ⁂ ოზიილ, ⁂ სემირამოთ, ⁂ იეილ, ⁂ ანანია, ⁂ კ
ელიაბ, ⁂ მაასია, ⁂ ბანეა, ბობღნითა მდაბლის ხმითა გალობდეს ✿
⁂ მატათია, ⁂ ელიფალა, ⁂ მაკენია, ⁂ აბდედომ, იეილ, ⁂ ოზია, კა
ბობღნითა გალობდენ, აღმატებით ✿ ⁂ ქონენია წინამძღუარი ლე- კბ
ვიტელთა, უხუცესი მგალობელთა, რამეთუ გულის კმიერ იყო ✿
⁂ ბარაქია, ⁂ ელკანა, მეკარენი კიდობნისანი ✿ ⁂ სობენია, ⁂ იო- კგ.კდ
საფათ, ⁂ ნათანაილ, ⁂ ამასია, ⁂ ზაქარია, ⁂ ბანეი ⁂ ელიეზერ
მღდელნი მესაჯრენი საჯრთანი, წინაშე კიდობნისა ღუთისა, ⁂
აბდედომ, ⁂ იეია მეკარენი კიდობნისა ღუთისა ✿ ⁂ იო დავით ⁂ კე
უხუცესნი ისრაელისანი, ⁂ ათასის თავნი მავალნი ტჯრთად კი-
დობნისა აღთქმისა უფლისა სახლისაგან აბედონისა სიხარულით ✿
⁂ იო ოდეს განამლიერებდა ღმერთი ლევიტელთა მტჯრთუ̈ჩ̈ლთა კვ
კიდობნისა აღთქმისა უფლისათა, ⁂ შეწირეს შჯდნი ზუარაკნი, ⁂
შჯდნი ცხოვარნი ✿ ხოლო დავით იო მოსილი სამოსლითა ბი- კზ
სონითა, ⁂ ეოველნი ლევიტელნი, რომელთა ეტჯრთათ კიდობანი

[1]) ბ მეფეთა ვ.—[2]) ბ მოსე კვ.

აღთქმისა უფლისა, ხოლო მგალობელნი, ქორენია წინამძღუარი მგალობელი მგალობელთა, ხოლო დავითს იყო ევფუდი ბისონისა ✠ ⁂ ყოველნი ისრაელნი თანა უიდოდენ კიდობანსა აღთქმისა უფლისასა ღაღადებითა, ⁂ კმიოა საყჳრისათა, ⁂ საყჳრითა, ⁂ ბობღნითა მგმობარითა, ებანითა ⁂ წინწილითა იტყოდეს ✠ ⁂ იქმნა ოდეს მოვიდა კიდობანი აღთქმისა უფლისა ვიდრე ქალაქადმდე დავითისა, ⁂ მელხოლა ასული საულისა ხედვიდა სარკმლით, ⁂ იხილა მეფე დავით მხლდომელი ⁂ მროკუსლი, ⁂ შეურაცხ ყო იგი გულსა შინა თჳსსა.

თ ა ვ ი ი.

[1] ✠ ოიდეს უკუე კიდობანი ღუთისა, ⁂ დაადგინეს იგი შორის კარავსა, რომელი აღუდგინა მას დავით, ⁂ შეწირეს ყოვლად დასწუსლი, ⁂ მსხუსრვლი ცხოვრებისა წინაშე უფლისა ✠ ⁂ [2] აღასრულა დავით შესაწირავი ყოვლად დასწუსლისა ⁂ ცხოვრებისა, ⁂ აკურთხა ერი სახელითა უფლისათა ✠ ⁂ განუყო ყოველსა კაცსა ისრაელისასა მამა-კაცთაგან, ვიდრე დედა-კაცადმდე, კაცსა ჴორი ერთი მცხჳარი, ⁂ წილი მწუარისა კორცისა, ⁂ მწუარი ზეთითა სამინდო ✠ ხოლო დაადგინა წინაშე ჰირსა კიდობნისა აღთქმისა უფლისასა ლევიტელთაგან, მსახურებად ⁂ კმობად საქმისა მისისა, ⁂ აღსარებად ⁂ ქებად უფლისა ისრაელისა ✠ ასაფ წინამძღუარი, ⁂ მეორე შემდგომად მისსა ზაქარია, იეილ, ⁂ სემირამოთ, ⁂ იეილ, ⁂ მატათია ⁂ ელიაბ, ⁂ ბანია, ⁂ აბდედომ, ხოლო ეილ, ორღანოთა, ⁂ ფსალმუნთა, ⁂ ებნათა: ხოლო ასაფ წინწილითა კმობდა ✠ ⁂ ბანია ⁂ ოზიილ მღდელნი საყჳრთა ჴებეთვიდეს მარადის წირაშე კიდობნისა აღთქმისა ღუთისასა ✠ მას დღესა შინა დაადგინა დავით აღსარებად ⁂ ქებად უფლისა, ასაფ ⁂ მმანი მისნი ✠ გალობა [3] აუგარებდით უფალსა, ⁂ ხადოდით სახელსა მისსა საცნაურ უყავთ ერთა შორის საქმენი მისნი ✠ უგალობდით მას, ⁂ უფროსად უგალობდით მას, მიუთხრათ ყოველნი სასწაულნი მისნი, რომელ ქმნა უფალმან ✠ აქებდით სახელსა წმიდასა მისსა, ⁂ იხარებდენ

[1]) ბ მეფეთა გ.—[2]) ბ მეფეთა გ.—[3]) ფსალმუნი რდ. კსაა ბბ.

გულნი მეძიებელთა სათნოებისა მისისანი ✿ მოიძიეთ უფალი, ჰ ია
განძლიერდით, ჰ ეძიებდით პირსა მისსა მარადის ✿ მოიგსენებდით იბ
სასწაულთა მისთა რომელ ქმნა: სასწაულნი ჰ მსჯავრნი პირისა
მისისანი ✿ ნათესავი ისრაელისა მონანი მისნი, ძენი იაკობისნი იგ
რჩეულნი მისნი ✿ თავადი არს უფალი ღმერთი ჩუენი, ჰ ყოველ- იდ
სა ზედა ქუეყანასა არიან სამართალნი მისნი ✿ მოიგსენენეთ იე
უკუნისამდე აღთქმისა მისისა: სიტყუანი მისნი რომელი აღუქმა
ათასამდე ნათესავად ✿ რომელი აღუთქუა აბრაამს, ჰ ფიცი მისი იზ
ისაკს ✿ ჰ დაუდგინა იგი იაკობს პრძანებად, ჰ ისრაელსა აღთ- იჱ
ქმად საუკუნოდ ✿ ჰ ეტყოდა შენ მიცა ქუეყანა ქანანისა, ნაწი- იწ
ლად მკუდრობისა თქუენისა ✿ ოდეს იუნენ იგინი მცირენი რი- ით
ცხჳთა, რამეთუ შემცირდეს ჰ დაეშენნეს მას შინა ✿ ჰ. ვიდოდეს კ
იგინი ნათესავითი ნათესავად, ჰ მეფეთაგან ერად სხუად ✿ არა კა
აუფლა კაცსა ვნებად მათდა, ჰ ამხილა მათთჳს მეფეთა ✿ ნუ შეე- კბ
ხებით ცხებულთა ჩემთა, ჰ წინასწარ¦ეტყუჱსლთა ჩემთა შო-
რის ნუ უკეთურობთ ✿ უგალობდით უფალსა ყოველი ქუეყანა, კგ
ახარებდით დღითი დღე მაცხოვარებასა მისსა ✿ მიუთხართ წარმარ- კდ
თთა შორის დიდება მისი, ყოველსა ერსა შორის საკჳრველება მისი ✿
რამეთუ დიდ არს უფალი ჰ ქებულ ფრიად, ჰ საშინელ არს ყოველ- კჱ
ლთა ღმერთთა ზედა ✿ რამეთუ ყოველნი ღმერთნი წარმართთანი კვ
ეშმაკ არიან ✿ სოლო უფალმან ჩემმან ცანი შექმნა, დიდებაჲ ჰ კზ
დიდებულებაჲ წინაშე პირსა მისსა, ძალი ჰ ქებულება ადგილსა ში- კთ
ნა მისსა წმიდასა ✿ შესწირევდით უფალსა ტომნი წარმართთანი, კჳ
შესწირევდით უფალსა დიდებასა ჰ ძლიერებასა ✿ მიეცით უფალსა კთ
დიდება სახელისა მისისა, აღიღეთ ნიჭი, ჰ შესწირეთ წინაშე პირსა
მისსა, ჰ თაყუანის ეცით უფალსა ეზოთა შინა წმიდათა მისთა ✿
ეშინოდენ პირისაგან მისისა ყოველსა ქუეყანასა, წარემართენ ლ
ქუეყანა, რათა არა დაეცენ ✿ ისარებდინ ცანი, ჰ იშვებდინ ქუეყ- ლა
ანა, ჰ თქუან წარმართთა შორის, რამეთუ უფალი სუფევს ✿ აღი- ლბ
მარნ ზღუაჲ ჰ სავსება მისი, ჰ სენი ველისანი, ჰ ყოველი რაჲ
არს მათ შინა ✿ მაშინ იხარებდენ ხენი მაღნარისანი პირისაგან ლგ

ლდ უფლისა, რამეთუ მოვიდა სჯად ქუჴჴანისა ✿ აუგარებდით უფალსა
ლე რამეთუ კეთილ რამეთუ უკუნისამდე არს წუალობა მისი ✿ ⁂ იტ-
ყოდით მაცხოვენენ ჩუჴნ ღმერთო მაცხოვარებისა ჩუჴნისაო, ⁂ შე-
მკრიბენ ჩუჴნ, ⁂ გვიცხენ ჩუჴნ წარმართთაგან, რათა ვაქებდეთ სა-
ლვ სელსა წმიდასა შენსა, ⁂ ვიქადოდეთ ქებულებითა შენითა ✿ კურ-
თხეულ არს უფალი ღმერთი ისრაელისა საუკუნითგან ვიდრე უკუ-
ლზ ნისამდე, ⁂ თქუას ყოველმან ერმან, ამინ ⁂ აქებდენ უფალსა ✿ ⁂
დაადგინეს მუნ წინაშე კიდობნისა აღთქმისა უფლისასა, ასაფ ⁂
მსნი მისნი, რათა მსახურებდენ წინაშე კიდობნისა მარადის უო-
ლჩ ველსა დღესა შინა ✿ ⁂ აბდედომ, ⁂ მსნი მისნი სამეოცდა რვანი
ლთ ⁂ აბდედომ მე იდითუნისა, ⁂ ოსია მეკრედ ✿ ხოლო სადუკ მღდე-
ლი ⁂ მსნი მისნი მღდლად წინაშე კარვისა უფლისა ამას შინა
ე რომელი იყო გაბაონს ✿ რათა შესწირვიდენ უფალსა ყოველად და-
საწუჴლთა საკურთხეველსა ზედა ყოველად დასაწუჴლთასა მარადის
განთიად ⁂ მწუხრი, ყოველისაებრ რომელი წერილ არიან სჯულსა
შინა უფლისასა, ⁂ რაჲრდენი უბრძანა მეთა ისრაელისათა კელითა
მა მოსე მონისა ღუთისათა ✿ ⁂ მათთანა ემან, ⁂ იდითუნ, ⁂ სხუანი
რჩეულნი კაცად-კაცადი სახელით თჯსით, ქებად უფლისა, რამეთუ
მბ უკუნისამდე არს წუალობაჲ მისი ✿ ⁂ მათ თანა საყჯრნი ⁂ წინ-
წილნი, გმობად, ⁂ ორღანონი გალობათა ღუთისათა, ხოლო მენი
მგ იდითუნისნი კართა შინა დგეს ✿ ⁂ წარვიდეს ყოველნი ერნი კა-
ცად-კაცადი სახლსა შინა თჯსა, ⁂ დავით მოიქცა რათა აკურთხოს
სახლი თჯსი.

თ ა ვ ი ი ზ.

ა [1] და იყო ოდეს დაიგანა დავით სახლსა შინა თჯსსა, ⁂
ჰრქუა დავით ნათან წინასწარმეტყუელსა: აჰა მე ვიყოფები სა-
ბ ხლსა შინა კედრისასა, ხოლო კიდობანი აღთქმისა უფლისა ქუჴ-
შე ტყაოსა ✿ ⁂ ჰრქუა ნათან დავითს: ყოველი რომელი არს გუ-
ლსა შინა შენსა ჰყავ, რამეთუ ღმერთი არს შენთანა ✿ ⁂ იყო და-
ესა მას, ⁂ იქმნა სიტყუა უფლისა ნათანის მიმართ მეტყუჴლი ✿

[1] ბ მეფეთა ზ. ზარაჰ მზ.

წარვედ ⁂ არქუ დავითს მონასა ჩემსა, ამას იტყჳს უფალი: არა დ
აღმიშენო შენ მე სახლი დავანებად მას შინა ✿ რამეთუ არა ვეცე ე
სახლსა შინა დღითგან, რომელსა შინა გამოვიყვანენ ისრაელნი
ქუჱყანისაგან ეგჳპტისა ვიდრე ამა დღედმდე, არამედ ვიყავ მარადის
შეცულ ადგილსა კარვისასა, ⁂ კარავსა შინა ვეცე, სადაცა ვიდო- ვ
დი ყოველთა ისრაელთა თანა ✿ უკეთუ ვეტყოდი ვისმეტომსა ის-
რაელისასა, რომელსა უბრძანებდი, რათა მწყსიდეს ერსა ჩემსა მე- ზ
ტყუჱლი: რაჲსათჳს არა აღაშენებთ ჩემდა სახლსა კედრისასა ✿ ⁂
აწ ესრეთ არქუ მონასა ჩემსა დავითს: ესე თქუა უფალმან ყოვლისა
მჴეპრობელმან: მე აღგიყვანე შენ სამწყსოსაგან, ოდეს სდევდი სა- თ
მწყსოსა, რათა იყო შენ მეფე ერთა ჩემთა ისრაელთა ✿ ⁂
ვიყავ შენთანა ყოველთა შინა სადაცა ხვიდოდი, ⁂ მოგსპე ყოველ-
ნი მტერნი შენნი ჰპირისაგან შენისა, ⁂ ვყავ სახელი შენი ვითარცა
სახელი დიდთა, რომელ არიან ქუჱყანასა ზედა ✿ ⁂ მიგეც ადგი- ი
ლი ერთა ჩემთა ისრაელთა, ⁂ დავსხენ იგინი დასამკჳდრებელად
მას შინა, ⁂ ვერღა ვინ აჴრიწებდენ მერმე, ვერცა ძენი უსჯულოთანი
შესძინებდენ მათ განბოროტებად ვითარცა ჰპირველითგან ✿ ⁂ დღი- ია
თგან, რომელსა შინა მივეც მსაჯულნი ერთა ჩემთა ისრაელთა, ⁂
დავამდაბლენ ყოველნი მტერნი შენნი, ⁂ აღგაორძინე შენ ⁂ სახლი
აღგიშენოს შენ უფალმან ✿ ⁂ იოს ოდეს აღივსნეს დღენი შენნი, იბ
⁂ შეისვენო მამათა თანა შენთა, ⁂ აღვადგინო თესლი შენი შე-
მდგომად შენსა, რომელი იყოს წელისაგან შენისა, ⁂ აღვადგინო
მეფობაჲ მისი ✿ ამან აღმიშენოს მე სახლი, ⁂ დავამტკიცო საყდა- იგ
რი მისი ვიდრე უკუნისამდე ✿ [1] მე ვიყო მამად მისა, ⁂ იგი იყოს
ჩემდა ძედ: ⁂ წყალობაჲ ჩემი არა განვაშორო მისგან, ვითარცა იდ
განვაშორე მისგან, რომელი იყო ჰპირველ შენსა ✿ ⁂ სარწმუნო
ყო იგი სახლსა შინა ჩემსა, ⁂ მეფობა მისი ვიდრე უკუნისამდე, იე
⁂ საყდარი მისი იყოს წარმართებულ უკუნისამდე ✿ ყოველთა ამათ
სიტყუათა ებრ ⁂ ყოვლისა ამის ხილვისაებრ, ეტყოდა ნათან და- ივ
ვითს ✿ ⁂ მოვიდა დავით მეფე, ⁂ დაჯდა წინაშე უფლისა ⁂ ჰრქუა:

[1] ფსალმუნი რდ.

ვინ ვარ მე უფალო ღმერთო ჩემო: ❖ რად სახლი ჩემი, რა-
იზ მეთუ შემიყვარო მე უკუნისამდე ✿ ❖ ესე მცირე არიან წინაშე შე-
ნსა ღმერთო, ❖ მეტუუწყალ ხარ სახლსა ზედა მონისა შენისასა კვა-
ლად უოფადსა, ❖ მოისიზლე ჩემ ზედა ვითარცა ჩუწყნებად კაცისა,
იწ ❖ აღმამაღლე მე უფალო ღმერთო ✿ რად შესძინოს კვალად და-
ით ვით შენდა, რათა გადიდოს, ❖ შენ უწყი მონა შენი ✿ უფალო მო-
ნისა შენისათჳს ჴყავ ყოველი დიდებულებად ესე, ❖ გულისა ებრ
შენისა საცნაურ უოფად გიქმნიეს ყოველი დიდებულება შენი ✿
კ უფალო არა არს ჩისკავს შენდა, ❖ არა არს ღმერთი შენსა გარეშე,
კა ყოველთა შორის რადოდენი გუასმიეს ყურთა ჩუწყნთა ✿ ❖ არა
არს ვითარცა ერი შენი ისრაელი ნათესავი კვალად ქუწყუანასა ზედა,
რამეთუ გამოვიდა ღმერთი ჴსნად ერისა თჳსისა, დადებად სახელი
თჳსი დიდი ❖ დიდებული, განსსმად წარმართთა ჰირისაგან ერისა
კბ შენისა, რომელიცა იჳსენ ეგჯპტისაგან ✿ ❖ ჴყავ ერი ესე შენი ის-
რაელი ერად შენდა ვიდრე საუკუნედმდე, ❖ შენ უფალო იქმენ ღმერთ
კბ მათდა ✿ ❖ აწ უფალო სიტყუა შენი, რომელი სთქუ მონისა შენი-
სა, ❖ სახლსა ზედა მისსა, სარწუნო იყოს უკუნისამდე, ❖ ჴქმენ
კგ ვითარცა იტყოდი ✿ ❖ სარწუნო იქმნეს ❖ განდიდნეს სახელი
შენი ვიდრე უკუნისამდე, მეტეუწყლთა: უფალო უფალო ყოვლისა
მპყრობელო ღმერთო ისრაელისაო, ❖ სახლი დავით მონისა შენი-
კე სა იყოს წარმართებულ წინაშე შენსა ✿ რამეთუ შენ უფა-
ლო ღმერთო ჩემო განახუწნ ყურნი მონისა შენისანი, აღშენებად
სახლისა შენისა, ამისთჳს ჰოვა მონამან შენმან კადნიერება ვედრე-
კვ ბად წინაშე ჰირსა შენსა ✿ ❖ აწ უფალო შენ ხარ თჳთ ღმერთი, ❖
კზ იტყოდი მონისა შენისა მიმართ კეთილსა ამას ✿ ❖ აწ იწყე კურ-
თხევად სახლისა მონისა შენისა, რათა ეგოს უკუნისამდე წინაშე
შენსა, რამეთუ შენ უფალო აკურთხე, ❖ კურთხეულ იყოს უკუნი-
სამდე.

თავი იზ.

ა ❖ა [1] იქმნა შემდგომად ამისა, ❖ დასცა დავით უცხო თესლნი,

[1]) ბ მეფეთა ☙.

ⴔ დაამდაბლნა იგინი, ⴔ აღიღო ღეთი, ⴔ დაბანი მისი კელისაგან
უცხო თესლთასა ✿ ⴔ დასცა დავით მოაბი, ⴔ იყვნენ მოაბელნი ბ
მონანი დავითისნი მომრთმელნი მისა ძღუჳნთა ✿ ⴔ დასცა დავით გ
ადრაზარ მეფე სუბისა იემათს შინა, მოვიდოდა რა მისა დადებად
კელი თჳსი მდინარესა ზედა ევფრათისასა ✿ ⴔ აღიღო მისგან დ
დავით ათასი ეტლნი, ⴔ შჳდი ათასი ცხენოსანნი, ⴔ ოცი ათასი კა-
ცნი მკვირცხლნი, ⴔ დაჭრნა დავით ყოველნი ეტლნი, ⴔ დაუტევა
მათგან ასნი ეტლნი რომელნი დაიჭირნა თავისა თჳსისათჳს ✿ ⴔ ე
მოვიდა სურ დამასკოთგან რათა შეწევნა მისცეს ადრაზარ მეფესა
სუბისასა, ⴔ დასცა დავით სურთაგან, ოც ⴔ ორი ათასი კაცნი ✿
ⴔ დაადგინა დავით მხედრავნი სურსა შინა მახლობელ დამასკოსა, ვ
ⴔ იუშენ დავითის მონად ⴔ მოართმიდნენ ძღუჳნსა, ⴔ იცხონიდა
დავითს უფალი ყოველთა შორის რომელსა შინა ვიდოდა ✿ ⴔ ზ
აღიღო დავით მანაგინ ოქროსანი რომელნი იუშენეს მონათა ზედა
ადრაზარისათა, ⴔ მოიხუნა იგინი იერუსალემს შინა ✿ ⴔ მეტაბე- ჱ
თისგან, ⴔ რჩეულთაგან ქალაქთა ადრასარისათა აღიღო დავით
სპილენძნი ძრაჳალ ფრიად, რომლისაგან ქმნა სოლომონ ზღუაჲ
სპილენძისა, ⴔ სუჳტნი, ⴔ ჭურჭელნი სპილენძისანი ✿ ⴔ ესმა თ
თოა მეფეჲსა ემათელს, რამეთუ დასცა დავით ყოველი ძალი ადრაზა-
რისა მეფისა სუბისა ✿ ⴔ წარავლინა ადურამ ძე თჳსი დავითის ი
მიმართ მეფისა, რათა სთხოოს მას მშჳდობისათჳს, ⴔ აკურთხოს
იგი ამისთჳს, რამეთუ სძლო ადრაზარს, ⴔ დასცა იგი, ვინათგან
კაცი წინააღმდგომ იყო თოა ადრაზარისა ✿ ⴔ ყოველნი ჭურჭელ- ია
ნი ოქროსანი, ⴔ ვეცხლისანი, ⴔ სპილენძისანი, ⴔ ესე განუწმი-
და დავით მეფემან უფალსა ვეცხლთა თანა, ⴔ ოქროთა, რომელი
აღიღო ყოველთაგან წარმართთასა, იდუმელთაგან, ⴔ მოაბელთა,
ⴔ მეთაგან ამონისათა, ⴔ უცხო თესლთაგან ⴔ ამალეკისაგან ✿
სოლო აბესა ძემან სარუისმან დასცა იდუმელნი ღელესა შინა მა- იბ
რილოვანსა ათორმეტი ათასი ✿ ⴔ დაუდგინა ღელესა შინა მხედ- იგ
ლავნი, ⴔ იუშენეს ყოველნი იდუმელნი მონანი დავითისნი, ⴔ იხ-
სნიდა უფალი დავითს ყოველსა შინა რომელსა ვიდოდა ✿ სოლო იდ

გამეფდა დავით ყოველთა ზედა ისრაელთა, ⁂ იყო მოქმედი მსჯავ-
იე რისა ⁂ სიმართლისა ყოველთა ერთა თჯსთა ✿ ხოლო იოაბ მე
სარუისი იყო მეფდრთა ზედა, ⁂ იოსაფათ მე აქილუდისა მოსახსე-
იზ ნებელისა მწერალი ✿ ⁂ სადუკ მე აქიტობელისა ⁂ აბიმელიქ მე
იზ აბიათარისა მღდელნი, ⁂ სუსა მწიგნობარი ✿ ⁂ აბანეა მე იოდაი-
სა, ზედა ქერეთს ⁂ ფელეთს ზედა, ხოლო მენი დავითისნი პი-
რველნი მოადგილენი მეფისანი.

თ ა ვ ი ით.

ა და [1] იყო ამისა შემდგომად მოკუდა ნაას მეფე მეთა ამონი-
ბ სთა, ⁂ მეფე იქმნა ანან მე მისი მის წილ ✿ ⁂ ჰკრქუა დავით: ვეო
წუალობაჲ ანანისთანა მისა ნაასისა, ვითარცა ეო მამამან მისმან
გ წუალობა ჩემთანა ✿ ⁂ წარავლინა დავით მოციქულნი ნუგეშინის-
ცემად მისსა მამისათჯს მისისა: ⁂ მივიდეს ერმანი დავითისნი ქუჴწ-
ყანასა შინა მეთა ამონისათა ანონის მიმართ რათა ნუგეშინისცენ
დ მას ✿ ⁂ ეტყოდეს უხუცესნი მეთა ამონისთანი ანონის მიმართ: ნუ
თუ განსადიდებელათ მამისა შენისა წინაშე შენსა, წარმოგზავნა დავით
ნუგეშინის მცემელნი შენდა, არა ვითარ, არამედ გამოძიებად ქალა-
ქისა ⁂ განმსტრობად ქუჴწყანისა მოვიდეს შენდა მიმართ ერმანი
ე მისნი ✿ ⁂ შეიპყრა ანან მონანი დავითისნი, განპარსნა იგინი, ⁂
მოჰკუჴცნა სამოსელთაგან მათთა ნახევარი ვიდრე წელადმდე, ⁂ გა-
ვ ნუტევნა იგინი ✿ ⁂ მოვიდეს მითხრობად დავითისა კაცთა მათთჯს,
⁂ წარავლინნა მიგებებად მათდა, რამეთუ იუნენ გაუპატიურებულნი
ფრიად: ⁂ ჰკრქუა მეფემან, დასხედით იერიქოს ვიდრემდე აღორძინდეს
ზ წუჴრნი თქუჴნნი, ⁂ მოიქცით ✿ ⁂ იხილეს მეთა ამონისთა,
რამეთუ სირცხჳლეულ იქმნენ კაცნი დავითისნი, ⁂ წარავლინა
ანან, ⁂ მეთა ამონისთა ათასი ტალანტი ვეცხლი, რათა დაიდგინონ
თავისად სურისგან შუა მდინარისა, ⁂ სურისგან მაჲაქისა, ⁂ სუბი-
ი სგან სასუიდლით ეტლნი ⁂ ცხენოსანნი ✿ ⁂ სასუიდლით დაიდგი-
ნა თავისად ოც ⁂ ათორმეტი ათასი ეტლი, ⁂ მეფე მაჲაქ ⁂ ერნი
მისნი: ⁂ მოვიდეს ⁂ დაიბანაკეს ჰირის ჰირ მიდაბისსა, ⁂ მენი

[1] ბ მეფეთა კ.

ამონისნი შეკრბეს ქალაქებთაგან თჯსთა, ⁂ მოვიდეს ბრძოლად ✿
⁂ ესმა დავითს, ⁂ წარგზავნა იოაბ, ⁂ უოველნი მკედარნი ძალთა- თ
ნი ✿ ⁂ გამოვიდენ მენი ამონისნი, ⁂ დაიბანაკეს ბრძოლად წინა- ი
შე ბჯეთა ქალაქისათა, ხოლო მეფისად რომელნი მოსრულ იუენეს
შეწევნად, დაიბანაკეს ცალკერძ გელსა ზედა ✿ ⁂ იხილა იოაბ, რა- ია
მეთუ იქმნა მას ზედა წინააღმდგომნი ბრძოლანი წინათ ⁂ ზურგით
⁂ გამოირჩივნა უოველთაგან ჯაბუეთა ისრაელისათა, ⁂ განეწუენეს
იგინი წინაშე სურისა ✿ ხოლო დანარჩომი ერთა მისცა კელსა ში- იბ
ნა აბესა ძმასა თჯსსა, ⁂ დაიბანაკეს წინაშე მეთა ამონისთა ✿ ⁂ იგ
ჰრქუა: უკეთუ განძლიერდენ სურნი უფროს ჩემსა, მაშინ მექმენ მე
მხსნელად: ხოლო უკეთუ მენი ამონისნი განძლიერდენ უფროს შე-
ნსა მაშინ მე გიხსნა შენ ✿ განკმდი ⁂ განძლიერდეთ ერისათჯს იდ
ჩუენისა ⁂ ქალაქისათჯს ღუთისა ჩუენისა, ⁂ უფალმან რომელი
კეთილ არს წინაშე თვალთა მისთა, ქმნეს ✿ ⁂ განეწეო იოაბ ⁂ უო- იე
ველნი ერნი, რომელნი მის თანა იუენეს ჰირის ჰირ სურთა ბრძო-
ლად ⁂ იქლტოდეს მათგან ✿ ხოლო მეთა ამონისთა იხილეს, რა- ივ
მეთუ იქლტოდეს სურნი, ⁂ იქლტოდენ იგინიცა ჰირისაგან აბესია-
სა, ⁂ ჰირისაგან იოაბისა ძმისა მისისა, ⁂ შეიდეს ქალაქსა შინა,
ხოლო იოაბ მოიქცა იერუსალემს შინა ✿ ⁂ იხილეს სურთა, რა- იზ
მეთუ სძლეს მას ისრაელთა, ⁂ წარავლინნეს მოციქულნი, გამო-
ეუანებად სურისა, რომელი იუო მდინარის გაღმართ, ხოლო სოფაკ
ჰირეული მთავარი ათასის თაეთა ძალისა ადრაზარისათა, წინაშე
მათსა იუო ✿ ⁂ მოხსენებულ იქმნა დავითისს, ⁂ შეკრიბა უოველი იჩ
ისრაელი, ⁂ განვიდა იორდანეს, ⁂ მიეიდა მათ ზედა, ⁂ დაიბანა-
კა ჰირის ჰირ მათსა, ⁂ განეწეო წინაშე სურისა ბრძოლად, ⁂
ბრძოდა მათ ზედა ✿ ⁂ იქლტოდეს სურნი ჰირისაგან ისრაელ- ით
თასა ⁂ მოკლნა დაეით სურთაგან შჯდი ათასი ეტლოსანი,
⁂ ორმეოცი ათასი ქუჱითნი, ⁂ საფაკა ჰირეული მთავარი ძალთა
მოკლა ✿ ⁂ იხილეს მონათა ადრაზარისათა, რამეთუ დაეცნეს ჰი- ბ
რისაგან ისრაელთასა, ⁂ მოიქლტოდეს დავითის მიმართ, ⁂ მსახუ-

რებდეს მას: ⁂ არღარა ინებეს სურთა შეწევნის მიცემა მეთა ამონისათა მიერითგან.

თავი კ.

ა ⁂ [1] იეო ეოფადსა წელსა ჯამსა გამოსლვისა მეფეთასა ბრმოლისა მიმართ, ⁂ შეკრიბნა იოაბ ყოველი ძალი მკედრობისა, ⁂ მოაოკრა ქუჱყანა მეთა ამონისთა: ⁂ მოვიდენ ⁂ გარე მოასხდენ რამთს: ხოლო დავით ეგო იერუსალიმს შინა, ⁂ იოაბ დასცა რამ-
ბ მათ, ⁂ დაარღვია იგი ✿ ⁂ აღიღო დავით გჳრგჳნი მოლქომისა მეფისა მათისა თავისაგან მისისა, ⁂ იპოვა წონა მისი ტალანტი ოქროსა, ⁂ მას შინა ქვა ძჳრფასი, ⁂ იეო თავსა ზედა დავითისსა: გ ხოლო ტჳუჱნი ქალაქისანი მრავალნი აღიღო ფრიად ✿ ⁂ ერნი რომელნი იუნეს მას შინა გამოიუანნა, ⁂ განხერხნა ხერხებითა ⁂ საჭურველებითა რკინისათა განმკეთელებითა: ესრეთ უქმნა დავით ყოველთა ქალაქთა მეთა ამონისთა: ⁂ მოიქცა დავით, ⁂ ყო-
დ ველნი ერნი მისნი იერუსალიმს შინა ✿ ⁂ [2] იეო ამისა შემდგომად, ⁂ იწუეს კუალად ბრმოლა გაზერს შინა უცხო თესლთა თანა: ე მაშინ დასცა სობოქა უსათენელმან საფუთ მეთაგან გმირთასა, ⁂ დაამდაბლა იგი ✿ ⁂ იქმნა კუალად ბრმოლა წინა აღმდგომ უცხო თესლთა, ⁂ დასცა ელეანან მემან იაირისმან ლაომია მმა გო-
ვ ლიათისა გეთელისა, რომლისა ხე შუბისა მისისა ვითარცა რუალი მოქსოველთა ✿ ⁂ იეო კუალად ბრმოლა ღეთს შინა, ⁂ იეო კაცი ზ ფრიად დიდი, ექუს ექუსნი აქუნდეს თითნი, ყოველნი ოცდა ოთხ-
ნი, ⁂ ესე იეო ტომისაგან გმირთასა ✿ ⁂ აუჱყრა ისრაელსა, ⁂ დასცა იგი იონათან მემან სამაასმან მმისა დავითისამან ✿ ესენი ეშვნეს რაფას გეთს შინა, ყოველნი ესე ოთხნი იუნეს გმირნი, ⁂ დაეცნეს კელთა დავითისთა, ⁂ კელთა მონათა მისთასა.

თავი კა.

ა ხოლო [3] აღდგა ეშმაკი ისრაელსა ზედა, ⁂ იბირნა დავით
ბ რათა აღრიცხჳნეს ისრაელნი ✿ ⁂ ჴრქუა მეფემან დავით იოაბს, ⁂ უსუცესთა მიმართ ძალთასა: წარვედით ⁂ აღრიცხეთ ისრაელნი,

[1]) ბ მეფეთა აა.—[2]) ბ მეფეთა კა.—[3]) ბ მეფეთა კა.

ბერსაბეედგან ვიდრე დანისამდე ✠ მომართჯთ მე რათა გიცოდე რიცხვი მათი ✠ ✠ ჭრქუა იოაბ: შესძინოს უფალმან ერთა მიმართ გ
თჯსთა ვითარცა ესე ას წილად, ✠ თჳლნი უფლისა ჩემისა მეფისანი სედვიდენ, არა ყოველნი უფლისა ჩემისა მეფისა მონანი არიანა, ✠ რაჲდ ინებებს ამას უფალი ჩემი, რათამცა არა შეერაცხოს ცოდვაჲ ისრაელსა ✠ არამედ სიტყუამან მეფისამან სძლო იოაბს, დ
✠ წარვიდა იოაბ ✠ მოივლო ყოველი ისრაელი, ✠ მოიქცა იერუსალიმად ✠ ✠ მისცა იოაბ დავით რიცხჳ აღრიცხულისა ერისა, ე
✠ იპოვა ყოველისა ისრაელი ათასი ათასთა, ✠ ას ათასი კაცი, ძლიერთველნი საჭურველთანი, ხოლო მეთაგან იუდასთა იყო ოთხას სამეოცდა ათი ათასი კაცნი, მტჯრთველნი საჭურველთანი ✠ ხო- ვ
ლო ლევისნი ✠ ბენიამენისნი არა აღირაცხნეს შორის მათსა, ვინათგან განრისხდა სიტყჯსათჯს მეფისა იოაბ ✠ ✠ არა სათნო იყო ზ
წინაშე ღუთისა ბრძანება ესე ✠ დასცნა ისრაელნი ✠ ✠ [1] თქუა დავით ღუთისა მიმართ: ცოდვა ფრიად რამეთუ ვქმენ საქმე ესე, ✠ აწ გეყოფების მიმიღე უშჯულოებანი მონასა შენსა, რამეთუ გაუგუნურდი ფრიად ✠ ✠ ჭრქუა უფალმან გადის მიმართ წინასწარმეტ- თ
ყჱლისა დავითისას მეტუუჱლმან ✠ წარვედ ✠ არქუ დავითს მეტ- ი
უუჱლმან, ესრეთ იტყჳს უფალი: სამი მე მოვიუგანო შენ ზედა, ✠ გამოირჩიე თჯსად ერთი მათთაგან ✠ ვჰჳო შენდა ✠ ✠ ოდეს მოვიდა ია
გაად დავითის მიმართ, ჭრქუა მას ✠ ესრეთ იტყჳს უფალი, გამოირჩიე იბ
თავისად, ანუ სამ წელ სიყმილი, ანუ სამ თუჱ ლტოლვა შენი ჴირისაგან მტერთა შენთასა, ✠ ძსჯლი მტერთა შენთა გეწიოს შენ, ანუ სამ დღე მახჯლი უფლისა ✠ სიკუდილი ქუჱყანასა ზედა, ✠ ანგელოზმან უფლისამან მოსწუჯდნეს ისრაელნი ყოველთა შორის საზღვართა, აწ უკუჱ განიხილე რაჲ მოუგო მას, რომელმან მომავლინა მე სიტ- იგ
ყჯთურთ ✠ ✠ ჭრქუა დავით გაადს: იწრო არიან ჩემდა სამნივე ესე
ფრიად: არამედ უმჯობეს ჩემდა არს შევარდომა კელსა უფლისასა, ვინათგან მრაჲალ არიან მოწუალებანი მისნი ფრიად, ✠ კელთა შინა კაცთასა არა შთავარდე ✠ ✠ მოუვლინა უფალმან სიკუდილი ის- იდ

[1] ქჳემორე აზ. ბ მეფეთა კდ.

რაელსა, ⁂ დაეცნეს ისრაელთაგანი სამოცდა ათი ათასი კაცნი ✡
იე ⁂ წარაელინა ღმერთმან ანგელოზი იერუსალიმს შინა რათა მოსწყჳდოს იგი, ⁂ ოდეს მოსწყდებოდეს იხილა უფალმან, შეეწუალა
⁂ შეინანა ბოროტებისათჳს, ⁂ ჰრქუა ანგელოზსა მომსურველსა: კმაჲ არს შენდა, მიიღე ჴელი შენი: ხოლო ანგელოზი უფლისა
იჳ მდგომარებდა კალოსა ზედა ორნიაჲ იებოსელისასა ✡ ⁂ აღიხილნა თჳალნი თჳსნი დაჳით, ⁂ იხილა ანგელოზი უფლისა მდგომარე შორის ქუჱყანისა ⁂ ცისა, ⁂ მახჳლი მისი წუდილი ჴელსა შინა მისსა, განრთხმული იერუსალიმსა ზედა, ⁂ დაჳარდა დაჳით ⁂ მოხუცებულნი ისრაელისანი შემოსილნი ძაძებითა პირთა ზედა თჳსთა-
იზ სა ✡ ⁂ თქუა დაჳით ღუთისა მიმართ: არა მე უბრძანება აღრიცხვად ერთა, მე ჳარ რომელმან ცოდე, ⁂ ბოროტებით ბოროტი ვჳაჳ, ხოლო ამან სამწყსოთან რაჲ ქმნე უფალო ღმერთო ჩემო იყაჳნ ჴელი შენი ჩემ ზედა, ⁂ სახლსა მამისა ჩემისასა, ⁂ არა ერსა შენსა
იჱ ზედა წარსწყმედელად, უფალო ✡ ხოლო ანგელოზმან უფლისამან ჰრქუა გაადს, რათა ეტყოდეს დაჳითს: [1] ⁂ აღჳიდეს ⁂ აღუშენოს, საკურთხეველი უფალსა ღმერთსა კალოსა ზედა ორნა იებო-
ით სელისასა ✡ ⁂ აღჳჯდა დაჳით სიტყჳსა გბრ გაადისა, რომელი ეტ-
კ ყოდა სახელითა უფლისათა ✡ ⁂ მიიქცა ორნა, ⁂ იხილა მეფე, ⁂
ოთხნი ძენი მისნი მისთანა ჩამობურჳელნი: ხოლო ორნა იყო მას
კა ჟამსა შინა მლეწჱშლი კალოსა ზედა იფქლისა ✡ ⁂ მიჱიდა დაჳით ორნას მიმართ, ⁂ მოიქცა ორნა ⁂ იხილა დაჳით, ⁂ წარჳიდა კა-
კბ ლოსაგან, ⁂ თაყუანისცა დაჳითს პირითა ქუჱყანასა ზედა ✡ ⁂ ჰრქუა დაჳით ორნას: მომეც მე ადგილი კალოსა შენისა, რათა აღუშენო მას ზედა საკურთხეველი უფალსა, ვეცხლსა ზედა ღირე-
კგ ბულსა მომეც მე იგი, ⁂ დასცხრეს წყლულება ერისაგან ✡ ხოლო ჰრქუა ორნა დაჳითს, აღიღე თჳისა შენისათჳს, ⁂ ქმენ უფალო ჩემო მეფეო რომელი სათნო გიჩნს წინაშე შენსა: აჰა მოგცენ ზუარაკნი ყოვლად დასაწუჱწლად, ⁂ გუთანი შეშად, ⁂ იფქლი
კდ მსხუჱრჩელად, ყოველი ნებსით მომიცემიეს ✡ ⁂ ჰრქუა მეფემან

[1] ზ მეფეთა კდ. ბ. ნეშტოა ა.

დავით ორნას: არა, არამედ ყიდვით ვეცხლითა. ვიყიდო ღირებუ-
ლითა, რამეთუ არა შენგან მიღებად მაქუს ✠ ესრეთ შეწირვად უფ-
ლისა ყოვლად დასაწუწკლი მღუწნი ✠ ✠ მისცა დავით ორნას ად- კე
გილისა მისთჳს სიკილა ოქროთა საწონითა ექუსასი ✠ ✠ აღუშე- კვ
ნა მუნ დავით საკურთხეველი უფალსა, ✠ აღამაღლა ყოვლად დასა-
წუწკლი ✠ ცხოერებისა, ✠ სადოდა უფლისა მიმართ, ✠ ისმინა მი-
სი ცეცხლითა ზეცით გარდამო საკურთხეველსა ზედა ყოვლად და-
საწუწკლსა, ✠ აღწყა ყოველად დასაწუწკლი ✠ ✠ ჰრქუა უფალმან კზ
ანგელოზისა მიმართ, ✠ შთადგა მახჯლი შთასადებელსა შინა მის-
სა მას ჯამსა შინა, ოდეს იხილა დავით, რამეთუ ისმინა მისი
უფალმან კალოსა ზედა ორნა იებოსელისასა, ✠ დაკლნა მუნ
მსხუწკრჱლნი ✠ ✠ კარაგი უფლისა, რომელი ქმნა მოსე უდაბნოსა კთ
შინა, ✠ საკურთხეველი ყოველად დასაწუწკლისა ჯამსა მას შინა იყო
მაღალთა ზედა რომელი იყო გაბაონს შინა ✠ ✠ ვერ შეუძლო და- კთ
ვით მისლვად წინაშე მისსა, გამოკითხვად ღუთისა, ვინათგან შე-
შინებულ იყო ხირისაგან მახჯლისა ანგელოზისა უფლისა.

თავი კბ.

ხოლო თქუა დავით: აჯა არს სახლი უფლისა ღუთისა, ✠ ესე ა
საკურთხეველი ყოველად დასაწუწკლად ისრაელისათჳს ✠ ✠ ჰრქუა ბ
დავით შეკრებად ყოველთა მწირთა რომელნი არიანი ქუყანასა ზე-
და ისრაელისასა, ✠ დაადგინონ ქჳს მკუწთელნი კუწთად ✠ ქჳს
მთლელად, რათა აღეშენოს სახლი ღუთისა ✠ ხოლო რკინა მრა- გ
ვალი ლურსმნად კართა, ✠ ბჭეთათჳს ღურბლნი შემზადნა დავით,
✠ სპილენძის სიმრავლისა არა იყო რიცხჳ ✠ ✠ ჴეთა კედრისათა დ
არა იყო რიცხჳ, რამეთუ მოართმიდეს სიდონელნი ✠ ტჳროსელნი
ჴეთა კედრისათა მრავალთა დავითს ✠ ✠ თქუა დავით: სოლომონ ე
მე ჩემი ურმა წული არს მცირე, ხოლო სახლი რომელი აღშენე-
ბად არს უფლისა, იყოს სიდიდითა მაღალ, სასელად, ✠ დიდებად
ყოველსა შორის ქუყანასა, განუმზადო მას, ✠ განუმზადა დავით
ყოველი სიმრავლით ხირველ აღსრულებისა თჳსისა ✠ ✠ მოუ- ვ
წოდა სოლომონს ძესა თჳსსა, ✠ ამცნო მას რათა აღუშენოს სახ-

ზ ლი უფალსა ღმერთსა ისრაელისასა ✿ ხოლო ჰკრძა დავით სო-
ლომონს, შკლო ჩემო, მაქუნდა გულსა შინა, რათა აღუშენო სახს-
ი ლი სახელსა უფლისა ღუთისა ჩემისასა ✿ ⁂ იქმა სიტყუა უფლი-
სა ჩემდა მოშართ მეტყუელი: [1] მრავალი სისხლი დასთხიენ, ⁂
მრავალნი ბრძოლანი ჰქმნენ არ ძალგიც აღშენებად სახლსა სიხს-
ლისა ჩემისასა, რამეთუ მრავალნი სისხლი დასთხიენ ქუეყანასა
თ ზედა წინაშე ჩემსა ✿ აჰა მე გეშუას შენ, ესე იეოს კაცი მშჯდობი-
სა, ⁂ განუსუენო მას ყოველთაგან მტერთა მისთა გარემოთა,
რამეთუ სოლომონ იეოს სახელი მისი, ⁂ მშჯდობა ⁂ განსუენებაი
ი მივსცე მას ისრაელსა ზედა ღღესა შინა მისსა ✿ მან [2] აღმიშე-
ნოს სახლი სახელისა ჩემისა, ⁂ იგი იეოს ჩემდა ძედ, ⁂ მე ვიეო
მისდა მამად, ⁂ წარუმართო საყდარი მეფობისა მისისა ისრაელსა
ია ზედა უკუნისამდე ✿ ⁂ აწ უკუე ძეო ჩემო იეოს უფალი შენთანა,
⁂ კეთილ წარგიმართოს, ⁂ აღუშენო სახლი უფალსა ღმერთსა შენ-
იბ სა, ვითარცა იტყოდა შენთჳს ✿ ⁂ მოგცეს შენ სიბრძნე ⁂ გონე-
ბა უფალმან, ⁂ განგაბლიეროს შენ ისრაელსა ზედა, დაცვად ⁂ უო-
იგ ფად სჯული უფლისა ღუთისა შენისა ✿ მაშინ კეთილ გეყოს,
უკეთუ დაიმარხო ყოფად მცნებანი, ⁂ მსჯავრნი, რომელიცა უბრძანა
უფალმან მოსეს, რათა ასწაოს ისრაელსა: განძლიერდი ⁂ მკნე
იდ იქმენ, ნუ გეშინის, ნუცა შეძრწუნდები ✿ ⁂ აჰა მე სიცრუესაებრ
ჩემისა განუმსადე სახლსა უფლისასა, ოქრო ტალანტი ასი ათასი,
⁂ ვეცხლი ათასი ათასთა ტალანტთა, ხოლო სპილენძი ⁂ რკინა,
რომლისა არა არს წონა, ვინათგან მრავალ არს: ⁂ ხენი ⁂ ქუანი
იე განვმზადენ, ⁂ ამათ შესძინოცა, ⁂ უფალი შენთანა ✿ ⁂ შეიძინო
სიმრავლესა მოქმედთა საქმისათა, კელოვანნი, მაშენებელნი ქუსა-
ნი, სის მოქმედნი, ⁂ ყოველნი ბრძენნი ყოველთა შინა საქმეთა ✿
ივ ოქროთა ⁂ ვეცხლთა, სპილენძთა, ⁂ რკინათა, არა არს რიცხჳ,
იზ ადგეც უკუე ⁂ ქმენ, ⁂ უფალი შენთანა ✿ ⁂ უბრძანა დავით ყო-
ველთა უხუცესთა ისრაელისთა, რათა შეეწეოდენ სოლომონს ძესა
იჱ მისსა მეტყუელმან: არა არსა უფალი თქუენთანა ✿ ⁂ მოგცა

[1] ქრონიკ. ა.—[2] ბ მეფეთა ზ. გ მეფეთა კ. კრ. კა.

თქუჳნ განსუჭნებაა გარემოს, რამეთუ მოგცნა კელსა შინა თქუჳნსა მკჳდრნი ქუჳყანისანი, ⁂ მორჩილ არს ქუჳყანა წინაშე უფლისა, ⁂ წინაშე ერთა მისთა ✿ აწ უკუჳ მიეცით გულნი თქუჳნნი, ით
⁂ სულნი თქუჳნნი მოიძიებდ უფალსა ღმერთსა თქუჳნსა, ⁂ აღ-
დგეით ⁂ აღუშენეთ სიწმიდე უფალსა ღმერთსა თქუჳნსა, რათა
მოიღონ კიდობანი აღთქმისა უფლისა, ⁂ ჯუარჯელნი სიწმინდისა
ღუთისანი სახლსა შინა აღშენებულსა სახელისათჳს უფლისა.

თავი ძგ.

და იეო დავით მოხუცებული ⁂ სავსე დღითა, ⁂ გაამეფა სო- ა
ლომონ ძე თჳსი ნაცვლად თჳსად ისრაელსა ზედა ✿ ⁂ შეკრიბნა ბ
უოველნი მთავარნი ისრაელთა, ⁂ მღდელნი ⁂ ლევიტელნი ✿ ხო- გ
ლო აღრიცხულ იქმნეს ლევიტელნი ოცდა ათის წლითგან ⁂ წია-
ღმა, ⁂ იქმნა რიცხჳ მათი თავეთა ებრ მათთა, კაცნი ოცდა ათერთმე-
ტი ათასი ✿ ⁂ ამათგან რჩეულნი საქმესა ზედა სახლსა უფლის- დ
სა, ოცდა ოთხი ათასი, ⁂ მწიგნობარნი, ⁂ მსაჯულნი, ექუსი ათა-
სი ✿ ⁂ ოთხი ათასი მეკრე, ⁂ ოთხი ათასი მგალობელნი უფლი- ე
სანი ორღანოთა შინა, რომელი ქმნა საქებელად უფლისა ✿ ⁂ გა- ვ
ნუო იგინი დავით მარადღეობასა ზედა მსახურებად მეთა ლევიტე-
ლთა, [1] გერსონს, კაათს, ⁂ მერარს ✿ ⁂ გერსონს, ლეადანს, ⁂ ზ
სემეის ✿ ძენი ლედანისნი, უხირატესი იილ, ⁂ ზეფოფ, ⁂ იოილ, სა- ჱ
მი ✿ ხოლო ძენი სემეისნი: სალამიფ, ⁂ ახაილ, ⁂ არან, სამნი თ
ესენი უფროსნი მამულისა ლადანისათა ✿ ⁂ მეთა სემეისთა, იეთს, ი
⁂ ზიზაის, ⁂ იოასს, ⁂ ვერიას: ესენი ძენი სემეისნი, ოთხნი ✿
ხოლო იეო იეფ ჰირველი, ⁂ ზიზა მეორე, ხოლო იოას ⁂ ვერას, ია
არა ესხნეს მრავალნი ძენი, ⁂ იუჳნ სახლსა შინა მამულისასა
შერაცხილ ერთად ✿ ძენი კაათისნი: ამრამ, ⁂ იასარ, ქებრონ, ⁂ იბ
ოზიილ, ოთხი ✿ [2] ძენი ამრამისნი აარონ, ⁂ მოსე, ხოლო გა- იგ
ნუოფილ იქმნა აჰრონ მღუდელობად წმიდათა წმიდათათა, იგი ⁂
ძენი მისნი უკუნისამდე, ⁂ რათა აკმეველდენ საკმეველსა წინაშე უფ-

[1] ბ მოსე გ. ზემორე კ. დ მოსე გ. — [2] ბ მოსე ბ ⁂ კ. დ მოსე კ. ებრ. გ.

ლისა მსახურებად მისსა წესისა ებრ მისისასა, ⁂ ვედრებად სახლ-
იდ სა მისსა უკუნისამდე ✿ ხოლო მოსე კაცი ღუთისა, ⁂ ძენი მისნი
იე აღრიცხულ არიან ტომთა შინა ლევისათა ✿ [1] ძენი მოსესნი: ღი-
ოვ,ოზ რსამ, ⁂ ელიეზარ ✿ ძენი ღირსამისი: სუეილ უხუცესი ✿ ხოლო
იუშენ ძენი ელიეზერისნი, რავია უხუცესი: ⁂ არა ესვად ელიეზერს
იჶ ძენი სხვანი, ხოლო ძენი რავინისნი ძრაეალ არიან ფრიად ✿ ⁂
ით ძენი ისაარისი: სალლუმოფ უხუცესი ✿ ძენი ქებრონისნი: იერიაე
ჰირველი, ამარია მეორე, ⁂ იეზეილ მესამე, ⁂ იეზეკია მეოთხე ✿
კკა ხოლო ძენი ოზიილისა, მისია ჰირველი, ⁂ იესია მეორე ✿ ძენი
კბ მერარისნი: მოოლი ⁂ მუსი ✿ ძენი მოოლისნი: ელეაზარ, ⁂ კის,
ხოლო მოკუდა ელეაზარ, ⁂ არა ესვა მას ძენი, არამედ ქარნა ასუ-
კგ ლი, ⁂ მიიუვანეს იგინი მეთა კისთა, მმათა მათთა ✿ ძენი მუსინი-
კდ სნი: მოოლი, ⁂ ედერ, ⁂ არიმოფ, სამნი ✿ ესენი ძენი ლევისნი
სახლთა ებრ მამულისა მათთა, უჰირველესნი მამეულთა ჴათთა, აღ-
რიცხჯსაებრ მათთა, რიცხჯსაებრ სახელთა მათთა თავებთაებრ მათ-
თა, რომელნი ჴოფდენ საქმეთა მსახურებისათა სახლისა უფლის-
კე სა ოცით წლითგან ⁂ წიაღმა ✿ ხოლო ჴრქუა დავით: განსუენე-
კვ ბა მოსცა უფალმან ღმერთმან ერთა თჯსთა ისრაელთა, ⁂ დაეშენა
იერუსალემსა შინა ვიდრე უკუნისამდე ✿ ⁂ ლევიტელნი არა იქმ-
კზ ნენ მტჯრთუფლნი კარგისა, ⁂ ყოველისა ჯურჯულისა მისისა სამ-
სახურებელისა მიმართ მისისა ✿ რამეთუ ბრძანებისაებრ დავითისა
კჱ შემდგომისა არს რიცხჯ მეთა ლევიტელთასა, ოცით წლითგან ⁂
კთ უმაღლეს ✿ რამეთუ დადგინა იგინი ქუფუშე კელსა მეთა არონისათა
მსახურებად სახლსა შინა უფლისსა ბჯეთა შინა ⁂ სტოვათა შინა
⁂ განსუფლელთა შინა ყოველთა სიწმინდეთა, ⁂ საქმეთა შინა სამ-
სახურებელთა სახლისა ღუთისსა ✿ ⁂ ჰურთა ზედა წინა დასაგე-
ბელთა, ⁂ ფქჯლთა ზედა სამინდოვანსა შესაწირავსა, ⁂ შერთულთა
ზედა უცომოთა, ⁂ ტაფათა ზედა, ⁂ შემწუართა ზედა, ⁂ ყოველთა
ლ ზედა საწონთა ⁂ საწუაულთა ✿ ⁂ რათა ადდგებოდენ განთიად ქე-
ლა ბად ⁂ აღსარებად უფლისა, ⁂ ეკრეთვე მწუხრად ✿ ⁂ ყოველთა

[1]) ბ მოსე ბ ⁂ იჶ.

ზედა ასამაღლებელთა ყოველად დასაწუწკლისა უფლისა, შაბათთა შინა, ⁂ ახალ თუეთა შინა, ⁂ დღესასწაულთა შინა, რიცხჳსაებრ, წესისაებრ მათთა მარადის უფლისა ✿ ⁂ რათა სცჳდენ საკმილავსა კარვისა საწამებელისა, ⁂ სახმილავსა სიწმინდისასა, ⁂ კუმილვიდენ მენი აჰრონისნი მმანი მათნი რათა მსახურებდენ სახლსა შინა უფლისასა. ლბ

თავი კდ.

და მეთა აჰრონისთა განყოფანი: [1] მენი აჰრონისანი: ნადაბ, ⁂ აბიუდ, ⁂ ელიაზარ, ⁂ ითამარ ✿ ⁂ მოკუდა ნადაბ ⁂ აბიუდ წინა მამისა თჳსისა, ⁂ მენი არ ესხნეს მათ, ⁂ მღდელობდეს ელიაზარ ⁂ ითამარ მენი აჰრონისნი ✿ ⁂ განყო იგინი დავით, ⁂ სადუკ მეთაგან ელიაზარისათა, ხოლო ახიმელიხ მეთაგან ითამარისათა აღრიცხჳსაებრ მათთა, ⁂ მსახურებისაებრ მათთა, ⁂ სახლისაებრ მამეულისა მათისა ✿ ⁂ იპოვნეს მენი ელიაზარისნი მრავალნი უპირველესობასა შინა ძალთა, ვიდრედა თუ მენი ითამარისანი, ⁂ განყოფანი მათნი მენი ელიაზარისნი, უპირველესნი სახლთა მამეულთა შინა ათექუსმეტი, ⁂ მეთა ითამარისათა სახლთაებრ მამეულთა მათთა რვა ✿ ხოლო განყო იგინი წილისაებრ შორის მათსა, ვინათგან იუნენ უპირველესნი სიწმიდისა, ⁂ უპირველესნი ღუთისა მეთა შინა ელიაზარისათა ⁂ ძეთა შინა ითამარისათა ✿ ხოლო აღწერნა იგინი სამაია მემან ნათანაილისამან მწერალმან ლევიტელთამან, წინაშე მეფისა, ⁂ მთავართა, ⁂ სადუკ მღდელისა, ⁂ ახიმელიხ ძისა აბიათარისა, ⁂ უპირველესნი მამეულთა მღდელთა ⁂ ლევიტელთა სახლისა მამეულისა, ერთი ელეაზარსთანა ⁂ ერთი ითამარისთანა ✿ ⁂ გამოვიდა წილი პირველი იოიარიბისა, იედისა მეორე ✿ ხარიბისა მესამე, სერიმისა მეოთხე ✿ მელხიასი მეხუთე, გეიამინისი მეექუსე ✿ აკკოსა მეშჯდე, აბისი მერვე ✿ ისუსა მეცხრე, სესხენიასი მეათე ✿ ელიასიმისა მეათერთმეტე, იაკიმს მეათორმეტე ✿ ოფაიის მეთსამეტე, იესაყალს მეათოთხმეტე ✿ ბელგას მეათხუთმეტე, ემმერს მეათექუსმეტე ✿ იეფ-

[1] ⁂ მოსე გ ⁂ კ· გ მოსე ი· ⁂ მოსე გ ⁂ კვ·

ა
ბ
გ
დ
ე
ვ
ზ
ჱ
თ,ი
ია,იბ
იგ
იდ,ოე

იგ თეს მეათშჯდმეტე, აფესიის მეათერამეტე ✿ ფეთოს მეათცხრამეტე,
იზ ⁂ ეზეკიელს მეოცე ✿ ახინს მეოცდა ერთე, ღამოილს მეოცდა
იწ,ით ორე ✿ დალეის მეოცდა სამე, ღელს მეოცდა ოთხე ✿ ესენი აღ-
რიცხუნა მათი მსახურებისაებრ მათისა, შესლვად სახლსა შინა უფ-
ლისასა წესისაებრ თჯსისა კელითა აჰარონ მამისა მათისათა, ვი-
კ თარცა უბრძანა უფალმან ღმერთმან ისრაელთა ✿ ⁂ მეთა ლევი-
ტელთა სხუათა, მეთა ამრამისათა: სოვაილ: მეთათანა სოვაილისა-
კა,კბ თა, იადაილ ✿ მეთა რავინისათა უჰირველესი იესია ✿ მეთა ია-
კგ სარინისთა სალომოთი, მეთა სალომოთისათა, იაფ ✿ მენი ედიუ-
სა: იერიაჳ ჰირველი, ამადია მეორე, იაზიილ მესამე, იეკმოამ მეო-
კდ,კე თხე ✿ მეთა ოზიილთა: მიხია, მენი მიხაისნი სამირ ✿ მმა მისი-
კვ სი, ისია: მენი ისიისა, ზაქარია ✿ მენი მერარინისა: მოოლი ⁂
კზ მუსი, მე ოზიისა ვონნი ✿ მენი მერარისნი, ოზია ⁂ მენი მისნი
კთ იესოიმა, ⁂ ზაკხურ, ⁂ იოფი ✿ მოოლიუ, ელეაზარ, ⁂ ითამარ,
ლ სოლო მოკუნდა ელიაზარ ⁂ არა ესხნეს მენი მას ✿ კისა: მენი კი-
სნი: კიოვ, იეზამიილ ✿ მენი მუსინისი: მოოლი, ⁂ ედერ, ⁂ იე-
რიმოფ, ესენი მენი ლევიტელთანი სახლისაებრ მამეულთა თჯსთა ✿
ლა სოლო მიიღეს მათცა წილი ვითარცა მმათა მათთა მეთა აჰარონის-
თა, წინაშე დავით მეფისა, ⁂ სადუკით, ⁂ ახიმელიქისათა, ⁂ უფ-
როსთა მამეულთა მღდელთათა, ⁂ ლევიტელთათა, პატრიარსი აჰ-
რონ, ვითარცა მმანიცა მისნი, უმცირესნი.

თავი ქე.

ა ⁂ და დაადგინა დავით მეფემან, ⁂ მთავართა ძალთა, საქმეთა ზე-
და მენი ასაფისნი ⁂ ემანისნი, ⁂ იდიფუნთა, რომელნი მიუხრობ-
დეს ებანთა შინა, ⁂ ფსალმუნთა, ⁂ წინწილთა, ⁂ იუო რიცხჳ მა-
ბ თი თავთაებრ კაცთა მოქმედთა საქმეთა თჯსთა ✿ მენი ასაფისანი:
ზაკხურ, ⁂ იოსიფ, ⁂ ნაფანია, ⁂ ასილ, მენი ასაფისნი იჰკრობდეს
გ ასაფს წინასწარმეტყუველსა მასლობელ მეფისა ✿ იდიფუმს, მენი
იდიფუმლისნი, ლოდოლია, ⁂ სური, ⁂ ისეა, ⁂ სემეი, ⁂ ასავია,
⁂ მატათია, ექუსნი მამისაებრ თჯსისა იდიფუმისა, ბობღანთა შინა
ჲ უკრვიდეს, აღუვარებდეს ⁂ აქებდეს უფალსა ✿ ემანი, მენი ემანია-

სნი: ვუკი, ⁂ მაფუანია, ⁂ ოზიილ, ⁂ სუვაილ, ⁂ იერიმუფ, ⁂ ანა-
ნია, ⁂ ანან, ⁂ ელიაფ, ⁂ ღოდოლაიფი, ⁂ რომეფაფუზერ, ⁂ სა-
ვას ⁂ მაღლიფი, ⁂ ოფირ, ⁂ მეაზოფ ✿ ყოველნი ესე მენი ემა- ე
ნისნი, მრეველნი მეფისა, სიტუჱათა შინა ღუთისათა, რათა აღუ-
მაღლოს რქაჲ, ხოლო მისცა ღმერთმან ემმანს მენი ათოთხმეტნი ⁂
სამნი ასულნი ✿ ყოველნი ესენი მამისათანა თჯისა მგალობელ- ვ
ნი სასლსა შინა ღუთისსა, წინწილითა, ⁂ ფსალმუნითა, ⁂ ბობ-
ღნითა მსახურებდ სასლსა ღუთისსა მასლობელ მეფისა, ⁂ ასაფ,
⁂ იდიფუმ, ⁂ ემან ✿ ხოლო იფო რაცხჯ მათი მმათათანა მათთა ზ
სწავლულ გალობითა უფლისათა, ⁂ ყოველითა გულის კმის ყოფი- ჱ
ჲა გალობისათა, რვაას ოთხმოცდა რვა ✿ ხოლო აღიღეს ⁂ ამათ
წილნი ცვლით ყოველსა დღეთა მცირისაებრ, ⁂ დიდისაებრ, სრულ-
თა, ⁂ სწავლულთა ✿ ⁂ გამოვიდა წილი ჰირველი მეთა მისთა ⁂ თ
მმათა მისთა, ასაფს, იოსიფუვს, ღოდოლიას, მეორე ინიას, ⁂ მე-
თა მისთა, ⁂ მმათა მისთა ათორმეტთა ✿ მესამე ზაკხურ, მეთა მი- ი
სთა ⁂ მმათა მისთა ათორმეტთა ✿ მეოთხე იუზრი, მენი მისნი ⁂ ია
მმანი მისნი ათორმეტნი ✿ მეხუთე ნაფან, მენი მისნი ⁂ მმანი იბ
მისნი ათორმეტნი ✿ მექჳსე ვუკია, მენი მისნი ⁂ მმანი მისნი იგ
ათორმეტნი ✿ მეშჯდე იერიელ, მენი მისნი ⁂ მმანი მისნი ათორ- იდ
მეტნი ✿ მერვე იოსია, მენი მისნი ⁂ მმანი მისნი ათორმეტნი ✿ იე
მცხრე მაფუანია, მენი მისნი ⁂ მმანი მისნი ათორმეტნი ✿ მეათე ვ,ოზ
სემეია, მენი მისნი ⁂ მმანი მისნი ათორმეტნი ✿ მეათერთმეტე ოჱ
ეხრიილ, მენი მისნი ⁂ მმანი მისნი ათორმეტნი ✿ მეათორმეტე ით
ასაფია, მენი მისნი ⁂ მმანი მისნი ათორმეტნი ✿ მეათსამმეტე სუ- კ
ვაილ, მენი მისნი ⁂ მმანი მისნი ათორმეტნი ✿ მეათოთხმეტე მა- კა
ტაფია, მენი მისნი ⁂ მმანი მისნი ათორმეტნი ✿ მეათხუთმეტე კბ
იერიმუფ, მენი მისნი ⁂ მმანი მისნი ათორმეტნი ✿ მეათექჳსმეტე კგ
ანანია, მენი მისნი ⁂ მმანი მისნი ათორმეტნი ✿ მეათშჯდმეტე კდ
იესვაკ, მენი მისნი ⁂ მმანი მისნი ✿ მეათვრამეტე ანანია, მენი კე
მისნი ⁂ მმანი მისნი ათორმეტნი ✿ მეათცხრამეტე მელლიფი, მე- კვ
ნი მისნი ⁂ მმანი მისნი ათორმეტნი ✿ მოცე ელლიაფა, მენი კზ

კჳ კთ ლა მისნი ✠ მმანი მისნი ათორმეტნი ✠ მოცდა ერთე იფირ, მენი მისნი ✠ მმანი მისნი ათორმეტნი ✠ მოცდა ორე ღედელაფი, მენი მისნი ✠ მმანი მისნი ათორმეტნი ✠ მოცდა სამე მაზამო, მენი მისნი ✠ მმანი მისნი ათორმეტნი ✠ მოცდა ოთხე რომემიეზერ, მენი ✠ მმანი მისნი ათორმეტნი.

თავი კვ.

ა ბ გ დ ე ვ ზ ჱ თ ი ია იბ იგ იდ იე

ხოლო განუოფანი მეკარეთანი, მეთა კორესთა, მოსელლიმია, მე კორესი, მეთაგან ასაფისათა ✠ ხოლო მენი მოსელლიმისნი, ზაქარია ჰირმშო, ✠ ადიელ მეორე, ზავადია მესამე, ✠ აფანაილ მეოთხე ✠ ოლამ მეხუთე, იონათან მეექუსე, ელიონია მეშჯდე, ავდედომ მერვე ✠ ხოლო ავდედომის მენი, სამია ჰირმშო, იოზდავ მეორე, ნოდათ მესამე, სახარ მეოთხე, სოფანუილ მეხუთე ✠ ამიელ მეექუსე, ისახარ მეშჯდე, ფალაფი მერვე, რამეთუ აკურთხა იგი ღმერთმან ✠ ხოლო სემჳის მისა მისისა შობანი არიან, მენი ჰირმშო უხუცესნი სახლსა შინა მამულთა მისთა, რამეთუ იუნენ ძლიერნი ✠ მენი სემეიესნი, ოფნი ✠ რაფაილ, ✠ ოვიდ, ✠ ელზავად, ✠ ახია, მენი ძლიერნი, ელიუი, ✠ საგახია, ✠ იზვასრამ ✠ ყოველნი ესენი მეთაგან ავდედომელისთა, ესენი ✠ მენი მათნი ✠ მმანი მათნი მშრომელნი ძლიერათ საქმეთა შინა, ყოველნი სამეოც ✠ ორი, ავდედომისა ✠ ხოლო მოსესალამისა მენი ✠ მმანი ათვრამეტნი ძლიერნი ✠ ხოლო ასსე მეთაგან მერარინისათა მენი მცველნი უხუცესნი, ვინათგან არა იყო ჰირმშო მისი, ✠ დაადგინა იგი მამამან მისმან უჰირველესად, განუოფილება მეორისა ✠ სელკია მეორე, თავლია მესამე, ზაქარია მეოთხე, ყოველნი ესე მენი ✠ მმანი ასსინისნი ათსამმეტნი ✠ ესენი განუოფილ არიან მეკარედ, რათა უხუცესობდენ ძალთა ზედა ღუთისათა, ჲთარცა მმანი მათნი მსახურებად სახლსა შინა უფლისასა ✠ ✠ განაწილებდენ წილსა კაცად-კაცადსა ზედა მათთა, მცირე ✠ დიდი სახლისა ებრ მამეულთა თჯსთა, კაცად-კაცადი ბჭესა ზედა ✠ და ეცა წილი მეოფთა აღმოსავლეთით ზედა სელიმისა, ✠ ზაქარიასი, მენი სოაზისნი იოია ✠ მეხსია განიგდებდეს წილსა, და ეცა წილი ჩრდილოეთისა მიმართ ✠ ავდე-

დომს სამხრით მიმართ, სწორ სახლსა ესიფიმისა, მეორესა შინა ✿
უსასა დასავლით მიმართ, ბჳთაებრ სტოვასა აღმოსავლისასა, ივ
საცავსა წინაშე საჳმილავისასა ✿ აღმოსავალით მიმართ, ექუს ექუ- იზ
სნი დღეთა შინა, ⁂ ჩრდილოთ მიმართ ოთხ ოთხი დღეთა შინა,
შუადღით მიმართ დღეთა შინა ოთხ ოთხი ✿ სახლისა მიმართ იჱ
ზრახვისა (ესეფინის მიმართ) ორ ორი გამომცვლელი, ⁂ ოსეს და-
სავლის მიმართ, ბჳთაებრ სტოვასა სამთა საცველსა წინაშე საჳმილა-
ვისა აღმოსავლისა აღმოსავლით მიმართ ექუს ექუსი, დღეთა შინა,
⁂ ჩრდილოთზე ოთხ ოთხი, ⁂ სამხრით მიმართ ოთხი, ⁂ ესეფიმის
მიმართ ორი იცვალებოდეს, ⁂ დასავლის მიმართ ოთხი, ⁂ ბდგილ-
თა მიმართ ორი გამომცვლელი ✿ ესენი განყოფილებაჲ მეკარეთა ით
მეთა კორესთა, ⁂ მეთა მერარისათა ✿ ხოლო ლევიტელნი მმანი კ
მათნი იყუნენ საუნჯეთა ზედა სახლსა უფლისასა, ⁂ საუნჯეთა ზე-
და წმიდათასა ✿ ძენი ლადანისნი, ძენი გერსონისნი: ლადანს უბი- კა
რველესნი მამულთა ლადანისთა, ⁂ გერსონს იეილი ✿ ⁂ მენი იე- კბ
ილისნი სემეფ, ⁂ იოილ, მმანი საუნჯეთა ზედა სახლისა უფლისა-
სა ✿ ამარამის, ⁂ ისსარს, სევრონს, ⁂ ოზიელს ✿ ხოლო საგალ კგ,კდ
მე გირსამისა ძისა მოსესა ზედ მდგომელი საუნჯესა ზედა ✿ ხოლო კე
მმად მისი ელეზერს, ეაჳია მე მისი ⁂ იოსია, ⁂ იორამ, ⁂ ზეხრი, ⁂
საღომოფ ✿ იგი საღომოფ, ⁂ მმანი მისნი ყოველთა ზედა საუნ- კვ
ჯეთა წმიდათასა, რომელი განწმიდნა დავით მეფემან, ⁂ უბირატე-
სნი მამეულთა, ათასის თავნი, ⁂ ასის თავნი, ⁂ მკედართ მთავარ-
ნი ძლიერთანი ✿ რომელი აღიღო ქალაქთაგან, ⁂ ნატუენვათა- კზ
გან ⁂ ნეშტთა მათთა შესწევნელად შენებისა სახლისა უფლისა-
სა ✿ ⁂ ყოველთა ზედა რომელი განსწმიდნა ღმერთმან, სამოელ კთ
წინასწარმეტყუელმან, ⁂ საულ მეფემან კისისმან, ⁂ ავენირ მეფემან
ნიროსმან, ⁂ იოაბ მეფემან სარუისმან, ყოველი რომელი განწმდეს
ქუეყნით კელითა სალმოფისითა ⁂ მმათა მისთა ✿ ისსარიის ხონე- კთ
ნისა ⁂ მენი მისნი საქმესა შინაგანსა იერუსალემსა ზედა, განსწა-
ვლისა მიმართ, ⁂ დასჯილებისა ✿ ქებრონს ასაფის ⁂ მმისა მი- ლ
სისა, მეთა მლიერთა, ათას შჯდასთა მხედველთა ზედა ისრაელისა

წიად იორდანესა ჰირის ჰირ დასავლით, ყოველსა ზედა მსახურებასა ლა უფლისასა, ⁂ ქმნულებასა ზედა მეფისასა ✿ ქებრონს, ურია უჰირველესი ქებრონელთა, ნათესავთაებრ მათთა, ⁂ მამეულთა ებრ მეორმოცესა შინა წელსა მეფობაჲსა დავითისსა აღრიცხულ არიან, ⁂ ჰოვნილნი კაცნი ძლიერნი მათ შინა, იაზირსა შინა გალადიისა ლბ სა ✿ ⁂ მმანი მისნი მენი ძლიერთა ორი ათას შჯდასი, უჰირველესნი მამეულთა, ⁂ დაადგინნა იგინი დავით მეფემან რუბიმთა ზედა ⁂ გაადისთა, ⁂ ზედა ნახევარ ტომსა მანასესასა ყოველისა ებრ ბრძანებისა უფლისა ⁂ სიტყჳსა მეფისა.

თავი კზ.

ა ხოლო მენი ისრაელისანი რიცხჳსა ებრ მათისა უჰირველესნი მამეულთა, ათასის თავნი, ⁂ ასის თავნი, ⁂ მწიგნობარნი, რომელნი მსახურებდეს მეფესა ყოველსა ზედა სიტყვასა სამეფოსა განყოფათა ებრ ⁂ ყოველსა ზედა სიტყვასა რომელნი შევიდოდეს ⁂ განვიდოდეს თჯთგან თუჱდ, ყოველთა შინა თუჱთა წელიწადსა ბ განყოფა ერთი ოცდა ოთხი ათასთა ✿ ⁂ ჰირველსა ზედა განყოფასა ჰირველსა შინა თუჱსა იქმნებოდა იზვოაზ მე ზავდიელოსი, გ განყოფილებასა შინა მისსა ოცდა ოთხი ათასი ✿ მეთაჲან ფარეზისათა უჰირველესი ყოველთა მთავართა მყედართა თუჱსა ჰირველსა ✿ ⁂ განყოფილებასა ზედა თუჱსა მეორესა დოდაი ეზხოთორი დ ⁂ დასსა ზედა მისსა, ⁂ მაკელლოფ მწყემსი მყედართა, ⁂ განყოე ფილებასა შინა მისსა ოცდა ოთხი ათასი მთავარნი ძალთა ✿ მესამე თუჱსა მესამისასა, ვანეა მე იოდასა რომელი არს მღდელი უჰირვ ველესი, ⁂ განყოფილებასა შინა მისსა, ოცდა ოთხი ათასი ✿ ესე ზ ვანეა უძლიერესი შორის ოცდა ათთა ზედა, ⁂ ზედა ოცდა ათთა ⁂ განყოფასა ზედა მისსა სადავ მე მისი ✿ მეოთხე თუჱსა მეოთ ჱ ხისასა ასაილ მმა იოაჳისა, ⁂ ზავადია მე მისი ⁂ მმანი ბანაჳსა შინა მისსა ოცდა ოთხი ათასი ✿ მეხუთე მეხუთესა თუჱსა თ უჰირველესი სამაოთ მე იეზრაესი ⁂ დასსა შინა მისსა, ოცდა ი ოთხი ათასი ✿ მეექჳსე თჯსა მეექჳსისა ადუია მე ეკკისისა ფეკუიტელი, ⁂ ბანაჳსა შინა მისსა ოცდა ოთხი ათასი ✿ მეშჯდე თჯსა

მეშჯდისა ხელლის რომელი იყო ფალუსისაგან, მეთაგან ეფრემი-
სათა, ⁂ დასსა შინა მისსა ოცდა ოთხი ათასი ✿ მერვე თჯსა მე- ია
რვისა, სოვვახაი უსაფითანელი ტომისაგან ზარაინისა ⁂ ბანაკსა შინა
მისსა, ოც ⁂ ოთხი ათასი ✿ მეცხრე თჯსა მეცხრესა ავეზერ, რომელი იბ
იყო ანფოფისაგან, ქუჩჯანისაგან ბენიამენისა, ⁂ ბანაკსა შინა მი-
სსა ოც ⁂ ოთხი ათასი ✿ მეათე თჯსა მეათისა ნეირაი, რომელი იგ
იყო ნეთოფაფითისაგან, ტომისაგან ზარაინისა, ⁂ ბანაკსა შინა მი-
სსა ოც ⁂ ოთხი ათასი ✿ მეათერთმეტე თჯსა მეათერთმეტისა, იდ
ვანაია რომელი იყო ფარაფონისაგან, მეთაგან ეფრემისთა, ⁂ გუნ-
დსა შინა მისსა ოც ⁂ ოთხი ათასი ✿ მეათორმეტე თჯსა მეა- იე
თორმეტისა, ხოლდი, რომელი იყო ნეთოფაფითისაგან, ⁂ ტომისაგან
ღოფონიელსაჲისა, ⁂ ბანაკსა შინა მისსა ოც ⁂ ოთხი ათასი ✿ ⁂ იგ
ზედა ტომთა ისრაელისათა რუბენს მკედართ მთავარი ელიაზარ, მე
ზექრებისა, სიმეონისა საფათია, მე მაახსა ✿ ლევისა, ასაბია მე იზ
კამუალისა, არონისა სადუკ ✿ იუდასი, ელია მმისაგან დავითისათა, იჩ
ისახარისა ამირ მე მიხაილისი ✿ ზაბილონისა, სამაიას, მე აბდი- ით
ასი, ნეფთალემისაგან, იერიმოთ მე ოზიელისი ✿ ეფრემისა, ოსი კ
მე ოზაისი, ნახეგარ ტომისაგან მანასესა, იუილ მე ფადეისა ✿ ნა- კა
ხევარ ტომისა მანასესა მეოფთა ქუჩჯანათა შინა გალადისათა, ია-
დდაი მე ზაბდისი, მეთა ბენიამენისთა ასიილ, მე ავენირისა ✿ და- კბ
ნისა, ახარიილ მე იორამისა, ესენი იქმნენ უჯირველესნი ტომთა
ისრაელისათა ✿ ხოლო არა ინებაჲ დავით აღრიცხუა მათი, ოცი კგ
წლითგან, ⁂ უქუჩჯდაესისა, ვინათგან თქუა უფალმან განმრავლებად
ისრაელისა, ვითარცა ვარსკულავნი ცისანი ✿ ხოლო იოაბ მეძან კდ
სარუისმან იწყო აღრიცხუად ერისა, ⁂ ვერ აღასრულა. [1] ამისთჯს
იქმნა გულის წურომა ღუთისა ისრაელსა ზედა, ⁂ არა მოიღო აღ-
რიცხუაჲ წიგნსა შინა სიტყუათა მეფისა დავითისასა ✿ ხოლო სა- კე
უნჯეთა ზედა მეფისათა იყო ასაფოთ, მე ოდიელისა, ⁂ საუნჯეთა
ზედა, რომელნი ყანათა ზედა ⁂ აგარაკებთა შინა, ⁂ ყოველთა ში-
ნა, ⁂ სუჩჯტებთა შინა, იონათან მე ოზიისა ✿ ⁂ ქუჩჯანის მოქ- კვ

[1] ზემორე კა.

კზ მედთა ზედა, ქუჩწყანის მოქმედნი ეზრაი მე ხელუბისა ✿ ⁂ დაბებსა
ზედა, სემეი არმათეელი, ⁂ საუნჯეთა ზედა ვენაჯისათა, ზამდია მე
კჩ სეფაძისა ✿ ხოლო ზეთისხილთა ზედა, ⁂ ხილთა ზედა, რომელნი
იუშენ ველთა ზედა, ვალანან გედორითნელი, საუნჯეთა ზედა
კთ ზეთისათა, იოას ✿ ხოლო ცხოვართა ზედა რომელსა მწუსიდნენ
სარონსა შინა, სათარია სარონიტელი, ⁂ კართა ზედა, რომელი
ლ ღელეთა შორის, საფათ მე ადაისა ✿ ხოლო აქლემთა ზედა, უზიას
ისმაიტელი, ხოლო ვირთა ზედა იადაი, რომელი იყო მარათონი-
ლა საგან ✿ ⁂ ცხოვართა ზედა, იოას აგარიანი, ყოველნი ესენი უფ-
ლბ როსნი, საქონლისა მეფისა დავითისა ✿ ხოლო იონათან ბიძა და-
დავითისა იყო თანა მზრახველი, კაცი ბრძენი, ⁂ მწიგნობარი მეო-
ლგ ფი, ⁂ იეილ ძე ახამანისი იყო მეთა თანა მეფისათა ✿ აქიტობელ
თანა მზრახველი მეფისა, ⁂ ხუსია უუბირველესი მეგობარი მეფი-
ლდ სა ✿ ⁂ შემდგომად მისსა აქიტობელ იქმნა ახლოს იოდიასა ძი-
სა ბანიასა, ⁂ აბიათარ, ⁂ იოაბ უხუცესი მკედარი მეფისა.

თავი კზ.

ა ხოლო შეკრიბნა დავით ყოველნი უბირველესნი ისრაელისანი,
უბირველესნი მსაჯულთანი ⁂ ტომთანი, ⁂ ყოველნი უხუცესნი ბა-
ნაკთა, ყოველ ღმუთაებრ მმკჱთვილნი მეფისანი, ⁂ უბირველესნი
ათასის თავთა ⁂ ასის თავთა, მკჱთვილნი საუნჯეთა ზედა, ⁂ მეო-
ფნი საქონელთა ზედა მისთა, ⁂ ყოველთა ზედა საჴურობელთა მე-
ფისათა, ⁂ ძეთა მისთა საჯურისთათანა, ⁂ ძლიერთა ⁂ ახოვანთა
ბ მკედართა იერუსალემს შინა ✿ ⁂ აღდგა მეფე დავით საშუალ კრე-
ბულისა, ⁂ ჰრქუა: ისმინეთ ჩემი მმანო ჩემნო, ⁂ ერნო ჩემნო,
იყო გულსა ჩემსა აღშენება სახლისა განსასუნჯებელისა კიდობნისა
აღთქმისა უფლისა, ⁂ კუარცსლბეკისა ფერჴთა უფლისა ღუთისა
გ ჩუენისა, ⁂ განვემზადე აღშენებასა ზედა საჴმარნი ✿ სოლო ღმერთ-
მან მრქუა: [1] არა აღმიშენო მე სახლი სახელის დებად სახელისა
ჩემისა მისთჳს, ვინათგან კაცი მბრძოლი ხარ შენ ⁂ სისხლი დაჲ-
დ თხევიეს ✿ ⁂ გამოძირჩია უფალმან ღმერთმან ისრაელისამან მე

[1]) ზემორე კბ.

ეოველისაგან სახლისა მამისა ჩემისა, რათა ვიქმნე მეფედ ისრაელ-
სა ზედა უკუნისამდე, ⁂ იუდასა შინა გამოირჩია მეფობად, ⁂ სახ-
ლისაგან იუდაისა სახლი მამისა ჩემისა, ⁂ მეთაგან მამისა ჩემისა
ჩემ შორის სათნო იყო ეოფად მეფედ ეოველთა ზედა ისრაელთა ✿
ხოლო მეთაგან ჩემთა ეოველთა, რამეთუ მენი მრავალნი მომცნა მე ე
უფალმან, [1] გამოირჩია სოლომონ მე ჩემი, რათა დაჯდეს საყდარ-
სა ზედა მეფობისა უფლისასა ისრაელსა ზედა ✿ ⁂ მრქუა მე ვ
ღმერთმან: სოლომონ მემან შენმან აღაშენოს სახლი ჩემი, ⁂ ეზო-
ნი ჩემნი, რამეთუ იგი გამოვირჩიე ჩემდა ძედ ეოფად, ⁂ მე ვიეო.
მისდა მამად ✿ ⁂ განვაჯლიერო მეფობაჲ მისი ვიდრე უკუნისამდე, ზ
უკეთუ განმლიერდეს დაცვად მცნებისა ჩემისა, ⁂ სამართლისა ჩე-
მისა, ვითარცა დღეს ✿ აწ უკუჱ წინაშე ჱრსა ეოველისა კრებუ- ჱ
ლისა უფლისა, ⁂ შურსა შინა ღუთისა ჩუჱნისა, დაიცევით ⁂ მოი-
ძიეთ ეოველნი მცნებანი უფლისა ღუთისა ჩუჱნისა, რათა დაიმკჳ-
დროთ ქუჱყანა კეთილი, ⁂ დაუტეოთ სამკჳდრებელად ძეთა თქუჱნ-
თა შემდგომად თქუჱნსა ვიდრე უკუნისამდე ✿ ⁂ აწ სოლომონ თ
მეო ჩემო, იცოდინ ღუთისა მამათა შენთა, ⁂ მსახურე მას გული-
თა სრულითა, ⁂ ნებითა სულიერითა, [2] რამეთუ ეოველსა გულსა
გამოიძიებს უფალი, ⁂ ეოველთა გულის სიტუჱთა მეცნიერებს:
უკეთუ ეძიებდე მას ჰპოო, უკეთუმცა დაუტეო იგი, დაგიტეოს შენ
უკუნისამდე ✿აწ უკუჱ იხილე, რამეთუ გამოგირჩია შენ უფალმან, ი
რათა აღუშენო მას სახლი მღდელ მოქმედებად, განშტკიცდი ⁂
შეასრულე ✿ ხოლო მისცა დავით სოლომონს ძესა თჳსსა გამო- ია
სახულება ტაძრისა ⁂ სახლთა მისთა, ⁂ კამარათა მისთა, ⁂ ზედა
სახლთა, ⁂ დასადებელნი შინაგანთა, ⁂ სახლისა სალხინებელისა ✿
⁂ მსგავსება, რომელი მოიგონნა სულითა თჳსითა, ეზოთა სახ- იბ
ლისა უფლისა, ⁂ ეოველი კამარა გარემოს საუნჯეთა შინა სახ-
ლისა უფლისა, ⁂ შთასადებელი წმიდათა ✿ ⁂ სასტუმრო, ⁂ იგ
დღიურთა ცვლათა მღდელთა ⁂ ლევიტელთა, ეოველსა შინა საქმე-

[1] გ მეფეთა გ. ბ ნუშტთა ა. სამრძნე ო.—[2] ბ მეფეთა იკ. ფსალმუნი ზ. ი ერემიას ია, იზ ⁂ კ. გამოცსადება ბ.

სა მსახურებისა სახლისა უფლისა, ⁂ შთასადებელთა სამსახურე-
იდ ბელთა ჭურჭელთა მსახურებისა სახლისა უფლისა ✿ ⁂ საწონისა
იე ეოველთა მათთა ოქროთა ⁂ ვეცხლთა ✿ სანთელთა წონა მისცა
ივ მას ⁂ სასანთლეთა ✿ მისცა მას მგზავსი საწონი ტრაჰეზთა წინა
დადებისა, თჯთეულისა ტრაჰეზისა ოქროსა ეგრეთვე ⁂ ვეცხლთა ✿
იზ ⁂ სამზედუღაი, ⁂ გარდასასხმელი, ⁂ ფიალა ოქროთა ⁂ საწონი ოქ-
როსათა ⁂ ვეცხლისათა ⁂ სასაკმეველე ოქროსათა თჯთოეული სა-
იჱ წონთა ✿ ⁂ სამსჩჱრჱლო სასაკმეველნი ოქროსაგან წმიდისა სა-
ზომისაებრ ჩენისა მისისა მზგავსი ეტლთა ქერობინთა ფრთეთა
განმარტებულთა, ⁂ მაჩრდილობელთა კიდობანსა ზედა აღთქმისა
ით უფლისა ✿ ეოველნი წერილნი ჴელითა უფლისათა მისცა დავით
კ სოლომონს, ვითარცა იეო მას შინა გულის ჴმიხ ეოფა საქმისა
მსგავსებისა ✿ ⁂ ჴრქუა დავით სოლომონს ძესა თჯსსა: განძლი-
ერდი ⁂ განმჭნდი ⁂ ქმენ, ნუ ეეშინინ, ნუცა განსცჯფრდები, რამე-
თუ უფალი ღმერთი ჩემი შენთანა არს, არა განგეშოროს შენგან,
არცა დაგიტეოს შენ, ვიდრემდის აღასრულო შენ ეოველი საქმე
მსახურებისა სახლისა უფლისა, ⁂ აჱა მსგავსება ტაძრისა ⁂ სახლი-
სა მისისა, ⁂ კამარისა მისისა ⁂ ზედა სასლისა ⁂ სადებელნი ში-
ნაგანთა, ⁂ სახლისა სალხინებელისა, ⁂ მსგავსება სახლისა უფ-
კა ლისა ✿ ⁂ აჱა მარადღეობანი ცვლისა მღდელთა ⁂ ლევიტელთა
ეოველსა შინა მსახურებასა სახლისა უფლისა, ⁂ შენთანა ეოველ-
სა შინა მოქმედებასა, ⁂ ეოველი გულს მოდგინე სიბრძნითა ეოვ-
ლისაებრ გელოვნებისა, ⁂ მჯავარნი ⁂ ეოველი ერი ეოველსა შინა
სიტყუასა შენსა.

თ ა ვ ი კთ.

ა ⁂ თქუა დავით მეფემან ეოვლისა მიმართ კრებულისა: სო-
ლომონ ძე ჩემი რომელიცა გაძოირჩია თავისად უფალმან, ჭაბუკი
⁂ ერმა, ⁂ საქმე დიდი არს, ვინათგან არა კაცსა განუმზადებს შენე-
ბ ბულსა, არამედ უფალსა ღმერთსა ✿ ეოვლითა ძალითა სახლსა
ზედა ღუთისა ჩუჱნისა, ოქრო, ვეცხლი, სპილენძი, რკინა, ხენი,
⁂ ქვანი მარმარილოსანი, ⁂ სიმრავლე ქვათა მრავალ სასუიდლი-

სათა ⁂ ჰირად ჰირადია, ⁂ ყოველთა ჰატიოსანთა ქვათა, ⁂ ქვათა
ჰარისულთა მრავალთა ✿ ⁂ კუალად რომელსა შინა სათნო იყო გ
ჩემდა სახლსა შინა ღუთისა ჩემისა, არს ჩემთანა რომელი განუმ-
ზადენ, ოქრო ⁂ ვეცხლი, ⁂ აჴა მიველც სახლსა შინა ღუთისა ჩემი-
სასა ჯუშმარიტად, გარეშე მათსა რომელი განვმზადე სახლსა ზედა
წმიდისა ✿ სამიათასი ტალანტი ოქრო სუფირული, ⁂ შჯდი ათა- დ
სი ტალანტი ვეცხლი გამოცდილი შერწყმად ჴღუდისა სანათლებე-
ლისა ✿ სადაცა საქმე ოქროსი ოქროთი, ⁂ სადაცა ვეცხლისა ვე- ე
ცხლითა ⁂ ყოველსა ზედა ხაქმესა კელოსანთათა, ⁂ ვის სათნო
უჩნდეს აღვსებად კელითა თჯსითა, დღეს უფალსა ✿ ⁂ აღუთქვემ- ვ
დენ გულს მოდგინედ უხუცესნი მამეულთა, ⁂ მთავარნი ტომთა
ისრაელისათა, ⁂ ათასის თავთა, ⁂ ასის თავთა, ⁂ ზედა მდგომთა
საქმეთა, ⁂ მაშენებელთა სამეფოსნი ✿ ⁂ მისცეს საქმესა ზედა სა- ზ
ხლისა უფლისა ოქრო ტალანტი ხუთი ათასი, ⁂ ფლურნი ათი
ათასი, ვეცხლი ტალანტი ათი ათასი, ⁂ სპილენძი ათჳრამეტი ათა-
სი ტალანტი, ხოლო რკინა ასი ათასი ტალანტი ✿ ⁂ მათ თანაცა ჱ
მოიპოვეს ქვანი ⁂ მისცეს დასადებელად სახლისა უფლისა, კელითა
იეილისა ღერსონისა ✿ ⁂ იხარებდენ ერნი გულს მოდგინედ მისა- თ
ცემელისათჳს, ვინათგან ყოველითა გულითა შესწირვიდენ უფალსა,
⁂ დავით მეფეცა იშჳბდა სიხარულითა ფრიად ✿ ⁂ აკურთხა და- ი
ვით მეფემან უფალი წინაშე ყოველთა სიმრავლეთა, ⁂ თქუა: კურ-
თხეულხარ უფალო ღმერთო ისრაელ მამისა ჩუენისაო საკუნით-
გან უკუნისამდე ✿ შენდა უფალო სიმდიდრე ⁂ ძალი, ⁂ დიდებაჲ, ია
⁂ სიქადული ⁂ აღსარებაჲ ⁂ ძლიერებაჲ, რამეთუ შენ ყოველთა
რომელი არს კაცთა ზედა, ⁂ ქუჱყანათა ზედა ფლობ; ჰირისაგან
შენისა მრწყიან ყოველი მეფობაჲ ⁂ ნათესავი, ⁂ შენ უფალო სუ-
ფევა ⁂ დიდად შუჱნიერებაჲ ყოველსა შინა, ⁂ ყოველსა შინა და- ია
საბამსა ✿ შენგან არს სიმდიდრე ⁂ დიდებაჲ, შენ ყოველთა ზედა იბ
ფლობ უფალო, დასაბამო ყოველისა დასაბამისა, ⁂ კელთა შინა
შენთა ძლიერება ⁂ მფლობელობაჲ, ⁂ კელსა შენსა შინა წუალო-
ბაჲ, ყოველისა მჱრობელო დიდებულებად, ⁂ განძლიერებად ყოვ-

იგ ლისა ✿ ⁂ აწ უფალო აღგიარებდეთ შენ, ⁂ ვაქებდეთ სახელსა სა-
იდ ქებელსა შენსა ✿ ⁂ ვინ ვარ მე, ⁂ ვინ ერი ჩემი, რამეთუ შეუძლოთ
ამას შენდა კეთილ სათნო ყოფად: რამეთუ შენნი არიან ყოველნი,
იე ⁂ შენთაგან მოგართვით შენ ✿ რამეთუ მწირნი ვართ წინაშე შენ-
სა, ⁂ წარმავალნი ვითარცა ყოველნი მამანი ჩუენნი: [1] დღენი
ჩუენნი ვითარცა აჩრდილნი ქუეყანასა ზედა, ⁂ არა არს დაგრო-
ივ მად ✿ უფალო ღმერთო ჩუენო, ყოველისა მიმართ სიმრავლისა
ამის, რომელი განგიმზადეთ რათა აღუშენოს სახლი სახელისა
იზ წმიდისა შენისა, კელისაგან შენისა არიან, ⁂ შენნი ყოველნი ✿ ⁂
უწყით უფალო ჩემო, რამეთუ შენ სარ გამომცდელი გულისა, ⁂
სიმარლისა მოყვარე, სიწრფოებათა შინა გულისა ჩემისათა ინებე
ესე ყოველი, ⁂ აწ ერიცა შენი, რომელი აქა იპოვნეს, ვიხილე სი-
იჱ სარულითა შენდა მომრთმეველ ძღუჱნისა ✿ უფალო ღმერთო აბ-
რაჰამისო ⁂ ისაკისო, ⁂ ისრაელისა მამათა ჩუენთაო, დაიცევ ესე
ნებითა შინა გულისა ერთა შენთა უკუნისამდე, ⁂ წარმართენ გუ-
ით ლნი მათნი შენდამი ✿ ხოლო სოლომონს ძესა ჩემსა მოეც გული
სრული, რათა დაიცვნეს მცნებანი შენნი, ⁂ წამებანი შენნი, ⁂
ბრძანებანი შენნი, და სრულებისა მიმართ მოყუანად შენებისა სახ-
კ ლისა შენისა ✿ ⁂ ჰრქუა დავით ყოველსა კრებულსა ერისასა:
აკურთხევდით უფალსა ღმერთსა ჩუენსა, ⁂ აქო ყოელმა კრებულმა
უფალი ღმერთი მამათა თჳსთა: ⁂ მოდრეკენ მუხლსა ზედა ⁂ თაყვა-
კა ნისცეს უფალსა, ⁂ მეფესა ✿ ⁂ შეწირა დავით მსხუერპლნი უფალ-
სა, ⁂ შეწირა ყოველად დასაწუჱლი ღმერთსა განთიადსა ჰირვე-
ლის დღისასა ზუარაკი ათასი: ცხოვარი ათასი: კრავი ათასი: ⁂
საბკურებელი მათი, ⁂ მსხუერპლნი მრავალნი ყოველთაგან ისრაე-
კბ ლთა ✿ ⁂ ჭამეს ⁂ სუჱს წინაშე უფლისა მას დღესა შინა, დიდი-
თა სისრულითა, ⁂ დაადგინეს მეფედ მეორედ სოლომონ ძე დავი-
თისა, ⁂ სცხეს მას მეფედ უფლისა, ⁂ სადუკს მღდელთ მთავრად ✿
⁂ დაჯდა სოლომონ საყდარსა ზედა დავით მამისა თჳსისა, ⁂ სათ-
კგ ნო ქუენს ⁂ დაემორჩილნეს მას ყოველნი ისრაელნი ✿ ⁂ მთავა-
რნი, ⁂ ძალნი, ⁂ ყოველნი ძენი მეფისა დავითისა მამისა მისისა,

[1] სიბრძნე ბ.

დაემორჩილნეს მას ✿ ⁂ განადიდა უფალმან სოლომონ ეოველთა კე
ზედა ისრაელთა, ⁂ მისცა მას მეფობაჲ ⁂ დიდება, რომლისა არა
იყო არცა ერთი მეფე მქონებელი ჰირველ მისა ✿ ⁂ [1] დაჲით მეფე კვ
მე იესესი, მეფობდა ეოველთა ზედა ისრაელთა, ორმეოც წელ ✿
ქებრონს შინა შჯდ წელ, ⁂ იერუსალიმს შინა ოცდა ათსამეტ კზ
წელ ✿ ⁂ მოკუდა სიბერესა შინა კეთილსა, სავსე დღითა, სიმდიდ- კთ
რითა ⁂ დიდებითა, ⁂ მეფე იქმნა სოლომონ მე მისი მის წილ ✿
ხოლო სხუანი სიტუჳანი მეფისა დაჲითისა ჰირველი ⁂ უკანასკნე- კთ
ლი დაწერილ არიან სიტუჳასა შინა სამოელისა მხილველისა, ⁂
სიტუჳასა შინა ნათან წინასწარმეტყუჳლისასა, ⁂ სიტუჳასა შინა
გაადის ხილვისასა ✿ ეოველისა თჯს მეფობისა მისისა, ⁂ ძლიერე- ლვ
ბისა მისისა, ⁂ ჟამნი რომელნი იეუნენ წინაშე მისსა, ⁂ ისრაელ-
თა შორის, ⁂ ეოველთა შორის მეფეთა ქუჱყანისათა.

დასასრული პირველის წიგნისა ნეშტთასა, ხოლო აქეს თავსა შორის თჯსსა თაჲი კთ.

წიგნი გ ნეშტთა.

თავი ა.

და [2] განამტკიცრა სოლომონ მეფან დაჲითისამან მეფობა თჯსი, ა
⁂ უფალი ღმერთი მისი იყო მის თანა, ⁂ განდიდნა იგი მაღალთა
შინა ✿ ⁂ თქუა სოლომონ ეოველთა მიმართ ისრაელთა, ათასის ბ
თავთა, ⁂ ასის თავთა, ⁂ მსაჯულთა, ⁂ ეოველთა თავთა ⁂ თავთა
წინაშე ისრაელთა, ⁂ უხუცესთა მამეულთა ✿ ⁂ წარვიდა სოლო- გ
მონ ⁂ ეოველი სიმრავლე, მაღალთა ზედა გაბაონისთა, სადა იყო
კარავი წამებისა ღუთისა, რომელი ქმნა მოსე მონამან ღუთისამან
უკაბანოსა შინა ✿ ხოლო კიდობანი უფლისა მოიღო დაჲით, ქა- დ

[1] გ. მეფ. აბ.—[2] გ მეფ. ბ.

ლაქისაგან კარიათირიმისა ადგილსა ზედა რომელი განუმზადა მას
ე დავით, რამეთუ აღუშენა მისა კარავი იერუსალიმს შინა ✠ ⁋ [1] სა-
კურთხეველი სჰილენიმისა, რომელი ქმნა ვესელელ ძემან ურიისამ
მისა ურიასამან, მუნ იყო წინაშე კარვისა უფლისა, ⁋ მოიძია იგი
ვ სოლომონ, ⁋ უოველმან კრებულმან ✠ ხოლო მოიდო მუნ სო-
ლომონ საკურთხეველსა ზედა სჰილენიმისასა წინაშე უფლისა, კა-
რავსა შინა წამებისასა, ⁋ მოიღეს მას ზედა ათასი ეოველად და-
ზ საწუწკლნი ✠ [2] მასვე ღამესა შინა გამოუჩნდა უფალი სოლომონს,
წ ⁋ ჰრქუა მას: ითხოვე რაჲ გნებავს რათა მიგცე შენ ✠ ხოლო
ჰრქუა სოლომონ ღმერთსა: შენ ჰქმენ დავითის თანა მამისა ჩემისა
თ მოწყალებაჲ დიდი, ⁋ დამადგინე მე მის წილ მეფედ ✠ ⁋ აწ უფა-
ლო ღმერთო რათა აღესრულნეს სიტყვაჲ შენი დავითის მიმართ
მამისა ჩემისა, [3] რამეთუ შენ მე მქმენ მეფედ ერთა ზედა მრავალ-
ი თა, ვითარცა მტუწკრსა ზედა ქუწკუანისასა ✠ აწ მომეც მე სიბრძნე
⁋ მეცნიერებაჲ, რათა შევიდე ⁋ განვიდე წინაშე ერისა შენისა ამის,
იჲ რამეთუ ვინ შეუძლოს სჯად ერთა ამათ შენთა მრავალთა ✠ ⁋ ჰრქუა
ღმერთმან სოლომონს: ვინათგან იქმნა ესე გულსა შინა შენსა, ⁋
არა ითხოვე სიმდიდრე ქონებითა, არცა დიდებანი, არცა სული წი-
ნა აღმდგომთა შენთა, ⁋ დღენი მრავალნი არა ითხოვენ, არამედ
ითხოვენ თავისად სიბრძნე ⁋ მეცნიერებაჲ, რათა სჯად შეუძლო
იბ ერისა ჩემისა, რომელთა ზედა დაგადგინე შენ მეფედ ✠ სიბრძნე
⁋ მეცნიერებაჲ მოგცე შენდა, ხოლო სიმდიდრე ⁋ ქონება, ⁋ დი-
დებანი მოგცე შენ, რამეთუ არა იყო მეფეთა შორის, ჰრეველ შენ-
სა მეოფთა მგსავსი შენსა, ⁋ შემდგომად შენსა ეგრეთვე არა იყოს ✠
იგ სოლო მოვიდა სოლომონ მაღლითგან გაბაონისა იერუსალემს
შინა, წინაშე კარვისა საწამებელისასა, ⁋ მეფობდა ისრაელთა ზე-
იდ და ✠ ⁋ [4] შეკრიბნა სოლომონ ეტლნი ⁋ ცხენოსანნი, ⁋ იქმნა
მისა ათას ოთხასნი ეტლნი ⁋ ათორმეტი ათასი ცხენოსანნი, ⁋
დაუტევა იგინი ქალაქებთა შინა მეეტლეთათა, ⁋ ერნი მეფისათანა

[1]) ბ მოსე ღმ.—[2]) გ მეფეთა გ.—[3]) გ მამ. გ. ა ნეშტ. ღმ. სიბრ-
ძნე თ.—[4]) გ მეფ. ი.

იერუსალემს შინა ✿ ⳟ [1] დადგა მეფემან გეცხლი, ⳟ ოქრო იერუსა- იე
ლემს შინა ვითარცა ქუანი, ⳟ კედრი იუდასა შორის ვითარცა ჟო-
ლა, რომელია ველსა ზედა სიმრავლით ✿ ხოლო მოუშანებაჲ ცხენთა ივ
სოლომონისათა ეგჯჰტით, ფასიოა მოგაჳრეთა მეფისათა, რომელ-
ნი ვიდოდეს ⳟ იეიდდეს ✿ ⳟ შთავიდოდენ ⳟ მოიღებდეს ეგჯჰტით იზ
ეტლსა ერთსა ექუსას ვეცხლად, ⳟ ცხენსა ასორმეოცდა ათ ვეცხ-
ლად, ეგრეთვე ⳟ ყოველთაგან სამეფოთა ხეთთეურთა, ⳟ მეფეთა-
გან ასურიისათა კელითა მათითა მოიუშანებოდეს.

თავი ბ.

ხოლო ბრძანა სოლომონ შენებად სახლი სახელისა უფლისა, ა
ⳟ სახლი სამეფო თჳსი ✿ ⳟ შეკრიბნა მეფემან სოლომონ სამე- ბ
ოცდა ათი ათასი კაცნი მომღებელნი ტჳრთისა, ⳟ ოთხმეოცი ათა-
სი ქჳს მკუეთელნი მთათა შინა, ხოლო ზედა მდეომელნი მათდა
ზედა, სამი ათას ექუსასი ✿ [2] ხოლო წარავლინა სოლომონ ხი- გ
რამ მეფისა მიმართ თურისა, სიტყუა: ვითარცა გიეოფიეს დაჳით
მამისა ჩემისათანა, ⳟ წარმოგიგზავნიეს მისა კედრნი, რათა იშე- დ
ნოს თავისა თჳსისა სახლი, საუოფელად მისსა ✿ ⳟ აჰა მე მე მი-
სი ვაშენებ სახლსა სახელისა უფლისა ღუთისა ჩემისასა, რათა
განუწმიდო მას იცი, ⳟ კმევად წინაშე მისსა საკმეველისა არომიათი-
სათა, ⳟ წინა დასაგებელისა სამარადისოსა ⳟ ამაღლებად ყოველად
დასაწუწლისა მარადის განთიად ⳟ მწუხრი, ⳟ შაბათისა მიმართ
ⳟ ახალ მთოვარეთა, ⳟ დღესასწაულთა უფლისა ღუთისა ჩუენისა
უკუნისამდე ისრაელთა შინა ✿ ⳟ სახლსა რომელსა მე ვაშენებ დიდ ე
არს, რამეთუ დიდ არს უფალი ღმერთი ჩუენი უფროს ყოველთა
ღმერთთა ✿ ⳟ ვინ შეუძლოს აღშენებად მისა სახლი, რამეთუ უკე- ვ
თუ ცანი, ⳟ ცანი ცათანი ვერ შემძლებელ არს დატევნად დიდებისა
მისისა, ⳟ ვინა მე აღვაშენო სახლი მისი, გარნა კმევად საკმეველი
წინაშე მისსა ✿ აწ უკუჳწ წარმომიგზავნე მე კაცსა ბრძენსა, რო- ზ
მელმან უწყოდეს საქმენი ქნად, ოქროთა ⳟ ვეცხლთა ⳟ სპილენ-
ძისა, ⳟ რკინისა, ⳟ პორფიროსა, ⳟ ძოწეულისა, ⳟ ზეზისა, ⳟ

[1]) გ მეფ. ი.—[2]) გ მეფ. ი.

ოქროსა ჩამოსხმად ჩამოსხმულისა ბრძნითურთ, რომელი ჩემთანა
ურიასტანს შინა ✠ იერუსალემს შინა, რომელი განუმსადა დავით
ცხ მამამან ჩემმან ✠ ✠ წარმოგზავნე ჩემდა ხენი კედრისანი, ✠ არ-
კეოფისა, ✠ ფიჭვსა, ლიბანისაგან; უწყი მე, რამეთუ მონათა შენ-
თ თა იციან მოკუფთა ხეთა ლიბანისაჲ ✠ ✠ აჰა მონანი შენნი მო-
ნათა თანა ჩემთა წარვიდენ, რათა განმიმსადონ მე ხენი მრავალნი,
რამეთუ სახლი რომელიცა მე აღუშენო დიდ არს, ✠ უოველად დი-
ი დებულ ✠ ✠ აჰა მოქმედთა, რომელნი ჴკუფთენ ხეთა მიჴსცე სა-
სრდელი მონათა შენთა იფქლი საწუაული ოცი ათასი ✠ ქერი სა-
წუაული ოცი ათასი, ✠ ღჳნო საწუაული ოცი ათასი, ✠ ზეთი სა-
იბ წუაული ოცი ათასი ✠ სოლო ჴრქუა სირამ მეფემან ტჳროსისამან
წიენთა გამო, ✠ წარუგზავნა სოლომონს მეტყუფლმან: ვინათგან
შეიუუარა უფალმან ერი თჳსი, ✠ დაგადგინა შენ მეფედ მათ ზედა,
იგ ✠ თქუა სირამ ✠ კურთხეულ არს უფალი ღმერთი ისრაელთა, რო-
მელმან ქმნა ცაჲ ✠ ქუფსუანა, რომელმან მისცა დავით მეფესა ძე
ბრძენი, ✠ მსწავლული, ✠ გონიერი, ✠ მეცნიერი, რომელმან აღუ-
იე შენოს სახლი უფალსა, ✠ სახლი სამეფოსა თჳსისა ✠ ✠ აწ წარ-
მოვგზავნე შენდა კაცნი ბრძენნი, ✠ მეცნიერი გულის ხმის მუოფე-
იდ ლი, სირამ მონა ჩემი ✠ დედა მისი ასულთაგან დანისთა, ხოლო
მამა მისი კაცი იუო ტჳრონელი, რომელმან უწეის ქმნად ოქროთა,
✠ ვეცხლთა, სპილენძისა, ✠ რკინისა, ✠ ქუათა, ✠ ხეთა, ✠ ქსოვა
ჰორფირისა, ✠ ზეზისა, ✠ ბისონისა, ✠ ძოწეულისა, ჩამოსხმად
ყოველისა გამოსაკრელისა, ✠ ცნობად ყოველისა საცნობელისა,
რაჲოდენიცა უკეთუ მისცე მას, ბრძენთათანა შენთა, ✠ ბრძენთათა-
იე ნა უფლისა ჩემისა, დავით მამისა შენისა ✠ ✠ აწ იფქლი, ✠
ქრთილი, ✠ ზეთი, ✠ ღჳნო, რომელი აღუთქუფსნ, უფალო ჩემო,
ივ წარმოუგზავნე მონათა შენთა ✠ სოლო ჩუფსნ ვეუნეთ მეკუფთელნი
ხეთა ლიბანისაგან ყოველისა ზედა საჭმარისა შენისა, ✠ წარმოგი-
გზავნეთ იჳნი ტივად ზღჳთ იოპითა, ხოლო შენ წარიღე იჳნი
იზ იერუსალემს შინა ✠ ✠ შეკრიბნა სოლომონ ყოველნი კაცნი მწირ-
ნი, რომელნი იუუნეს ქუფყანასა შინა ისრაელისასა, რიცხჳსაებრ,

რომელი აღრიცხა იგინი დავით მამამან მისმან, ⁂ ჰოვნილ არიან
ასორმეოცდა სამიათას, ⁂ ექუსასი ✡ სოლო ჴელო მათგან სამეოც- იწ
და ათი ათასი, ტჯრთის მზიდველნი, ⁂ ოთხმეოცი ათასი ქუათა
მგუწოთელნი, სამი ათას ⁂ ექუსასი ზედა მდგომელი საქმეთა ზედა
ერთათა.

თავი ზ.

და [1] იწყო სოლომონ შენებად სახლი უფლისა იერუსალემს ა
შინა, მთასა ზედა ამორიასა, სადაცა გამოუჩნდა უფალი მამასა მის-
სა დავითს, ადგილსა ზედა, რომელი განუმზადა დავით, კალოსა
ზედა ორნიასსა ევუსეანისასა ✡ სოლო იწყო შენებად თუესა ბ
მეორესა, წელსა მეოთხესა მეფობისა მისისასა ✡ ⁂ ესრეთ იწყო გ
სოლომონ აღშენებად სახლი ღუთისა, სიგრძე წურთა საზომი ჰი-
რველისა წურთა სამეოცი, სოლო სიგრცე წურთა ოცი ✡ ⁂ ელამი დ
ჰირის ჰირ სახლისა სიგრძე ჰირის ჰირ სივრცისა სახლისა წურთა
ოცი, სოლო სიმაღლე წურთა ას ოცი ⁂ ცურვებული შინაგან მი-
სი ოქროთა წმიდითა ✡ სოლო სახლი დიდი დაბურა ფიცრითა ე
კედრისათა, ⁂ ცურვებული ოქროთა წმიდითა, სოლო გამოაქანდაკა
მას ზედა მსგავსნი ფინიკისანი, ⁂ ვითარცა ბადენი ბადეთა თავით
თჯსით შეწნულნი ✡ ⁂ შეამკო ტაძარი ქჯთა ძჯრფასითა დიდე- ვ
ბულთა ✡ ⁂ შეაცურვა ოქროთა რომელი იყო ფარონაიმისაგან, ⁂ ზ
ზღუდენი მისნი, ⁂ ბჭენი, ⁂ ზღურბლი, ⁂ სარკმელნი, ⁂ კარნი
ოქროთი, ⁂ ჩამოსხმულნი ქერაბინნი კედელთა ზედა ✡ სოლო ⁂ ⁂ ⁂

ლისა სახლისა, ⁂ მეორე ფრთე წურთა ხუთი, შემხებელი ფრთისა
იბ ქრაბინისა მეორისა ✿ ხოლო ფრთენი ამათ ქრაბინთა განმარ-
ჯებულნი წურთათა ზედა ოცი, ხოლო ესენი იდგნეს ფერჯთა თჯს-
თა ზედა, ხოლო ჰირნი მათნი მჯვრეტელი სახლისა მიმართ ✿
იგ ხოლო უქმნა კრეტსაბმელი იაკინთისაგან, ⁂ ჰორფორითა, ⁂ მეწა-
იდ მულითა ⁂ ბისონითა, ⁂ შეაქსოვნა მას ზედა ქრაბინნი ✿ ⁂ უქ-
მნა წინაშე ტაძრისა ორნი სუჯტნი წურთა ოცდა ათხუთმეტი სი-
იე მაღლედ, ⁂ თავნი მათნი, ხუთი წურთა ✿ ⁂ უქმნა ჯაჭვნი დაბირ-
სა, ⁂ დასხნა თავთა ზედა სუჯტთასა, ⁂ ვარდნი უქმნა ასნი, რო-
ივ მელნი დასხნა ბადეთა ზედა ✿ ⁂ დაადგინნა სუჯტნი წინაშე ჰირსა
ტაძრისასა, ერთი მარჯუჯნით ⁂ მეორე მარცხენით, ⁂ უწოდა სა-
ხელები მეოფსა მარჯუჯნისასა წარმართება, ხოლო სახელი მეოფსა
მარცხენისასა ძლიერება.

თ ა ვ ი ⁂.

ა ხოლო ქმნა საკურთხეველისა რვალისა, სიგრძე ოცი წურთა, ⁂
ბ სიგრცე ოცი წურთა, ⁂ სიმაღლე ათი წურთა ✿ ⁂ [1]) უქმნა ზღუა
დადნობილისა რვალისა ათი წურთა კიდით კიდემდე მისა მგრგვა-
ლი გარემოს, ⁂ ხუთი წურთა სიმაღლედ, ⁂ სიმრგუალე მისი ოც-
გ და ათი წურთა ✿ ⁂ მსგავსებაჲ ზუარაკთა ქუჯშე მისა გჳრემოს
მომგრგუალებულნი მისი ათი წურთა, შემოჰვერა სამანელი გარე-
მოს, ორ რიგად ჩამოასხნეს ზუარაკნი ჩამოსხმასა შინა მათსა ✿
დ რომლისა შექმნეს იგინი თორმეტნი ზუარაკნი, რომელი სამნი ხე-
დვიდეს ჩრდილოთ, ⁂ სამნი დასავლეთით, ⁂ სამი სამხრეთით, ⁂ სა-
ნი აღმოსავლეთით ⁂ ზღუა დადგინებულ მათ ზედა, ხოლო უკანა-
ე ნი მათ იუნენ შინაგანით ქუჯშე ზღუასა ✿ ⁂ სიზრქე მისი მტკა-
ველნი, ⁂ ჰირი მისი, ვითარცა ჰირი სასუმლისა, გამოქანდაკებუ-
ვ ლი ვითარცა მწუჯრვალი შროშნისა, რომელი დაიცევდა სამი ათა-
სსა საწუაულსა, ⁂ აღასრულა ✿ ხოლო ქმნა სამანელნი ათნი ⁂
დაადგინა ხუთი მარჯუჯნით ⁂ ხუთი მარცხენით, რათა განიბანე-
ბოდენ მას შინა ეოველნი, შემწირველობასა ზედა ეოველად დასა-

[1]) გ შდგ ზ.

წუწლისა ⁂ განიწმინდებოდენ მათ შინა, ხოლო ზღუა რათა გა-
ნიბანებოდენ მდდელნი მას შინა ✿ ხოლო ქმნა ქუჱშე სასანთლე- ზ
ნიცა ოქროსათა ათი, ზომიერებისაებრ მათისა, ⁂ დაადგინა იგინი
ტაძარსა შინა, ხუთი მარჯუჱნით ⁂ ხუთი მარცხენით ✿ ⁂ უქმნა ჱ
ტრაჰეზი ათი, ⁂ დაადგინა ტაძარსა შინა, ხუთი მარჯუჱნით, ⁂
ხუთი მარცხენით, ⁂ ფიალნი ქმნა ოქროთა ასი ✿ ⁂ ქმნა ეზონი თ
მდდელთანი, ⁂ ეზო დიდი ⁂ კარნი ეზოსი, ⁂ მოქლონნი მათნი,
რვალისაებრ რვალითა ✿ ⁂ ზღუა დაადგინა კუთხისაგან სახლისა ი
მარჯუჱნისა ვითარცა აღმოსავლისა მიმართ მართლ ✿ ხოლო ია
ქმნა ხირამ სამფარნნი კორციანნი, ⁂ სასაკმეველენი, ⁂ ტაფანი სა-
მსხუჱრპლო, ⁂ ყოველნი ჯურჯლნი მისნი, ⁂ შეასრულა ხირამ
ქმნად ყოველნი საქმენი, რომელი ქმნა სოლომონ მეფემ სახლსა
შინა ღუთისსა ✿ სუჱტნი ორნი, ⁂ მას ზედა სართული ⁂ გჳრგჳ- იბ
ნი ორი თავთა ზედა სუჱტთასა, ბადენი ორნი, რომელი ჴფარვი-
და თავთა გჳრგჳნთათა, რომელნი არიან თავთა ზედა სუჱტთასა ✿
⁂ ეკვანნი ოქროსანი ოთხასნი, ⁂ ორნი ბადენი, ⁂ ორი რიგი იგ
ვარდი ბადესა შინა ერთსა საფარველად ორისა მოხვეულისა გჳრ-
გჳნთა რომელი სუჱტსა ზეით არიან ✿ ⁂ სართულნი უქმნა ათნი იდ
⁂ საბანელისა უქმნა სართულთა ზედა ✿ ⁂ ზღუა ერთი, ⁂ ზუა- იე
რაკნი ათორმეტნი ქუჱშე მისსა, ⁂ ქუაბნი, ⁂ კაკნი სახორცე ✿
⁂ ყოველი ჯურჯლი მათი, რომელი ქმნა ხირამ, ⁂ მოუღო მეფე- ივ
სა სოლომონს სახლსა შინა უფლისსა რვალისაგან წმიდისა ✿
სოფლებსა შინა იორდანისსა დაადნო იგინი მეფემ სიზრქესა ქუჱ- იზ
ვანისასა სახლსა შინა სოკხოთისასა ⁂ სარიდათასა ✿ ⁂ ქმნა სო- იჱ
ლომონ ყოველი ჯურჯლი ესე მრავალ რიცხუნი ფრიად, ვინათგან
არა მოაკლდა სიმძიმე რვალისა ✿ ხოლო ქმნა სოლომონ ყოველ- ით
ნი ჯურჯლნი სახლისა ღუთისა, ⁂ საკურთხეველი ოქროსი, ⁂
ტრაჰეზნი, ⁂ მათ ზედა ჰურნი წინა დაგებადი ✿ ⁂ სასანთლენი, ⁂ კ
სალამპრენი სანთლისა, რათა ანთობდენ წინაშე წმიდა წმიდათა-
სა, წესისაებრ ოქროსაგან წმიდისა ✿ ⁂ მარწუხნი მათნი, ⁂ სა- კა
სანთლენი მათნი, ⁂ ფიალანი, ⁂ ლანკანნი, ⁂ სასაკმეველენი

კბ ოქროსაგან წმიდისა ✿ ⁂ კარნი ტაძრისა შინაგანნი რომელნი
წმიდასა წმიდათასა შინა, ⁂ კარნი სახლისა ტაძრისა ოქროსანი,
⁂ აღსრულდა ყოველი საქმე რომელი ქმნა სოლომონ სახლსა ში-
ნა უფლისსა.

თავი ე.

ა და [1] მოიღო სოლომონ წმიდანი დავით მამისა მისისა, ვეც-
ბ სხლი ⁂ ოქრო, ⁂ ყოველნი ჯურჯნელნი, ⁂ მისცა საუნჯესა შინა
სახლისა უფლისასა ✿ [2] მაშინ შეკრიბნა სოლომონ ყოველნი
უხუცესნი ისრაელისანი, ⁂ ყოველნი თავ თავი ტომთანი, ⁂ მამა-
სახლისნი მამულთანი ძეთა ისრაელისათა იერუსალემს შინა, რა-
თა აღმაღლონ კიდობანი აღთქმისა უფლისა ქალაქისაგან დავითი-
გ სა, რომელ არს სიონი ✿ ⁂ შეკრბნენ მეფისა მიმართ ყოველნი
კაცნი ისრაელისანი დღესასწაულსა შინა, ესე არს თუე მეშჯდე ✿
დ ⁂ მოვიდეს ყოველნი მოხუცებულნი ისრაელისანი, ⁂ აღიღეს ყო-
ველთა ლევიტელთა კიდობანი, ⁂ მოიღეს იგი, ⁂ კარავი საწამე-
ე ბელისა ✿ ⁂ ყოველნი ჯურჯნელნი წმიდანი, რომელნი იუნეს კა-
ვ რავსა შინა, ⁂ მოიღებდეს მათ მღდელნი ⁂ ლევიტელნი ✿ ხოლო
მეფე სოლომონ, ⁂ ყოველი კრებული ძეთა ისრაელთა, ⁂ იშიშო-
დეს, ⁂ შეკრებულნი წინაშე კიდობნისა, დაუკლიდეს ცხუართა ⁂
ზ ზრახათა ურიცხუთა, ⁂ აღურაცხელნი სიმრავლეთაგან ✿ ⁂ მოი-
ღეს მღდელთა კიდობანი აღთქმისა უფლისა ადგილსა ზედა მისსა,
რომელი არს სალოცველსა შორის ტაძრისასა, წმიდა წმიდათასა
ჱ შინა, ქუეშე ფრთეთა ქერაბინთასა ✿ ⁂ იუნენ ქერაბინნი განმარ-
ტებულნი ფრთითა თჯსითა ზედა ადგილსა კიდობნისასა, ⁂ ჰფარ-
ვიდეს ქერაბინნი ზედა კიდობანსა ⁂ სატჯრთველსა ზედა მისსა
თ მაღლით ✿ ⁂ სიგრძენი იუნენ სატჯრთველისა, ⁂ უჩნდათ თავნი
სატჯრთველთა წმიდათაგან ჰირსა შინა მლოცველისა, ⁂ არა ხე-
ი დვიდეს გარე ⁂ იუნენ მუნ ვიდრე მდგომარის დღედმდე ✿ ხოლო
არა რაჲ იყო კიდობანსა შინა, გარნა ორნი ფიქალნი, რომელი
დადვა მოსე ქორებს, ოდეს სჯული მოსცა უფალმან ძეთა ისრაე-

[1] გ მეფეთა ⁂.—[2] გ მეფეთა კ.

ლისათა, გამოსრულთა მათ ქუჱყანით ეგჳპტისათა ✠ ⳟ იქმნა გა- ია
მოსრულთა მღდელთა წმიდათაგან რამეთუ ყოველნი მღდელნი რო-
მელნი მუნ იპოვნეს განწმენდილნი იუნენ, ⳟ არა იუნენ განყო-
ფილნი ყოველსა დღესა შინა მსახურებად ცვლისა ✠ ხოლო ლე- იბ
ვიტელნი ⳟ მგალობელნი ყოველნი მეთათანა ასაფისათა ქმანისთა-
ნა, იდითუმისათა, ⳟ ჱთათანა მათთა, ⳟ მმათათანა მათთა, შემო-
სილნი სამოსლითა სელისათა ებნითა, ⳟ ფსალმუნითა ⳟ ბობდ-
ნითა მხმობელნი სდგეს წინაშე საკურთხეველისა ⳟ მათთანა მღდელ-
ნი ას ოცნი, ჴბერვიდენ საყჯრსა ✠ ⳟ იო ერთი ჴმა მბერვალთა, იგ
ⳟ ფსალმუნის მგალობეთა ⳟ მხმობელთა ჴმითა ერთითა ქებად ⳟ
აღსარებად უფლისა, ⳟ ოდეს აღიღებდეს ჴმასა საყჯრთა შინა, ⳟ
ებნითა, ⳟ ორღანოთა მგალობელნი, ⳟ იტყოდნეს: აუგარებდით
უფალსა რამეთუ კეთილ, რამეთუ უკუნისამდე არს წყალობა მისი,
ⳟ სახლი აღივსებოდა ღრუბლითა დიდებისა უფლისათა ✠ ⳟ ვერ იდ
უძლებდეს მღდელნი დგომად მსახურებად ჰირისაგან ღრუბლისა,
რამეთუ აღავსებდა დიდება უფლისა სახლსა ღუთისასა.

თავი ვ.

მაშინ [1] თქუა სოლომონ: უფალმან თქუა დამკჳდრება ღრუ- ა
ბელთა შინა ✠ ხოლო მე აღვაშენე სახლი სახელისა შუენისა წმი- ბ
დისა შენდა ⳟ განვმზადე დამკჳდრებად შენდა უკუნისამდე ✠ ⳟ მოა- გ
ქცია მეფემან ჰირი თჳსი, ⳟ აკურთხა ყოველი სიმრავლე ისრაელი-
სა: ⳟ ყოველი სიმრავლე ისრაელისა წინაშე დგეს, ⳟ თქუა ✠ კურ- დ
თხეულ არს უფალი ღმერთი ისრაელისა, ვითარცა ეტყოდა ჰირი-
თა თჳსითა დავითის მიმართ მამისა ჩემისა, ⳟ კელითა მისითა აღა-
სრულა სიტყუა ✠ დღითგან ვინათგან გამოვიყვანე ერი ჩემი ქუჱ- ე
ყანისაგან ეგჳპტისა, არა გამოვირჩიე ქალაქი ყოველთაგან ტომთა
ისრაელისათა, რათა აღშენოს მას შინა სახლი სახელისა ჩემისა
მუნ, არცა გამოვირჩიე კაცი ყოფად მკუდრთ-მთავრად ერთა სედა
ჩემთა ისრაელთა შინა ✠ არამედ გამოვირჩიე იერუსალემი, რათა ვ
იყოს სახელი ჩემი მას შინა, ⳟ გამოვირჩიე დავით ყოფად ერთა

[1]) გ მეფეთა ⳟ.

ზ ჩემთა სედა ისრაელთა ✡ ⁂ იქმნა გულსა სედა მამისა ჩემისა დავითისა, აღშენებად სახლი სახელისა უფლისა ღუთისა ისრაელისა ✡
ჱ ⁂ თქუა უფალმან დავითის მიმართ მამისა ჩემისა: ვინათგან იქმნა გულსა სედა შენსა აღშენებად სახლი სახელისა ჩემისა, კეთილი ქმენ,
თ რამეთუ იქმნა გულსა სედა შენსა ✡ გარნა შენ არა აღმიშენო მე სასლი, არამედ ძემან შენმან, რომელი გამოვიდოდეს წელთაგან შენთა,
ი მან აღმიშენოს სახლი სახელისა ჩემისა ✡ ⁂ აღასრულა უფალმან სიტყუა ესე, რომელსა იტყოდა, ⁂ ვიქმენ დავითის წილ მამისა ჩემისა, ⁂ დავჯედ საყდარსა სედა ისრაელისასა ვითარცა იტყოდა უფალი, ⁂ აღვაშენე სახლი სახელისა უფლისა ღუთისა ისრაელისა ✡ ⁂ დაადგინე მას შინა კიდობანი, რომელსა შინა არს აღთქმა
იბ უფლისა, რომელი აღუთქუა ისრაელთა ✡ ⁂ დადგა წინაშე საკურთხეველისა უფლისა წინაშე ყოვლისა სიძრაელისა ისრაელისა, ⁂
იგ განიბურნა კელნი თჯსნი ✡ რამეთუ ქმნა სოლომონ დასადგომელი სპილენძისა, ⁂ დადგინა იგი შორის ბჯისა წმიდისა, სუთი წურთა სიგრძე მისი, ⁂ სუთი წურთა სივრცე მისი, ⁂ სამი წურთა სიმაღლე მისი: ⁂ დადგა მას სედა, ⁂ დაყარდა მუკლსა სედა თჯსსა წი-
იდ ნაშე ყოვლისა სიძრაელისა ისრაელისა ✡ ⁂ განიბურნა კელნი თჯსნი სეცად სედა, ⁂ [1] თქუა: უფალო ღმერთო ისრაელისაო, არა არს მსგავს შენდა ღმერთი ცათა შინა ⁂ ქუჱყანასა სედა, რომელმან
დაიძარხე აღთქმა ⁂ წყალობა მონათა შენთა თანა, რომელნი ვლე-
იე ნან წინაშე შენსა ყოვლითა გულითა მათითა ✡ რომელი დაიცევდი მონასა შენსა დავითს, მამასა ჩემსა, რაჲოდენთა ეტყოდი მას სიტყუასა: ⁂ სიტყუასა ჰპირითა შენითა, ⁂ კელითა შენითა სრულ
ივ ყვენ, ვითარცა დღეს ✡ ⁂ აწ უფალო ღმერთო ისრაელისაო, დაიცევდი მონასა შენსა დავითს მამასა ჩემსა, რომელი თქუ მისა მეტყუჱლმან, ⁂ ეტყოდი ჰპირითა შენითა, ⁂ აღუსრულე ვითარცა დღესა ამას შინა ეტყოდი: [2] არა მოაკლდეს კაცი ჰპირისაგან ჩემისა მჯდომარე საყდარსა სედა ისრაელისასა, გარნა უკეთუ დაიმარხონ მეთა შენთა გჯსანი ჩემნი, სლვად სჯულთა შინა ჩემთა, ვითარ-

[1] ბ მაკაბ. ბ. დ კმდრ. ზ.—[2] დ მეფ. დ.

ცა სჯდოდი წინაშე ჩემსა ✠ ⁂ აწ უფალო ღმერთო ისრაელისაო, იზ
დაამტკიცე სიტყუა შენი, რომელ ეტყოდი მონასა შენსა დავითს ✠
უკუნ თუ კუშშარიტებით იყოს ღმერთი დაგანებად კაცთა თანა ქუე- იჱ
ყანასა სედა, უკეთუ ცანი ⁂ ცანი ცათანი არა კმა არიან შენდა,
რაჲ სახლი ესე რომელიცა აღვაშენე ✠ ⁂ მოსედე ვედრებასა სე- ით
და მონისა შენისასა, ⁂ ლოცვასა სედა ჩემსა, უფალო ღმერთო ჩე-
მო, სმენად ვედრებისა ჩემისა ⁂ ლოცჳსა, რომელსა მონა შენი
ილოცავს წინაშე შენსა დღეს ✠ რათა იუნჯეს თუალნი შენნი ასმუ- კ
ლად სახლსა სედა ამას დღე ⁂ ღამე, ⁂ აღგილსა ამას სედა, რო-
მელთათჳს იტყოდი, რათა მოიწოდოს სახელი შენი მუნ სმენად ვე-
დრებისა, რომელსა მონა შენი ევედრებოდეს ამას შინა, აღგილსა
ამას სედა ✠ ⁂ სმენად ვედრება მონისა შენისა, ⁂ ერისა შენისა კა
ისრაელისა, რაოდენი უკეთუ ევედრებოდეს აღგილსა ამას სედა, ⁂ შენ
ისმინე აღგილსა სედა საუოფელისა შენისა სცით, ⁂ შეისმინე ⁂
მოწუალე ექმენ ✠ უკეთუ სცოდოს კაცსან მოჯსისა ძიმართ თჯსი- კბ
სა, ⁂ მიიღოს მას სედა ფიცი რომელ ეფუცა მას, ⁂ მოვიდეს ⁂
თაუანისცეს წინაშე საკურთხეველისა სახლსა ამას ✠ ⁂ შენ ისმი- კგ
ნე სცით, ⁂ უსაჯე მონათა შენთა მიგებად უსჯულოებისა, ⁂ მი-
გებად გზა მისი თაჱსა სედა მისსა, ⁂ განძართლებად მართლისა,
რათა მიეგოს მას სიმართლისაებრ მისისა ✠ ⁂ უკეთუ ძორეულ კდ
იუნენ ერი შენი ისრაელი მტერთაგან, უკეთუ ცოდონ შენდა, ⁂
მოიქცენ, ⁂ აღიარებდენ სახელსა შენსა, ⁂ ილოცჳდენ წინაშე შენ-
სა ტაძარსა ამას შინა ✠ ⁂ შენ ისმინე სცით, ⁂ მოწუალე ექმენ კე
შეცოდებულსა ერსა შენსა ისრაელსა, ⁂ მოაქციენ იგინი ქუეყა-
ნად, რომელი მოსცენ მისდა მამათა მათთა ✠ ოდეს დაიკჱნეს ცაჲ კვ
⁂ არა იოს წჯამად, რამეთუ შეცოდეს შენ, ⁂ ილოცჳდენ აღგი-
ლსა ამას სედა: ⁂ აჰონ სახელი შენი, ⁂ მოიქცენ ცოდვათაგან
მათთა, ოდეს დაამდაბლნე იგინი ✠ ⁂ შენ ისმინე სცით, ⁂ მო- კზ
წუალე იქმენ ცოდვათა მონათა ⁂ ერთა შენთა ისრაელთა, რამეთუ
გამოუცსადე მათ გზანი კეთილნი, რომელსაცა შინა შევიდნენ, ⁂
მოეც წჯმა ქუეყანასა სედა შენსა, რომელი მოსცენ ერთა შენთა სა-

კჳ მკჳდრებელად ✿ [1] სიუმილი უკეთუ იუოს ქუჱყანასა ზედა წარმწყმედელ, უკეთუ იუოს ჭაერი განმხრწნელი, ⁂ გრიგალი, ⁂ მკალი, ⁂ ბუზი უკეთუ იუენენ, ⁂ უკეთუ აჴირვებდენ მათ მტერნი წინაშე ქალაქთა მათთა უოველითა წულულებითა, ⁂ უოველითა სალმობითა ✿

კთ ⁂ უოველი ლოცუა, ⁂ უოველი ვედრებანი, რომელი უკეთუ იქმნას უოველისა კაცისა, ⁂ უოველთა ერთა შენთა ისრაელთა, უკეთუ სცნას კაცმან წულულებისა თჳსისა ⁂. ცოდვისა თჳსისა, ⁂ განიჰურნა

ჶ კელნი თჳსნი სახლსა ამას შინა ✿ ⁂ შენ ისმინე ზეცით განმზადებულისაგან საუოფელისა შენისა, ⁂ ულხინე ⁂ მიეც კაცად-კაცადსა გსისაებრ მისისა, ვითარცა უწუი გულისაებრ მათისა: რამეთუ შენ მხოლომან უწუნი გულნი ძეთა კაცთანი ✿ რამეთუ რათა

ლა შეიშინონ შენი სლუად უოველსა შინა გზათა უოველსა დღესა, რომელსა შინა ცხონდენ ჰირსა ზედა ქუჱყანისასა, რომელი მოსცენ მამათა ჩუჱნთა ✿ ⁂ უოველთა უცხოთა რომელ არა არიან ერისაგან შენისა ისრაელისა, ⁂ მოვიდეს ქუჱყანისაგან შორიელისა სახელისათჳს შენისა დიდისა, ⁂ კელისათჳს შენისა ძლიერისა, ⁂

ლბ მკლავისა შენისა მაღლისა, ⁂ მოვიდეს ⁂ გევედროს ადგილსა ამას ზედა ✿ ⁂ შენ ისმინე ზეცით განმზადებულისაგან საუოფელისა შენისა, ⁂ ჳქმა უოველისაებრ, რაოდენი გხადის ⁂ მოგითხრან შენ უცხო, რათა იცოდენ უოველთა ერთა ქუჱყანისათა სახელი შენი,

ლგ ⁂ შეიშინონ შენი, ვითარცა ერთა შენთა ისრაელთა, ⁂ იცნან, რამეთუ სახელი შენი წოდებულ არს სახლსა ამას ზედა, რომელიცა აღვაშენე ✿ ხოლო უკეთუ განვიდოდენ ერნი შენნი ბრძოლასა ზედა, წინაშე წინა აღმდგომთა თჳსთა, გზითა რომლითა წარავლინნე იგინი, ⁂ ევედრონ შენ გზისათჳს ქალაქისა ამის, რომელიცა გამოირჩიენ თავისად, ⁂ სახლი რომელიცა აღვაშენე სახელისა შენისა ✿ რათა ისმინო ზეცით ლოცვა მათი, ⁂ ვედრება

ლე მათი, ⁂ [2] ქმენ განმართლება მათი ✿ თუცა გცოდონ შენ, რამეთუ

ლვ არა არს კაცი, რომელმან არა გცოდოს, ⁂ დასცნენ იგინი ⁂ მისცენ იგინი კელთა შინა მტერთა მათთა, ⁂ წარსტუჱნონ იგინი

[1] მრგ. კ.—[2] გ მეფ. წ. ზ. ა ოსანე ა. იგაკი კ. დ კზდრ. წ.

წარმტყუენწნველთა, ქუენწუანასა შინა მტერთასა, ქუენწუანასა შინა
შორსა, ანუ ახლოსა ✿ ⁂ მოაქციონ გულნი თჳსნი ქუენწუანასა
შინა მათსა, რომელსა შინა წარტყუენწნილ იქმნენ, ⁂ მუნ მოიქცნენ,
⁂ გეყვედრონ შენ წარტყუენწნილებათა შინა მათთა, ⁂ იტყოდენ:
ცოდეთ, ვიუსჯულოვეთ, ვიუსამართლოეთ ✿ ⁂ მოიქცეს შენდა
ყოველითა გულითა მათითა, ⁂ ყოველითა სულითა თჳსითა, ქუენწუა-
ნასა შინა წარმტყუენწნველთა მათთა, სადა წარიტყუენწნეს იგინი: ⁂
გეყვედრნენ გზათა ქუენწუანათა მათთა, რომელი მოსცენ მამათა მათთა,
⁂ ქალაქსა რომელიცა გამოირჩიენ, ⁂ სახლსა რომელიცა აღვიშე-
ნე სახელისა შენისა ✿ რათა ისმინე ზეცით განმზადებულისაგან
საყოფელისა შენისა, ვედრება მათი, ⁂ ლოცვა მათი, ⁂ ევე სასჯე-
ლი, ⁂ მოწყალე ექმენ ერთა შენთა, შეცოდებულთა შენთა ✿ ⁂ აწ
უფალო იყავნ განხმულ თუალნი შენნი, ⁂ ყურნი შენნი განხმულ
ვედრებასა მიმართ, აღვილსა ამას ✿ ⁂ [1] აწ აღდეგ უფალო ღმერ-
თო განსასუენებელად შენდა, შენ ⁂ კიდობანი ძლიერებისა შენი-
სა, მღდელნი შენნი უფალო ღმერთო შეიმოსენ ცხოვრებად, ⁂
ღირსნი შენნი იშუებდენ კეთილსა შინა, უფალო ღმერთო, ⁂ ნუ
მიაქცევ პირსა ცხებულისა შენისა, მოიგსენე მოწყალება დავით მო-
ნისა შენისა.

თავი ზ.

და [2] ოდეს განასრულნა სოლომონ რომელსა ევედრებოდა, ⁂
ცეცხლი გარდამოჴდა ზეცით, ⁂ შეშჭამა ყოველად დასაწუველი ⁂
მსხუერპლი, ⁂ დიდებამან უფლისამან აღავსო სახლი ✿ ⁂ ვერ
შეუძლეს მღდელთა შესლუად ტაძარსა შინა უფლისასა ჴმასა მას
შინა, რამეთუ აღივსო დიდებითა უფლისათა სახლი უფლისა ✿ ⁂
ყოველნი ძენი ისრაელისანი ხედვიდეს გარდამომავალსა ცეცხლსა,
⁂ დიდებასა უფლისასა სახლსა ზედა, ⁂ დაეცნეს პირითა ქუენწუანა-
სა ზედა იატაკსა ზედა ქვაფენილსა, ⁂ თაყუანისცემდეს ⁂ აქებდეს
უფალსა, რამეთუ კეთილ, რამეთუ უკუნისამდე არს წყალობა მი-
სი ✿ სოლო [3] მეფე ⁂ ყოველი ერი შესწირვიდეს მსხუერპლსა ⁂

[1] ფსალმუნი ლა.—[2] ბ მაკაბელ. ბ.—[3] გ მეფ. ჱ.

ე წინაშე უფლისა ✿ ⁂ დაკლა მეფემან სოლომონ მსხუერპლნი კარ-
თა, ოცდა ორი ათასი, ცხოვარი ასოცი ათასი, ⁂ განწმინდა სახ-
ვ ლი ღუთისა მეფემან ⁂ ყოველმან ერმან ✿ ხოლო მღდელნი დგეს
საგმილაჲთა ზედა თჳსთა, ⁂ ლევიტელნი ორღანოთა გალობდეს
გალობასა უფლისასა, რომელი ქმნა დავით მეფემან საქებელად უფ-
ლისა: რამეთუ კეთილ, რამეთუ უკუნისამდე არს წყალობა მი-
სი. გალობასა დავითისსა გალობდეს კელითა თჳსითა, ⁂ მღდელ-
ნი გალობდეს საყჳრითა წინაშე მათსა, ⁂ ყოველნი ისრაელნი
ზ დგეს ✿ ხოლო განწმიდა სოლომონ შორის ბჭეთა, რომელია წი-
ნაშე ტაძრისა უფლისა, რამეთუ მოიღო მუნ ყოველად დასაწუწლი
⁂ ცხელი, მშჯდობისა, რამეთუ საკურთხეველსა რკალისასა, რომე-
ლი ქმნა სოლომონ ვერ უძლებდეს დატევნად ყოველად დასაწუწლი-
ჩ სა ⁂ მსხუერპლისა, ⁂ ცხელითა ✿ ⁂ ქმნა სოლომონ დღესასწაუ-
ლი ჟამსა მას შინა შჯდ დღე, ⁂ ყოველმან ისრაელმან მის თანა,
შეკრება დიდი ფრიად, განსავალითგან ემათისა, ვიდრე ნაღვარევად-
თ მდე ეგჳპტისა ✿ ხოლო ქმნა დღესა შინა მერვესა ლიტანია, ვინათ-
ი გან განსწჳნდნა საკურთხეველი, ქმნა დღესასწაული შჯდ დღე ✿ ⁂
დღესა შინა მოცდასამესა თჳსა მეშჯდისასა, განუტევა ერი საყო-
ფელთა შინა მათთა მოსარულნი, ⁂ შუხბულნი კეთილთა თჳს:
რომელ ქმნა უფალმან დავითისა ⁂ სოლომონისა, ⁂ ისრაელისა,
ია ერთა თჳსთა ✿ ხოლო [1] განასრულა სოლომონ სახლი უფლისა,
⁂ სასლი სამეფო ⁂ ყოველი რაჲოდენი ინება გულით შინა თჳსთა
სოლომონ ყოფად სახლსა უფლისა, ⁂ სახლისა თჳსისა კეთილი
იბ წარემართა ✿ ⁂ ეჩვენა უფალი სოლომონს ღამე, ⁂ ჰრქუა მას:
მესმა ვედრებაჲ შენი, ⁂ [2] გამოვირჩიე ადგილი ესე ჩემდა სახლად
იგ მსხუერპლისა ✿ უკეთუ დაგჳშნე ცანი, ⁂ არღარა წჳმოს, ⁂ უკეთუ
უბრძანო ძღერთა შეჭამად ხეთა, ⁂ თუ მოავგალინო მომსრველი ერ-
იდ სა ჩემსა სედა ✿ ⁂ თუ ჴიერვება იქმნეს ერისა ჩემისა, რომელთა
სედა მოწოდებული არს სახელი ჩემი: ⁂ მეყედრნენ, ⁂ მოიძიონ
ჰირი ჩემი, ⁂ მოიქცენ გჳსთავან თჳსთა წინა აღმდგომთა, ⁂ მე

[1]) გ შეფ. თ.—[2]) კ მოსე ბბ.

გისმინო ზეცით, ⁂ მოწყალე ვექმნა ცოდვათა მათთა, ⁂ განვჰურ-
ნო ქუეყანა მათი ✿ ⁂ აწ თუალნი ჩემნი იქმნენ განხმულ, ⁂ ყუ- იე
რნი ჩემნი იქმნენ მსმენელ ვედრებისა მიმართ ადგილისა ამის ✿ ⁂ ივ
აწ გამოვირჩიე ⁂ წმიდად ვყავ სახლი ესე, რათა იყოს სასელი ჩე-
მი მუნ ვიდრე უკუნისამდე, ⁂ იყოს თუალნი ჩემნი, ⁂ გული ჩემი
მუნ ყოველსა დღესა ✿ ხოლო შენ უკეთუ სჯდო წინაშე ჩემსა იზ
ვითარცა მამად შენი დავით ვიდოდა, ⁂ ჰყოფდე ყოველისა ებრ,
რომელი გიბრძანე შენ, ⁂ ბრძანებანი ჩემნი, ⁂ სამართალნი ჩემნი
დაიცვნა ✿ აღვადგინო საყდარი მეფობისა შენისა, ვითარცა აღუ- იჱ
თქუ დავითს მამასა შენსა, მეტყუშლმან: არა მიგეღოს ტომისაგან
შენისა კაცი, წინამძღუარი ისრაელსა შინა ✿ ხოლო უკეთუ მიიქ- ით
ცეთ თქუჱნ, ⁂ დაუტეოთ ბრძანებანი ჩემნი, ⁂ მცნებანი ჩემნი,
რომელი მოგეც თქუჱნ, ⁂ წარხვიდეთ ⁂ მსახუროთ ღმერთთა უც- ზ
ხოთა, ⁂ თაყუანისცეთ მათ ✿ აღმოგფხჳრნე თქუჱნ ქუეყანისაგან
რომელი მიგეც თქუჱნ, ⁂ სახლი ესე, რომელიცა წმიდად ვყავ სა- კ
სელისა ჩემისა, განვაგდო პირისაგან ჩემისა, ⁂ მივსცე იგი იგავად
⁂ სამბაად ყოველთა წარმართთა ✿ ⁂ სახლი ესე მაღალი იგიგად კა
ყოველთა თანა წარმაგალთა მისთა რომელნი განცჳფრდენ ⁂ თქუან:
რაჲსათჳს ეო უფალმან ესრეთ ქუეყანა ესე, ⁂ სახლი ესე ✿ ⁂ კბ
მიუგებდენ: რამეთუ დაუტეეს ღმერთი მამათა თჳსთა, რომელმან
გამოიუანა იგი ქუეყანისაგან ეგჳპტისა, ⁂ შეიწყნარნეს ღმერთნი უც-
ხონი, თაყუანისცეს მათ, ⁂ მოსეს ⁂ ამისთჳს მოჳდა მათ სედა ეო
ველი ესე ბოროტი.

თავი ც.

და [1] იქმნა შემდგომად ოცთა წელთა, რომელსა შინა აღა- ა
შენნა სოლომონ სახლი უფლისა, ⁂ სახლი თჳსი ✿ ⁂ ქალაქნი ბ
რომელნი მისცა ხირამ სოლომონს, აღაშენა იგინი სოლომონ, ⁂
დააშენა მუნ ძენი ისრაელთანი ✿ ⁂ მოჳდა სოლომონ ქმათსუეს გ
შინა, ⁂ დაიჭურა ✿ ⁂ აღაშენა თედმორ უდაბნოსა შინა, ⁂ ყოველნი დ
ქალაქნი მაგარნი, რომელი აღაშენა ქმათს შინა ✿ ხოლო აღაშენა ე

[1]) გ შეჭეთ თ.

ბეთორონ ზემოთი, ⁂ ბეთორონ ქვემოთი, ქალაქნი გამაგრებულნი
ვ ზღუდითა, ბჭითა, ⁂ მოქლონითა ✿ ⁂ ვაალათ, ⁂ უოველნი ქალაქ-
ნი მაცარნი, რომელი იუუნენ სოლომონისა, ⁂ უოველნი ქალაქნი
ეტლთა, ⁂ ქალაქნი ცხენოსანთა, ⁂ რაჲოდენი ინება სოლომონ,
ნდომისა ებრ აღაშენა იერუსალიმს შინა, ⁂ ლიბანს შინა, ⁂ უოვე-
ს ლსა შინა სამეფოსა თჯსსა ✿ უოველი თჳი, დატჳებულნი ქეს-
თელისაგან, ⁂ ამორეველთა, ⁂ ფერეზელთა, ⁂ ევეველთა, ⁂ იებუსელსა,
ჱ რომელნი არა უოფილიუენეს ჯომისაგან ისრაელისა ✿ არამედ იქ-
მნა მეთაგან მათთა, დატჳებულთა შემდგომად მათთა ქუჱყანასა ზე-
და, რომელნი არა მოსწუჯდნეს მეთა ისრაელისათა, ქვე მოიუვანნა
თ იგინი სოლომონ მეხარკედ ვიდრე დღეინდელად დღემდე ✿ ხოლო
მეთაგან ისრაელისათა არა მისცა სოლომონ მონებასა შინა სამე-
ფოსა თჯსსა, რამეთუ ესენი იუუნენ კაცნი მებრძოლნი, ⁂ მთავარ-
ი ნი, ⁂ ძალნი, ⁂ უხუცესნი მეეტლეთა ⁂ ცხენოსანთა ✿ ხოლო
ესენი ⁂ უხუცესნი ⁂ წინაშე მდგომელნი მეფისა სოლომონისა,
ორას ორმეოცდა ათნი ზედა მდგომელნი საქმეთა ზედა ერთათა ✿
ია ხოლო [1] ასული ფარაონი მოიუანა სოლომონ ქალაქისაგან და-
ვითისა სახლსა შინა, რომელი აღუშენა მას, რამეთუ ჰრქუა: რათა
ნუ დაიჯანებენ ცოლნი ჩემნი სახლსა შინა დავით მეფისა ისრაელი-
სა, ვინათგან განწმედილ არს, ვიდრეცა შევიდა კიდობანი უფლი-
იბ სა ✿ მაშინ აღამაღლა სოლომონ უოვლად დასაწუწლი უფლისანი
საკურთხეველსა წედა, რომელი აღუშენა უფალსა წინაშე ტაძრი-
იგ სა ✿ სიტჳსა ებრ დღითგან დღემდე შეწირვად ბრძანებისა ებრ
მოსესა, შაბათსა შინა, ⁂ ახალ თუჱსა, ⁂ დღესასწაულსა შინა, სამ-
გზის წელიწადსა შინა, დღესასწაულსა შინა უცომოებისასა, ⁂
დღესასწაულსა შინა შჯდეულისა, ⁂ დღესასწაულსა შინა კარვობი-
სასა ✿ ⁂ დაადგინა განჩინებისა ებრ დავითისა მამისა მისისა
იდ განუოფილება ძღდელთა, ⁂ შემდგომად მსახურება მათი, ⁂ ლევიტელ-
ნი წედ მცველნი მათნი, რათა აქებდენ ⁂ მსახურებდენ წინაშე მღდელთა,
წესისაებრ თჯთოეული თჯთოეულსა დღესა, ⁂ მეკრენი განუოფილე-

[1] გ მეფეთა ო.

ბათა ებრ, კარითა ებრ ⁂ კართა, რამეთუ ესრეთ ბრძანა დავით კა- ცმან ღუთისამან ✠ ნუ გარდაჴდებით მცნებასა მეფეთასა მღდელთა იე თჯს ⁂ ლევიტელთა უოველთა ებრ სიტყუათა ⁂ საუნჯეთა შინა ✠ ⁂ განიმსჭდინა უოველი საქმენი სოლომონ დღითგან, რომელსა ში- ივ ნა დააფუძნა დღეღმდე, რომელსა შინა შეასრულა სოლომონ სახ- ლი უფლისა ✠ მაშინ წარვიდა სოლომონ ღასიონს შინა ღაგერს იზ ⁂ ელათს შინა, რომელი წიაღ სღჯსა ქუჱყანასა შინა იდუმიასა- სა ✠ ⁂ წარუვლინა ხირამ კელითა მსახურთა თჯსთათა ნავნი, ⁂ იჱ მონანი მეცნიერნი სღჯსა განვლისა, ⁂ ვიდოდეს მონათა თანა სოლომონისათა სუფირად, ⁂ აღიღეს მუსითჳან, ოთხას ორმეოცდა ათი ტალანტი ოქრო, ⁂ მოიღეს მეფისა მიმართ სოლომონისა.

თ ა ვ ი თ.

გილსა ⁂ ქალაქსა რჩეულნი ჭაბუკნი წარუზავნნა კუალთა შინა მა-
თთა, ⁂ ეწიენეს მათ, მოსწყუდეს იგინი მახჯლითა ვიდრემდის
მივიდეს კიდესა ზედა საზღვართა თჯსთათა ✿ ხოლო დაუტეგეს ზ
ბეთელს ქალაქსა შინა, განვიდეს სადგურსა შინა ასურეთისასა, ⁂
ტუნჯნი ⁂ ნატუნჯნავნი რომლისა ლტოლვილთა ასურასტანელთა
დანარჩუნებული აღიღეს, ⁂ განმდიდრნეს ფრიად ✿ ხოლო მძლე- ჱ
ველნი მოიქცეს ბეთილად, ყოველნი რომელი ნატუნჯნავნი მათნი
აღმოიუვანნეს მათ თანა, ეგრეთ რამეთუ არა იყო რიცხჯ ცხოვართა
⁂ ჰირუტუშთა, ⁂ ყოველთა აღძრულთა მათ მცირითგან ვიდრე
დიდამდე ყოველნი განმდიდრნეს ნატუნჯნავთაგან მათთა ✿ ხო- თ
ლო იოვაკიმ მღდელთ მთავარი მოვიდა იერუსალიმითგან ბეთილ-
სა შინა ყოველითა თანა ქალაქ ჰეტითა თჯსთა, ხილვად ივდითი-
სა ✿ ხოლო ოდეს იგი განვიდა წინაშე მათსა, აკურთხეს იგი უო- ი
ველთა ერთჯმობით მეტუნჯლთა, შენ ხარ სიქადული იერუსალიმი-
სა, შენ შუბა ისრაელისა. შენ ჰატივი ერთა ჩუნჯნთა ✿ ვინათგან ია
ჰქმენ ფრიად სიმჯნე მკედრისა, ⁂ განძლიერებულ არს გული შენი,
რამეთუ სიწმიდე შეგიუვარებიეს, ⁂ შემდგომად ქმრისა შენისა სხუად
არა იცი. მისთჯსცა ⁂ კელმან უფლისამან განგაძლიერა შენ, ⁂
იქმენ კურთხეულ უკუნისამდე ✿ ⁂ ჰრქუნჯს ყოველთა თემთა: იყავნ იბ
იყავნ ✿ ხოლო ოცდა ათთა დღეთა შინა მჳლ შემოკრებულ არიან იგ
ნატუნჯნავი ასურასტანელთა ლაშქართა, ერთა ისრაელთა ✿ ხო- იდ
ლო ყოველნი რომელნი იყუნეს ოლოფერნისნი, ოქროსაგან ⁂ ვეც-
ხლისა, ⁂ სამოსელნი ბრწყინვალენი, ⁂ ქვანი ძჯრფასნი, ⁂ ყო-
ველნი ჯურჭელნი დაშენებულნი, ესე ყოველი მისცეს ერთა ივ-

იე დითს ✠ ⁂ ეკრეთ ყოველნი მენი ისრაელისანი იხარებდეს ცოლითურთ ⁂ ქალწულითა ⁂ ჭაბუკითა, მროკუშპლნი, ორღანოთა შინა ⁂ ებნითა.

თავი იგ.

ა ბ გ დ ე ვ ზ ჱ თ ი ია იბ იგ იდ

ესაშინ იუდით აქებდა უფალსა. ⁂ გალობდა გალობასა ამას მეტუშპლი ✠ იწუეთ უფლისა ბობღნითა, უგალობდით ღმერთსა ჩუშპნსა მწუობრითა, უგალობდით მას გალობასა ახალსა, იხარებდით წინაშე მისსა, ⁂ სადეთ სახელსა მისსა ✠ [1] უფალმან შემუსრნა ბრძოლანი, უფალ არს სახელი მისი ✠ რომელმან დაადგინნა ბანაკნი თჯსნი შორის ერთა თჯსთა, რომელმან გჯსნა ჩუშპნ კელთაგან მტერთა ჩუშპნთა ✠ მოვიდა ასური მთისაგან ჩრდილოთაგან, მრავლითა ძალითა თჯსითა, რათა სიმრავლემან დააყენა მდინარე, ⁂ ცხენთა მათთა დაფარნეს ღელენი ✠ თქუა ხოლო მოჭუშპთნეს, საზღუარი ჩემი, ⁂ ჭაბუკნი ჩემნი მოსწუჯდნეს მახჯლითა, ⁂ ჩჩჯლნი ჩემნი მისცეს, წარსტაცებელად, ⁂ ქალწულნი, ტუშპობასა შინა ✠ არამედ ღმერთმან უოველისა შემძლებელმან დაათრო იგი ⁂ მისცა იგი კელსა შინა დედაკაცისასა, ⁂ დასცა იგი ✠ რამეთუ არა დაეცნეს ძლიერნი მათნი ჭაბუკთაგან, არცა მეთა ძლიერთასა კელნი დასცეშდეს მას, არცა დიდნი გმირნი დადგეს წინაშე მისსა: არამედ იუდით ასული მერარისა შუშპნიერებასა შინა, ჰირისა მისისა მოწულა იგი ✠ რამეთუ განიძარცუა სამოსელი საქშრიო, ⁂ შეიმოსა სამოსლითა შუშპისათა, ხიხარულსა შინა ჭეთა ისრაილისათა ✠ იცხო ჰირი თჯსი სულნელითა, ⁂ შეითხზნა თმანი თავისა მისისანი ქუდსა ქუშპშე, აღიღო შესამკობი ახალი, შესაცდუნებელად მისა ✠ კამლთა მისთა მიიტაცნეს თჳალნი მისნი, შეუნიერებამან მისმან მოინადირა სული მისი ⁂ მოჭუშპთა მახჯლითა თავი მისი ✠ შეუშინდეს ერნი სჰარსნი ძალსა მისსა, ⁂ მიდელნი ერნი კადნიერებასა მისსა ✠ მაშინ ღაღადეეს ბანაკთან ასურასტანისათან, ოდესცა გამოჩნდეს სიმდაბლე ჩემი წარმწუემედელთა წუურილითა ✠ მეთა ჭაბუკთა მოსწუჯდნეს იგინი. ⁂ ვითარცა ურმათა, მლტოლვა-

[1] გამოსც აე.

რეთა დაჰკლვიდეს მათ, ⁂ განიხრწნეს ბრძოლასა, შინა წინაშე
უფლისა ღუთისა ჩემისა ✿ გალობასა უგალობდეთ მეუფესა უფალ- იე
სა, გალობასა ახალსა ვგალობდეთ ღუთისა ჩუენისა ✿ ადრინა ივ
უფალო დიდ ხარ შენ. ⁂ ზეშთა ბრწყინვალე ძალსა შინა შენსა,
რომლისა მორევნად არავის ძალუც ✿ შენდა რათა მსახუროს ყო- იზ
ველმან ქმნილმან შენმან, [1] რამეთუ ჰქუე ⁂ იქმნა: [2] მოავლინე
სული შენი, ⁂ დაებადნეს, ⁂ არა არს წინა აღმდგომ ჴმისა შენი-
სა ✿ მთანი საფუძუელიდგან შეიძვრიან წუალითურთ, კლდენი ვი- იჱ
თარცა ცჯლი დადნების წინაშე ჰირთა შენთა ✿ ხოლო რომელსა ით
ეშინის შენი უფალო, დიდ იქმნების წინაშე შენსა მარადის ✿ გაჲ კ
წარმართსა აღდგომილსა ერსა ჩემსა ზედა. უფალმან ყოველისა შემ-
ძლებელმან შური აგოს მათ. ⁂ დღესა შინა, სასჯელისასა მოხე-
დოს მათ ✿ რამეთუ მიეცეს ცეცხლსა ⁂ მატლსა ჴორცი მათი რა- კა
თა იწოდენ ⁂ მრწოდენ უკუნისამდე ✿ ⁂ იყო შემდგომად ამისა კბ
ყოველნი ერნი ყოველნი მრეველნი, შთამოვიდეს იერუსალიმს შინა,
თაყუანისცემად უფლისა ღუთისა. ⁂ მეუღსულად სალხინებელად შე-
წირეს ყოველად დასაწუწლი, ⁂ მსხუერპლნი, ⁂ აღთქმისანი თჯს-
ნი ✿ ხოლო იგდით ყოველნი ჯურჯულნი რჩეულნი ოლომფრესნი კგ
რომელი მისცეს ისა ერთა, ⁂ კრეტსაბმელი რომელი თჯთ აღიღო
საწოლისაგან მისისა მისცა შეძინებასა შინა საუკუნოდ მოსაყსენე-
ბელად ✿ ⁂ იუენეს ერნი შუწბულნი სიხარულით წინაშე ჰირთა კდ
წმიდათა, ⁂ სამთუწ სიხარულთა ამათ ძლევისათა დღესასწაულობ-
დენ იგდითის თანა ✿ ხოლო შემდგომად ამათ დღეთა კაცად-კაცადი კჱ
მიიქცა თჯსსა შინა ესენი ✿ ⁂ იგდით დიდ იქმნა ბეთილსა შინა, კვ
⁂ დიდებულ იქმნა სახელი მისი ყოველსა შორის ქუჱყანასა ისრა-
ილისასა ✿ ვინათგან იქმნა კეთილ მოქმედი სიწმინდისა თანა კზ
შესთული არა ცნა ქმარი ყოველსა შინა დღეს ცხოვრებისა მისი-
სასა, შემდგომად სიკუდილისა მანასე ქმრისა მისისა. ⁂ დღესა ში-
ნა დღესასწაულისათა, შევიდოდა დიდითა დიდებითა ✿ ხოლო ეკო კთ
სახლსა შინა ქმრისა თჯსისასა წელსა ას ხუთთა, ⁂ დაუტევა აბრი

[1]) ფსალმუნი მჱ—[2]) ფსალმუნი რგ.

მკეცალი თჳსი თავისუფლებასა, ⁂ მოკუდა იგდით, ⁂ დაეფლა ქმრისა თჳსისა თანა ბეთილს შინა ✡ ⁂ ტიროდეს მას ყოველნი ერნი შჯდ დღე ✡ ხოლო ყოველსა შინა დღეთა ცხოვრებისა მისისასა, არა იყო შემაძრწუნებელი ერთა ისრაილთა, ⁂ შემდგომად სიკუდილისა მისისა წელსა მრავალსა ✡ ხოლო დღესა დღესასწაულისასა მკელისა ამის ებრაელთაგან რიცხვსა შინა წოდებათა დღეთა შეიწუნარებენ, ⁂ იდღესასწაულების იუდიანთაგანი მის ჟამისაგან ვიდრე დღემდე.

დაესრულა წიგნი იედითისა, და აქეს თავსა შორის თჳსსა თავი იე.

წიგნი ესთერისა

თ ა ვ ი ა.

წელსა მეორესა დიდისა მეფისა არტაქსარქისასა, პირველსა შინა დღესა თჳსა ნისანისასა ჩუწნებაი იხილა მარდოხ მემან აირონესმან სემისმან კისევი ტომისაგან ბენიამენისამან კაცმან ებრაელმან დავანებულმან ქალაქსა შინა სუსას. კაცმან დიდმან ბჭესა შინა მსახურმან სამეფოსა ხოლო იყო ტუეობისაგან რომელიცა ტუუწ ეო ნაბუქოდონოსორ მეფემან ბაბილოვნისამან იერუსალემითგან, იექონიას თანა მეფისა ჰურიასტანისათა. ⁂ ესე ვითარ ჩვენება მისი. ⁂ ჰჳა კმანი ⁂ შოთნი, ქუსილნი ⁂ მრვანი, ⁂ ძრწოლა ქუწჳანასა ზედა, ⁂ ჰჳა ორნი ვეშჳნი დიდნი, კანმსდებულნი კაძოვიდეს, ორნივე ურთიერთისა ბრძოლად. ⁂ იქმნა ჴმა მათი დიდი, ⁂ ჴმითა მათითა განემსადგს ყოველნი წარმართნი ბრძოლად, რათა მოსჳონ წარმართნი მართალთა, ⁂ ჰჳა დღე ბნელისა ⁂ ნისლისა ჭირისა ⁂ იწროებისა, ⁂ განბორკტებისა ⁂ შფოთისა დიდისა ქუწჳანასა ზედა, ⁂ შემრწუნდა ყოველნი წარმართნი მართალნი შეშინებულნი სიბორტისა მათისა, ⁂ განემსადგნენ წარწუმედასა ზედა, ⁂ ღაღად უწჳს

ღუთისა მიმართ. ხოლო ღაღადებისაგან მათისა იქმნა, ვითარცა
მცირისაგან წუაროსა მდინარე დიდი, წუალი მრავალი, ⁂ ნათელი
⁂ მზე აღმობრწყინდა, ⁂ მდაბალნი ამაღლდეს, ⁂ შეჯაბნეს დიდებულ-
ნი ⁂ განიფრთხო მარდოხე რომელმან იხილა ჩუენება ესე ⁂ რო-
მელისა ანება ყოფად ღმერთმან, ⁂ იხერა ჩუენება ესე გულსა ში-
ნა ⁂ ყოველთა. სიტყუათა უნებდა ცნობად მას ვიდრე ღამედმდე, ⁂
დადუმდა მარდოხე ესოსი შინა თანა ღაღალით ⁂ თარრით ორითა
საჯურისითა მეფისათა, რომელნი სცჯდეს ესოსი. ⁂ ესმა გულის
სიტყუანი მათი ⁂ ზრახვანი მათნი გამოიძია. ⁂ ცნა რამეთუ გან-
მსაღებენ კელთა თჯსთა დასხმად მეფესა ზედა არტარქსასა ⁂ აუწუა
მეფესა ძათჯს ⁂ გაძოკითხნა მეფემან, ორთა საჯურისთა თჯსთა
⁂ აღუაროს, ⁂ დამოკიდებულ იქმნეს, ⁂ დაწერა მეფემან სიტყუანი
ესე მოსასხენებელად, ⁂ მარდოხეც დაწერა სიტყუათა ამათთჯს. ⁂
უბრძანა მეფემან მარდოხეს მსახურებად ესოსი შინა, ⁂ მისცა მას
ნაჯი ამისჯს ⁂ იყო მუნ ამადათი ვეულანე დიდებულ წინაშე მე-
ფისა, ⁂ ინება ბოროტის ყოფად მარდოხესა ⁂ ერისა მისისა, ორ-
თათჯს საჯურისთა მეფისათა ✿ ⁂ იყო შემდგომად სიტყუათა ამათ ა
დღესა შინა არტაქსარისასა ესე არტაქსარ ჭინდოეთისგან მფლო-
ბელობდა ასოცდა შჯდთა კერძოთა ვიდრე ეთიოპვადმდე ✿ ხოლო ბ
ამათ დღეთა შინა ოდეს ჯდა საყდარსა ზედა მეფე არტაქსარ, ქა-
ლაქსა შინა სუსასა ✿ მესამესა წელსა მეფობისა მისისასა: უქმნა გ
სერი დიდ მეკობრთა, ⁂ სხუათა წარმართთა ⁂ სპარსთა ⁂ მიდელ-
თა დიდებულთა, ⁂ უხუცესთა მთავართა სათრაპთა ✿ ⁂ შემდგომად დ
ამათსა ოდეს უჩუენნა მათ სიმდიდრე მეფობისა მისისა, ⁂ დიდება
შუენებისა თჯსისა ას ოთხმეოცთა დღეთა შინა ✿ ხოლო ოდეს ე
აღასრულნეს დღენი სერისა უქმნა მეფემან ლხინობა წარმართთა
მოჰოვნებულთა ქალაქსა შინა სუსასა დღესა შინა შჯდსა ესოსი
შინა სახლსა მეფისასა ✿ შემკობილებითა ბისონისათა ⁂ მუნაო- ვ
ვანითა კრეტსაბმელებითა განრთხმულებითა საკერელთა ზედა იაკინ-
თათა ⁂ მეწამულთა, გრგოლებთა ზედა ოქროსათა ⁂ ყუცსლისათა,
სუნტთა ზედა მარმარილოთა ⁂ ქუათა ✿ საწოლსა ოქროსა, ⁂ ზ

ვეცხლისა, მოფენილსა ქჳთა სამარაგდოთა, ⁂ თეთრისა ⁂ წითლისა ⁂ ჰარისულის მარმარილოთა, ⁂ ქუჩსშსაფენი ჯრელად ჰირად
ჱ ჰირადად აღუვაებულნი გარემო ვარდნი განთესილნი ✿ ჯურჯულნი ოქროჲსა ⁂ ვერცხლისა, ⁂ სასმისი ანთრაკისა ქჳსა წინა დაგებული ფასითა ტალანტი სამთა ბეგრთა. ღჳნო მრავალი, ⁂ ტკბილი
რომელსა თჳთ მეფე სჳმიდა. ხოლო სასმელი ესე არა ჯულისა ებრ განწესებული იქმნა რამეთუ ეგრეთ ინება მეფემან ⁂ ამცნო
თ სახლთუხუცესთა ეოფად ნებისა მისისა კაცთა ✿ ასტინ დედოფალმანცა უქმნა სერი დედათა სახლსა შინა მეფისასა სადაცა ათაქსერ ✿
ი ხოლო დღესა მეშჳდესა შინა გამხიარულდა მეფე ჭრქუა. ამას, ⁂ ვაზანს, ⁂ თარას, გარაზს, ⁂ სათოლთანსა, ⁂ ავიტაზს, ⁂ რათა-
ია ვის შჳდთა საჯურისთა რომელნი მსახურებდეს წინაშე მეფესა ართაქსერისა ✿ შემოეკანებად ასტინ დედოფლისა წინაშე მისსა, რომელ სუფევდეს იგი, ⁂ დაადგას მას ზედა გჳრგჳნი მეფობისა, ⁂
იბ უჩუჩნოს იგი ეოველთა მთავართა, ⁂ წარმართთა შუჩნიერება მისი
იგ რამეთუ შუჩნიერ იეო ✿ ⁂ არა ისმინა მისი ასტინ დედოფალმან
იდ მისლვად საჯურისთათანა ✿ ⁂ შეწუენდეს მეფესა, ⁂ განრისხნა, ⁂
ჭრქუა მახლობელთა თჳსთა, ესრეთ ჭრქუა ასტინს, ქმენით უკუჩს
სჯული ამისთჳს ⁂ სამართალი ✿ ⁂ წარმოდგეს მის მიმართ არკესი, ⁂ სარსოფი, ⁂ მალისეარ, მთავარნი სჳარსთა ⁂ მიდელთა,
იე რომელნი ახლოს მეფისა, ⁂ თანა სხდეს მეფისჲ ✿ ⁂ მიუთხრეს
მას სჯულისაებრ ვითარ რამეთუ ჯერარს ეოფად ასტინ დედოფლი-
ივ სა, რამეთუ არა ეო ბრძანება მეფისაგან საჯურისის გამო ✿ ⁂
ჭრქუა მოხუი მეფისა მიმართ ⁂ დარბასის ერთა მიმართ, არა მეფესა ერთსა იესამართლოვა დედოფალმან ასტინ, არამედ ეოველთა
იზ მთავართა ⁂ წინამძღუართა მეფისათა ✿ რამეთუ მიეთხრა მათ, სი-
იჱ ტუჱა დედოფლისა ვითარ, წინა აღუდგა ჭრქუა, მეფესა ✿ ესრეთ ვითარცა უკუჱ წინა აღმდგომი ჭრქუა მეფესა ართაქსერქს ეგრეცა დღეს დედანი სხუანი, მთავართა სჳარსთა ⁂ მიდთა, მსმენელნი მეფისა თქმულნი მისგან, ხოლო ეგრეთ კადნიერებდენ, უჱატიო ეო-
ით ფად ქმართა თჳსთა ✿ რამეთუ უკეთუ უკუჱ სათნოა მეფისა, რათა

ბრძანოს მეფობისა, ბრძანებითა, ⁂ რათა დაიწერნეს რჯულისაებრ
მიდთასა, ⁂ სჯარსაასა, ⁂ სხუარიგ, რათა არა იყოს არცა რათა
შეჯალს მერმეღა დედოფალი მისდა მიმართ, ⁂ სუფეგა მისი რათა,
მისცეს მეფემან დედა-კაცსა უმჯობესსა მისსა ✿ ⁂ რაჲა იყოს სა- კ
სმენელ რჯული რომელი, მეფისაგან, რომლისა ყონ სამეფოთა
შინა თჯსთა, ესრეთ ყოველთან დედა-კაცთან დასდგას ჴატიჲ ქმარსა
ზედა თჯსსა, დიდითგან ვიდრე მცირედმდე ✿ ⁂ სათნო იქმნა სიტ- კა
უაჲ წინაშე მეფისა ⁂ უსუცესთა. ⁂ ქმნა მეფემან, ვითარცა ჰრქუა
მას მუსეიმ ✿ ⁂ წარავლინნა მეფემან, წიგნი ყოველთა შორის სა- კბ
მეფოსა კერძოთაებრ ენათაებრ მათთა, რათა იყოს შიში მათი საყო-
ფელთა შინა მათთა.

თავი ბ.

და შემდგომათ სიტყუათა ამათ დასცხრა მეფე რისხჯისაგან, ⁂ არ- ა
ღარად მოიგსენა მერმე ასტინი, მოგსენებად რაჲოდენსა იტყოდა, ⁂
ვითარ უსჯიდა მას ✿ ⁂ ჰრქუჱს მსახურთა მეფესა: რათა იძიოს ბ
მეფისა ქალწულნი უხრწნელნი, შუჱნიერნი ხილვითა, რათამცა
დაადგინნეს მეფემან მეძიებელნი, ყოველთა შინა ადგილთა სამეფოსა
თჯისასა ✿ ⁂ რათა შეკრიბნეს ქალნი ქალწულნი, კეთილ საჯურე- გ
ტნი, სუსა ქალაქსა შინა სასძლოსა შინა დედათასა, ⁂ რათა მიეც-
ნეს საჯურისთა მეფისათა. კმიჲლსა დედანი, რათამცა მიეცნენ ნელ-
საცხებელნი, ⁂ სხუანი საკმარნი ✿ ⁂ დედანი რომელი, შეიუჱა- დ
როს მეფემან, რათა იყოს მეფისა ასტინის ადგილსა შინა ⁂ სათ-
ნო იყო. მეფისა სიტყუა, ⁂ უო ეგრეთ ✿ ⁂ იყო კაცი ებრაელი ე
სუსან ქალაქსა შინა, ⁂ სახელი მისი მარდოხე, მე იაირისა, მისა
სემეისა. მისა კისისა, ტომისაგან ბენიამენისა ✿ რომელი იყო ვ
ტყუჱ [1] იერუსალემითგან ნაბუქოდონოსორის მეფისა ბაბილოვნი-
სათა ✿ ⁂ ჰყვაჲ მას ქალწული გამოზრდილი ამინადაბისა, მამისა მა- ზ
მისა მისისა, ⁂ სახელი მისი ესთერ. ხოლო შემდგომად მიცვალე-
ბისა მშობელთა მისთა, მოიყუანა იგი მარდოხ ასულისა წილ, ⁂
იქმნა ქალწული შუჱნიერი ⁂ კეთილ სახილავ ✿ ⁂ ოდეს სმენილ ჱ

[1] ⁂ მეფე კბ.

იქმნა ბრძანება მეფისა შეკრებულ იქმნა ქალწულთა მრავალთა სუ-
სან ქალაქსა შინა კელსა ქუშტშუ აღაისა ⁂ მიევანებულ იქმნა ესთერ
თ აღას მიმართ მცუშტლისა მიმართ დედათა ✿ ⁂ სათნო იქმნა მისა ქა-
ლი ⁂ ჰოვა მადლი წინაშე მისა, ⁂ ისწრაფა ნელსაცხებელი მისა
მიცემად ნიჯთა, ⁂ შჯდნი ქალწულნი დაადგინა მისთანა სახლისა-
გან მეფისა ⁂ სცჯდენ იგინი ⁂ მხილველნი მისი კეთილნი სახლსა
ი შინა დედათასა ✿ ⁂ არა მიუთხრა ესთერ ნათესავი თჯსი არცა მა-
ია მული რამეთუ მარდოხე ამცნო მას არა მითხრობად ✿ ხოლო ყო-
ველსა დღესა ზედა ვიდოდა მარდოხე, სახლისა მიერ სადედოსა,
იბ მჯუერეტელი რა ესთერისა შეიმთხუა ✿ ხოლო ესე იყო ჟამი ქალ-
წულისა, რომელი შეჯიდოდა მეფისა მიმართ, ოდეს აღესრულოს
ათორმეტნი თუშტნი, რამეთუ ესრეთ აღასრულებდეს დღეთა განშეჯ-
ნებისასა ექუს თუშტ სუნელთა შორის, ⁂ ნელსაცხებელთა შინა. დე-
დათა ⁂ ექუს თუშტ მცხებელნი ზმირინთა ზეთითა, ⁂ მაშინ აღვი-
იგ დოდეს მეფისა მიმართ ✿ ⁂ რომლისა უკუშტთუ ჭრქუას მოეუანებად
იგი შევალს მისთანა ერთბამად სახლიდამ სადედოსა, ვიდრე სახ-
იდ ლადმდე მეფისა ✿ მწუხრსა ზედა შევიდოდა, ⁂ განთიადს მიექცეო-
და სახლსა შინა სადედოსა, მეორე, სადაცა ღაი საკურის მეფისა
მცუშტლი დედათა ⁂ არა შევიდოდა კუალად მეფისა მიმართ, უკეთუ
იე არა იეოს მოწოდებულ სახელით ✿ ხოლო ოდეს აღსრულდა ჟამი
ესთერისა ასულისა ამინადაბისა მამის მმისა მარდოხესი შესვლად
მეფისა მიმართ, არა რაჲსაცე გარდაკდა ამათგან, რომელი ამცნო მას
საკურისმან, მცუშტლმან დედათამან, რამეთუ იეო ესთერ მზოვნელ
ივ მადლისა წინაშე ყოველთა მხილველთა მისთა ✿ ⁂ შევიდა ესთერ
მეფისა მიმართ არტაქსერქსისა, მეათორმეტესა თუშტსა, რომელ არს
იზ ადარ, წელსა შინა, მეშჯდესა მეფობისა მისისასა ✿ ⁂ შეიყუარა
მეფემან ესთერ, ⁂ ჰოვა მადლი უფროს ყოველთა ქალწულთა, ⁂
იტ დაადგა გჯრგჯნი სადედოფლო თაჯსა მისსა ✿ ⁂ უქმნა მეფემან
ლხინნი ყოველთა მეკობართა თჯსთა, ⁂ ძალთა შჯდ დღე, ⁂ აღა-
მაღლა ქორწილი ესთერისა, ⁂ ყო განსასხრელი მეოფთა სამეფო-
ით სა შინა მისსა ✿ ხოლო მარდოხე მსახურებდა ესოსა შინა მეფი-

სასა ✿ ხოლო ესთერი არა მიუთხრა მამეული ნათესაჲსა მისისა, კ
არცა ერთა თჳსთა. რამეთუ ესრეთ ამცნო მარდოხე, შიშ ყოფად
ღუთისა, ✠ ყოფად მცნებათა მისთა, ვითარცა იყო მისთანა, ხოლო
ესთერ არა შეცუალა ჩუეულება თჳსი ✿ ხოლო მწუხარე იქმნეს კა
ჰატიაისცემისთჳს მარდოხისა ორნი საჭურისნი მთავარნი მეფისა,
მცუწარნი გუშამისა მისისა, ✠ ეძიებდეს მოკულად არტაქსარ მეფე-
სა ✿ ✠ ეუწუა მარდოხეს სიტყუა, ✠ მიუთხრა ესთერს. ხოლო მან კბ
მიუთხრა მეფესა, რომელსა ორგულობდენ ✿ ხოლო მეფემან გამოი- კგ
კითხნა ორთა საჭურისთა, ✠ აღუარეს: ✠ მოჰკიდნა იგინი. ✠
ბრძანა მეფემან დაწერად მოსაჴსენებელსა ზედა, სამეფოსა შინა წი-
გნთა საცავსა, კეთილ მოქმედებისათჳს მარდოხესა საქებელსა შინა.

თ ა ვ ი ზ.

და შემდგომად ამათსა მეფემან არტაქსარ დიდებულ ეო ამაინ ა
მე ამადაფუნისა ვუღუანელი, ✠ აღამაღლა იგინი, ✠ წინარელ ✠
უმაღლეს ყოველთა მეგობართა მისთა ✿ ✠ ყოველი რომელი იყო ბ
ესოსა შინა მეფისასა თაყუანისცემდეს მას, რამეთუ ესრეთ ბრძანა
მეფემან ყოფად. ხოლო მარდოხე არა თაყუანისცემდა მას ✿ ✠ ეტ- გ
ყოდეს რომელნი იყუნეს ესოსა შინა მეფისასა მარდოხეს, მარდო-
სე, რაჲსათჳს არა ისმენ სიტყუათა მეფისაგან ✿ ხოლო ყოველსა დ
დღესა შინა ეტყოდეს მას, ✠ არა ისმინა მათი. ✠ მიუთხრეს ამანს,
რამეთუ მარდოხე წინა აღუდგების ბრძანებასა მეფისასა, ✠ აუწუეს
მას მარდოხესა, რამეთუ ჴურია არს ✿ ✠ აუწუა ამან რამეთუ არა ე
თაყუანისცემს მას მარდოხე, განრისხნა ფრიად ✿ ✠ განიზრახა ვ
ყოველთა ჴურიათა წარწუმედა, რომელი იყო სამეფოსა არტაქსარი-
სასა, ✠ ჴყო ზრახვა წელსა შინა, მეათორმეტესა მეფობასა არტაქსა- ზ
რისსა ✠ განიგდეს წილი დღითგან დღედ, ✠ თჳთგან თუჱ დმდე,
რამეთუ წარწუმედად ერთსა დღესა შინა ნათესაჲ მარდოხეისა: და-
ეცა წილი, მეათოთხმეტესა ზედა დღესა თჳსსა, რომელ არს
ადარ ✿ ✠ თქუა ამან მეფისა მიმართ არტაქსარისა, სიტყუა არს ჱ
წარმართი განთესილი წარმართთა შინა, ✠ ყოველსა შინა სამეფო-
სა შენისათა, ხოლო სჯული მათი უცხო უფროს ყოველთა წარ-

მართთა, ⁂ სჯულსა მეფისასა არა ემორჩილებიან. ⁂ არა სარგებელ
თ არს მეფისა დატევებად იგინი ✿ ⁂ უკეთუ სათნო არს მეფისა, რა-
თა ბრძანოს წარწუმედად იგინი. ხოლო მე აღვსწერო საუნჯესა
ი შინა მეფისასა, ათი ათასი ტალანტი ვეცხლი ✿ ⁂ წაიყარა მე-
ფემან ბეჭედი კელით თჯსით. მისცა კელსა შინა ამანს, რათა და-
ია ბეჭდოს წერილი, რომელი დაწერილა იუდაიანთა ზედა ✿ ⁂ ჴრქუა
მეფემან ამანს, ვეცხლი უკუნ გაქუნდეს თავისა შენისათჯს, ხოლო
იბ ერთა უფაე ვითარცა ენებავს ✿ ⁂ მოუწოდეს მწერალთა მეფისათა,
ათსამმეტთა დღეთა შინა თჯსა ჱირველისასა ⁂ დაწერეს ვითარცა
უბრძანა ამან, მკედართ მთავართა მიმართ, ⁂ უხუცესთა ეოველთა
შორის სოფლებთა, ინდოეთის სამფლობელოსაგან, ვიდრე ეთიო-
ჰაღმდე, ასოცდა შჯდთა კერძოთა უუხუცესებულთა წარმართთა ზედა
შემდგომად მათ წარმართთასა, ბრძანებისაებრ არტაქსარ მეფისა ✿
იგ ⁂ წარგზავნნა წიგნთ მტჯრთველი წერილისა, სამეფოსა შინა არ-
ტაქსარისასა, რათა მოსწუჯდნეს ნათესავნი ჴურიჲთა, დღესა შინა
ერთსა, თუჱსა მეათორმეტესა, რომელ არს ადარ, ⁂ რათა წარი-
ტაცნეს მონაგებნი მათნი, ხოლო წერილი ებისტოლესა შინა ეს-
რეთ, იეო მეფე დიდი არტაქსარ, უხუცესებულთა მთავართა, ჴინ-
დოეთიდგან ვიდრე ეთიოპაღმდე, ასოცდა შჯდ კერძოთა ზედა ⁂
აღგილთა ამას სწერს უხუცესთა საქმოთა მრავალთა ზედა მმეფე-
ბელთა წარმართთა, ⁂ შემომჳერობელთა ეოველთა დაშენებულისა,
ვინებე არა კაცნიერებითა კელმწიფებაი აღვაძაღლო, არამედ სიმ-
შჯდითა ⁂ სიწყნარითა მარადის სიმართლითა, უშფოთველითა ცხოვ-
რებითა მარადის განვებად კელ ქუჱშე მეოფთა ჩუჱნთა ⁂ სამეფო ჩემი
უღელვოდ ⁂ უნებელად ვიდრე სრულიად დაიცვას. ⁂ განახლებად
მსურველი ეოველთა კაცთა მშჯდობით. ხოლო მკითხველმან მე თანა
მზრახველნი ჩემნი, ვითარ უკუნ შესაძლებელ არს ესე აღსრულე-
ბად, რომელნი ჩუჱნ თანა სიბრძნით დიდებულობენ, ⁂ კეთილ ნება-
სა შინა უცვალებელნი, ⁂ მტკიცითა სარწმუნოებისათა დამტკიცე-
ბულნი, ⁂ მეორესა ჰატიჳსა მეფობისა მიერ მიმთხუჱულნი ამან,
გჯთხრა ჩუჱნ რამეთუ ეოველთა შორის დაშენებულთა შინა ტომთა

შერეულთა მომტერეთა ერთა რომელთამე, სჯულისა წინა აღმდგომთა ყოველთა მიმართ წარმართთასა, ⁂ ბრძანებისა მეფისასა მარადის არა მომფრთხილეთა, რათამცა არა განეგოს ჩუენგან კეთილ განმართება განუხრწნელი თანა მფლობელობისა, ⁂ გულის ხმა ვყავთ უკუე რამეთუ ესე ნათესავი ერთი წინა აღუდგებოის მარადის ყოველსა კაცსა გარდაქცეულებითა, დაწესებულთა სჯულთა უცხოთასა შესცვალიან, ⁂ წინა აღმდგომელნი ჩუენთა საქმეთა. ⁂ უმწარეს აღასრულებდენ ბოროტსა, რათამცა სუფევასა ჩუენსა ვერ მიემთხუენეს კეთილ მდგომარეობა. ვბრძანეთ უკუე წერილითა თქუენდა მიმართ, წიენით ამანისაგან განწესებულთა საქმეთა ზედა მეფისათა ⁂ მეორისა მეფობისაგან ჩუენისა ყოველთა თანა დედებითა ⁂ შჯლთა წარწუემედად მიძითურთ. მტერულითა მახჳილითა უწუალისა მოწუალებისა ⁂ შეწუალებისა, მეათორმეტესა დღესა შინა, მეათორმეტესა თჳსსა აღარ, აწინდელსა ამას წელსა. რამეთუ რათა მეოფნი ჰირველ ⁂ აწ მტერნი ერთსა შინა დღესა მწარესა ჯოჯოხეთსა შინა შთაგდენ, ⁂ სახითა ქამთა შინა მეუღროი ⁂ უშფოთველი ცხოერება მოეცნენ ბოლოდმდე ჩუენდა წარსვლად ხოლო წერილნი ებისტოლენი წარიგზავნებოდნენ ქუეყანასა შინა, ⁂ ბრძანება იქმნა ყოველთა წარმართთა განმზადებით ყოფად ჩინებულსა შინა დღესა ✿ ხოლო მოესწრა საქმე იგი სუსას შინა ⁂ მეფე ⁂ ამან მოლხინენი დაიტკბებოდეს, ხოლო ქალაქი სუსა ირეეოდა.

თავი ღ.

ხოლო მარდოხე გულის კმა უო განზრახული დაიჰო სამოსელი თჳსი, ⁂ შეიმოსა მაძითა, ⁂ დაისხა ნაცარი, ⁂ განკდა სივრცესა შინა უბნისა ქალაქისასა, ღაღადებდა ღაღადებითა დიდითა ⁂ მწარითა: აღიღების ნათესავი არა რაისაცა მავნებელნი ✿ ⁂ მოვიდა ვიდრე ბჭედმდე მეფისათა, ⁂ დადგა, რამეთუ არა შეენიერ იყო მისა შესვლად ეზოსა შინა, მაძითა შინა შემოსილისა, ⁂ ნაცარითა დასხმულ მეოფისა ✿ ⁂ ყოველსა შინა სოფელსა სადაცა იჩვენებოდენ წიენი მეფისა, ღაღადებაჲ იყო ⁂ ტირილი, ⁂ გო-

დება დიდი ებრაელთა, მამასა ⁂ ნაცარსა დაისმიდეს თავთა თჳსთა ✿ ⁂ შეიდეს მკვაულნი ⁂ საჭურისნი დედოფლისა ⁂ მიუთხრეს მას: შეძრწუნდა მსმენელი რომელი ქმნილ იყო, ⁂ წარეგზავნა სამოსელი შემოსად მარდოხესა, ⁂ განმარცვად მაძისა მისისა: ⁂ არა ისმენდა ✿ ხოლო ესთერ მოუწოდა ახრაფეს საჭურისსა თჳსსა წინაშე მდგომარესა მისსა, ⁂ წარეგზავნა იგი ცნობად მარდოხესგან ჭეშმარიტებისა ✿ ხოლო მარდოხემ აუწყა მას ყოფილი, ⁂ აღთქმული, რომელი აღუთქუა ამან მეფესა საუნჯეთა შინა სახლთა დადებად ათი ათასი ტალანტი ვეცხლი, რათა წარწუმიდოს ებრაელნი ✿ ⁂ წერილი შეწყობილი სუსან ქალაქსა შინა წარსაწუმედელსა ზედა მათთა, მისცა მას უწუებად ესთერისა. ⁂ ჰრქუა მას, მცნებად მისა შესლვად ვედრებად მეფისა, ⁂ თხოვნად მისა ერთათჳს რომელ მოიგსინო დღენი სიმდაბლისა შენისა ვითარ აღზრდილხარ კელსა შინა ჩემსა. რამეთუ ამან მეორემან შემდგომად მეფისამან, თქუა წინა აღმდგომისა ჩუჳნდა სიკუდილად, საღე უფალსა ⁂ ეტეოდი მეფესა ჩუჳნთჳს, რათა გჳკსნენ ჩუჳნ სიკუდილისგან ✿ ხოლო შეიდა ახრაფეს, მიუთხრნა ესთერს ყოველნი სიტყუანი ესე ✿ ⁂ ჰრქუა ესრეთ ახროფეს მიმართ: წარვედ მარდოხეს მიმართ ⁂ არქუ ✿ ვინათგან ყოველთა წარმართთა სამეფოთა უწუიან, რამეთუ ყოველი კაცი ანუ დედაკაცი, რომელი შეიდეს შინაგან მეფისა მიმართ სახლსა უგმობელი, არა არს მისა ცხოვრება: გარნა რომლისა მიმართ უკეთუ განიპყრას მეფემან კუჳრთხი ოქროსა, ესე ცხონდეს. ხოლო მე არა ვარ წოდებულ შესლვად მეფისა მიმართ, აჳა აწ ოცდა ათ დღენი ✿ ⁂ მიუთხრა ახრაფე მარდოხეს ყოველნი სიტყუანი ესთერისნი ✿ ⁂ ჰრქუა მარდოხე ახრაფეს მიმართ: წარვედ ⁂ არქუ მას: ესთერ რათა არა სთქუა თავსა შორის, რამეთუ შენ ერთი სცხონდე სამეფოსა შინა უფროს ყოველთა ებრაელთასა ✿ რამეთუ უკეთუ ისმინო ჟამსა ამას შინა, ამიერითგან შეწევნა დაფარვა იყოს ებრაელთა, ხოლო შენ ⁂ სახლი მამისა შენისა წარსწუმედეთ ⁂ ვინ უწყის უკეთუ ამას ჟამსა შინა გამეფებულ ხარ ✿ ⁂ წარეგზავნა ესთერ მოსრული მის მიერ მარდოხეს მიმართ მეტ-

უველმან ✿ წარვედ ⁂ შეკრიბენ ებრაელნი რომელიცა არიან სუ- იე
სანსა შინა, დაიმარხეთ ჩემთჳს ⁂ ნუ სჯამთ ⁂ ნუცა სუამთ სამდღე
⁂ ღამე, ხოლო მე ⁂ მსახურთაცა ჩემთა ეგრეთვე არა ვჯამოთ, ⁂
მაშინ შევიდე მეფისა მიმართ თჳნიერ სჯულისა, უკეთუ წარწუმედა
შემემთხჳეს მე ✿ ⁂ წარვიდა მარდოხე, ჰყო ეგრეთ რაოდენი ამცნო ივ
მას ესთერ ⁂ ევედრა, უფალსა მოკსენებელთან ყოველთა საქმეთა
უფლისათა. ⁂ ჰრქუა: უფალო უფალო მეუფეო ყოვლისა მჳერობელო,
რამეთუ კელმწიფებასა შენსა შინა არს ესე ყოველი ⁂ არა არს წინა
აღმდგომი მბრძნობელი შენდა. ოდეს ინებო ცხოვრებად ისრაილ-
სა. რამეთუ შენ ჰქმენ ცანი ⁂ ქუჱყანა, ⁂ ყოველნი საკჳრველნი
ცასა ქუჱშე შედსა შინა, ⁂ უფალი სარ ყოველთა, ⁂ არავინ არს რო-
მელი წინა აღგიდგეს შენ უფალო: შენ ყოველი უწყი, ⁂ შენ იცი
უფალო, რამეთუ არცა გინებათა, არცა ამპარტავანებათა შინა,
არცა ამაოთ დიდების მოყვარებათა შინა ვჰყოფდე. რომელ არა
თაყვანისჳეც წინაშე ამპარტავანისა ამანისა. ვინათგან სათნო მიჩ-
ნდაცა ამბორის ყოფად კვალთაცა ფერჴთა მისთა, ცხოვრებისათჳს
ისრაილისა. არამედ ესე ვჳავ, რათა არა მიჳაჲე დიდება კაცსა, უფ-
როს დიდებისა ღმრთისა: ⁂ არა თაყვანისჳსცე არავის, თჳნიერ
შენსა უფალო, ჩემისა, ⁂ არა ვჳავ ესე ამპარტავნებითა. ⁂ აწ უფა-
ლო ღმერთო მეუფეო ღმერთო აბრაჰამისო. შეიწყალე ერი შენი,
რამეთუ გჳმზერენ ჩუჱნ წარწუმედასა შინა, ⁂ ჰსურისთ წარწუმედად,
რომელი დასაბამითგან სამკჳდრებელისა შენისა. ნუ უგულებელს
ჰყოფ ნაწილსა შენსა, რომელნი იჳსნენ თავისა შენისათჳს, ქუჱ-
ყანისაგან ეგჳპტისა, ისმინე ვედრებისა ჩემისა, ⁂ ულხინე, სამ-
კჳდრებელსა ზედა შენსა, ⁂ მოაქციე მწუხარება ჩუჱნი სიხარულად
რათა ცხოველნი ვაქებდეთ სახელსა შენსა უფალო, ⁂ ნუ უჩინო
ჰყოფ პირსა მაქებელსა შენსა უფალო ⁂ ყოველი ისრაილი ღაღა-
დებდა ძალისაგან თჳსისა, რამეთუ სიკუდილი მათი წინაშე თვალ-
თა მათთა, ⁂ ესთერ დედოფალი მირბიოდა უფლისა მიმართ ღვაწ-
ლსა შინა სიკუდილად შეჰურობილი. ⁂ განიძარცვა სამოსელი დი-
დებისა თჳსისა, შეიმოსა სამოსელი იწროებისა ⁂ ტირილისა, ⁂

ნაცვლად მრაგვალ ფერთა ნელსაცხებელთა ⁂ კეთილ სურნელთა, ნაცრითა ⁂ სკორითა დაისკა თავი თჳსი ⁂ კორცი თჳსი დაიმდაბლა ფრიად. ⁂ თჳთოეული ადგილი განშუქნებული შუქბისა თჳსისა, აღავსო ნაგლეჯითა თჳთა თჳსითა, ⁂ ევედრებოდა უფალსა ღმერთსა ისრაილისასა, ⁂ ჰრქუა: უფალო ჩემო მეუფეო ჩემო, შენ ხარ მხოლო შემეწიე მე მხოლოსა ⁂ არა მქონებელსა შეწევნისასა თჳნიერ შენსა, რამეთუ შეჯირვება ჩემი კელსა შინა ჩემსა. მე მესმა მბობელთა ჩემთაგან ტომთა შინა, მამულისა ჩემისა, რამეთუ შენ უფალმან მიიღენ ისრაელნი ეოველთაგან წარმართთა, ⁂ მამანი ჩუჴნნი ეოველთაგან ჰირველთა მამათა მათთა სამკჳდრებელად საუკუნოდ, ⁂ უკავ მათ რაოდენი აღუთქუ. ⁂ აწ ცოდეთ წინაშე შენსა, ⁂ მიგუცენ ჩუჴნ კელთა შინა მტერთა ჩუჴნთა, ვინათგან ვადიდეთ ღმერთი მათი. მართალ ხარ უფალო, ⁂ აწ არა საკმარო იქმნეს სიმწარითა მონება ჩუჴნი, არამედ დასდვნეს კელნი მათნი კელთა ზედა კერპთა მათთა: აღმოფხვრად მცნებისა ჰირთა შენთასა, ⁂ წარწუმედად სამკჳდრებელისა შენისა, ⁂ დაკშად ჰირსა მაქებელთა შენთა, ⁂ დაშრეტად დიდებისა ტაძრისა შენისა, ⁂ საკურთხეველისა შენისა ⁂ განღებად ჰირითა წარმართთა სათნო ეოფად ამაოთა, ⁂ განკვირვებად მეფისა კორციელისა უკუნისამდე. ნუ მისცემ უფალო სკიპტრასა შენსა ამათ რომელი არა არიან, ⁂ რათა არა გუჴხცინიან დაცემასა შინა ჩუჴნსა, არამედ მიაქციენ განზრახვა მათი მათ ზედა: სოლო რომელთა იწუეს ჩუჴნ ზედა იკავად დასდევ. მოიკსენე უფალო, ⁂ საცნაურ იქმენ ჯამსა შინა ჯრისა ჩუჴნისა ⁂ მე ღირს მყავ კადნიერებად, მეუფეო, ღმერთო ⁂ ეოველისა დასაწეისისა მჴერობელო. მომეც სიტყვა კეთილ სათნო ჰირსა შინა ჩემსა წინაშე ლომთა, ⁂ შესცვალე გული მისი სამულველად ბრძოლთა ჩუჴნთა ზედა, მოსპოლვად მათისა, ⁂ მათ თანა განმზრახთა: სოლო ჩუჴნ გჳკსენ კელითა შენითა, ⁂ შემეწიე მე მხოლოსა, ⁂ არა მქონებელსა თჳნიერ შენსა უფალო, ეოველთა მეცნიერება გაქუს ⁂ უწეი რამეთუ მძულს დიდება უსჯულოთა, ⁂ მძაგს საწოლი წინა დაუცჳშთელთა, ⁂ ეოველისა უცხო თესლისა, შენ უწეი დაჯირვება

ჩემი, რამეთუ მმაჲს ნიში ამჰარტაჲნებისა ჩემისა, რომელი არს თავსა ზედა ჩემსა დღესა შინა ხილვისა ჩემისასა, მოვიმაგე მისი ვითარცა ნახევი შეკინებულთა, ⁋ არა მოსიეს იგი დღესა შინა დუმილისა ჩემისასა. ⁋ არა ჯამა მონამან შენმან ტრაპეზისაჲან ამანისა. ⁋ არა ვადიდე სერი მეფისა, არცა ვსუ ღჳნო საჯამსი კერძთათა ⁋ არცა იშუჴბდა მკევალი შენი დღისაჲან შეცვალებისა ჩემისა ვიდრე აწამომდე გარნა შენ მიერ უფალო ღმერთო აბრაჰამისო, ღმერთო შემძლებელო უოველთა ზედა, ისმინე ჸმაჲ უსასოთა, ⁋ გჯნენ ჩუჴნ კელთაჲან ბოროტის მეოფელთა, ⁋ მიჴსენ მე შიშისა ჩემისაჲან.

თავი ე

და იეო შემდგომად სამთა დღეთა ოდეს დასცხრა ლოცვისაგან, ა განიძარცვა სამოსლისაჲან შეჯირვებისა, ⁋ შეიმოსა სამოსელსა შინა დიდებისა თჳსისასა. ⁋ იქმნა კეთილ სახილაჲი, მხადელი უოველთა მხილველისა ღუთისა ⁋ მაცხოვრისა. წარიუვანნა ორნი შიშუნვარნი მისთანა, ⁋ ერთისა მიერ დამბრჯენელი ვითარცა სიტყბოთი აღმატებული, ხოლო მეორე შეუდეგებოდა რათა აღუმსუბუქებდეს სამოსელსა მისსა, ⁋ ესე რომელ მეწამულობდა სიკეთითა მჭწნიერებისა თჳსისათა ⁋ ჰირი მისი მღიმღიმებელი, ვითარცა უსაუვარლეს, ხოლო გული მისი კუნესდა შიშისაგან, ⁋ შეგლო უოველნი ბჭენი, ⁋ დადგა წინაშე მეფისა, ხოლო იგი ჯდა საუდარსა ზედა სამეფოსა თჳსისასა, შემოსილი უოველსა სამოსელსა შინა დიდებისა თჳსისასა უოველთა ოქროთა შინა, ⁋ ქუათა ძჳრფასითა ⁋ იეო საშინელ ფრიად. ⁋ აღიღო ჰირი მისი ცეცხლ სახილველი დიდებითა, ფრიადითა გულის წურომითა შესდგნა, ⁋ დაჲარდა დედოფალი ⁋ იცვალა ჰირი მისი დაჲსნილობითა. ⁋ მიიდრიკა თავსა ზედა შიმუნვარისა წინა მაჲალისა. ⁋ შესცვალა ღმერთმან სული მეფისა სიმშჳდედ ⁋ ისწრაფა ⁋ გარდამოჲდა ტახტით თჳსით, ⁋ მიიუდრნო იგი წიაღსა შინა თჳსსა, ვიდრე მოვიდა თავისად, ⁋ ნუეშინი სცა მას სიტყჳთა მშჳდისათა, ⁋ ჰრქუა მას: რაჲ არს შენდა ესთერ, მე ჲარ ვითარცა ძმა შენი, განმლიერდი ⁋ ნუ მოჰ-

ბ კუნდები, რამეთუ საერთო არს ბრძანება ჩუენი, მომეახლე ✿ ჲ
აღიღო კუჭრთხი ოქროსა მეფემან, ჲ დასდგა ქედსა ზედა მისსა, ჲ
ამბორს უყო მას კელსა, ჲ ჰკრქუა: მეტყოდი მე, ჲ ჰკრქუა მას: გხე-
დავ შენ უფალო ჩემო ვითარცა ანგელოზსა ღუთისასა, ჲ შემრწუნ-
და გული ჩემი შიშისაგან დიდებისა შენისა, რამეთუ საკჳრველ ხარ
უფალო, ჲ ჰირსა შენსა მადლი აღესილი, ხოლო უბნებასა მისსა
მის მიმართ, დავარდა დაუსნილობისაგან. ხოლო მეფე შეძრწუნდა,
გ ჲ ყოველნი მონანი მისნი ნუგეშინის ცემდეს მას ✿ ჲ ჰკრქუა მე-
ფემან: რაჲ გნებავს ესთერი, ჲ რაჲ არს სათხოვარი შენი; იყოს
დ შენდა ვიდრე ჲ ნახევარი მეფობისა ჩემისა ✿ ჲ ჰკრქუა ესთერ: დღე
მრავალ სადღესასწაულო დღე არს, უკეთუ უკუჩ სათნო არს მეფი-
სა რათა მოვიდეს მეფე ჲ ამან სერსა ზედა, რომელი ვუო დღეს ✿
ე ჲ ჰკრქუა მეფემან: მოისწრაფეთ მისლვად შემდგომად ამანისა რათა
ვუოთ სიტკუა ესთერისა ჲ მოვიდეს ორნივე სერსა ზედა, რომელი
ვ უო ესთერ ✿ ხოლო სუმასა ზედა ჰკრქუა მეფემან ესთერს; რაჲ არს
ზ ესთერ დედოფალო. ჲ იოს რაოდენი ითხოო ✿ ჲ ჰკრქუა ესთერ:
ჱ სათხოვარი ჩემი ჲ ვედრება ✿ უკეთუ ვპოე მადლი წინაშე მეფისა,
რათა მოვიდეს მეფე ჲ ამან კუალად ხვალისდა სერსა ზედა, რომე-
თ ლი უქმნე მათ ჲ ხვალისად ვუო ესე სათხოვარი ✿ ჲ განვიდა ამან
მეფისაგან ფრიად მხიარული ჲ შუჱბულ. ხოლო იხილა მარდო-
ხე ებრაელი ეზოსა შინა მეფისასა, არა შემძრველი, ჲ არა თა-
ი უუანისცა წინაშე მისსა განრისხნა ფრიად ✿ ჲ მოვიდა სახლსა ში-
ნა თჳსსა. მოუწოდა მეგობართა თჳსთა, დაზოსარს ცოლსა თჳს-
ია სა ✿ ჲ აჩუჱნა მათ სიმდიდრე თჳსი, ჲ დიდება რომლითა ადიდა
იგი მეფემან, ჲ რამეთუ უო იგი უპირველეს ყოფად, ჲ განგებად
იბ სამეფოსა ✿ ჲ ჰკრქუა ამან: არა ვის უწოდა დედოფალმან არცა
ერთსა სერსა ზედა მეფისათანა არამედ ოდენ მე, ჲ ხვალისად, მი-
იგ წოდა მე ✿ არამედ ესე არა არიან სათნო ჩემი, ოდეს ვისჱლო
იდ მარდოხე ებრაელი ეზოსა შინა მეფისასა ✿ ჲ ჰკრქუა მას ზოსარა
ცოლმან მისმან, ჲ მეგობართა: განუმსადე ხე წერთა ორმეოცდა
ათი ჲ ხვალე არქუ მეფესა, რათა მოჰკიდოს მარდოხე მას ზედა,

ხოლო შენ შეგედ მეფისათანა სერსა ზედა ✠ იშუებდი. ✠ სათნო იყო ამანის მიერ სიტყუა ესე, ✠ განუმზადა ხე.

თავი ვ.

ხოლო უფალმან განუკრთო ძილი მეფესა ღამესა მას შინა, ✠ უბრძანა მონასა თჳსსა მოღებად წიგნთა მოსაგსენებელთა დღეთასა, წარკითხვად მისა ✠ ✠ [1]) ჰოვა წერილი დაწერილი მარდოხესათჳს ვითარ მიუთხრა მეფესა ორთათჳს საჭურისთა მეფისათა, ოდეს სცუედს მას, ✠ განიზრახეს მოკულად მეფისა არტაქსარისა ✠ ✠ ჰრქუა მეფემან, რაჲ დიდება ანუ მადლი უქმნენით მარდოხეს, ✠ ჰრქუეს ურმათა მეფესა, არა რაჲ გიქმნიეს მისა ✠ ხოლო ჰკითხა და მეფე კეთილის ყოფისათჳს მარდოხსა, აჰა ამან მოვიდა ეზოსა შინა, ✠ ჰრქუა მეფემან: ვინ არს ეზოსა შინა, ხოლო ამან მოვიდა თქმად მეფისა: რათა მოჰკიდოს მარდოხ ხესა ზედა, რომელიცა განუმზადა ✠ ✠ ჰრქუეს ურმათა მეფისათა: აჰა ამან დგას ეზოსა შინა: ✠ ჰრქუა მეფემან: მოუწოდეთ იგი. ✠ ჰრქუა მეფემან ამანს ✠ რაჲ უყო კაცსა, რომლისა მე მნებავს დიდების ყოფად, ხოლო თქუა თავსა შორის ამან, ვისი ნებავს მეფეს განდიდებად თჳნიერ ჩემდა ✠ ხოლო ჰრქუა მეფესა: კაცისა რომლისა ნებავს მეფესა დიდებად ✠ რათა მოიღონ ურმათა მეფისათა სამოსელი სამეფო რომელსა მეფე შეიმოსს, ✠ ცხენი რომელსა ზედა მეფე ჯდების ✠ ✠ რათა მისცეს ერთსა მეცობართაგანსა მეფისა დიდებულთა, ✠ რათა შემოსონ კაცი რომელი მეფესა უყვარდეს: ✠ შესვან იგი ცხენსა ზედა, ✠ ჰქადაგონ უბანთა ზედა ქალაქისათა იტყოდეს: ესრეთ იყოს ყოველისა კაცისა, რომელიცა მეფემან ადიდოს ✠ ✠ ჰრქუა მეფემან ამანს: კეთილად სთქუ, ეგრეთ უქმენ მარდოხს ებრაელსა, სათნოდ მსახურსა ეზოსა შინა ჩემსა, ✠ რათა არა შეიცვალოს სიტყუა შენი ამათგან რომელი სთქუ ✠ ✠ აღიღო ამან სამოსელი ✠ ცხენი, ✠ შემოსა მარდოხე ✠ შესვა იგი ცხენსა ზედა, ✠ განიყუანა უბანთა ზედა ქალაქისათა, ✠ ქადაგებდა წინაშე მისსა მეტყუელი: ესრეთ იყოს ყოველსა კაცსა, რომლისა ენებოს მეფესა დიდებად ✠ ✠

[1]) ზემოთ. ბ.

მოაქციეს მარდოხე ეზოსა შინა მეფისასა, ხოლო ამან წარვიდა სა-
იგ ხლსა შინა თჳსსა შეჯირვებული მიიდრიკა თავი ✡ ⁂ აუწყა ამან
შემთხუედრული მისი ზოსარს ცოლსა თჳსსა, ⁂ მეგობართა თჳსთა, ⁂
ჰრქუეს მას მეგობართა მისთა ⁂ ცოლმან: უკეთუ არს ნათესავის-
გან ებრაელისა მარდოხე, იწყებ დაშდაბლებად წინაშე მისსა, დაც-
მით დაეცე, ⁂ არა ძალგიც შურ გებად მისი. რამეთუ ღმერთი ცხო-
იდ ველი არს მისთანა ✡ ⁂ კუალად ამასღა რაჲ ეტყოდეს მათ. მოვი-
და საჭურისი, სწრაფად უკმეს ამანს სერსა ზედა, რომელიცა განუ-
მზადა ესთერ.

თავი ზ.

ა ხოლო შევიდა მეფე ⁂ ამან სუმად დედოფლისათანა, ⁂ ჰრქუა
ბ მეფემან ესთერს, მეორესა დღესა შინა სერსა ზედა ✡ რაჲ არს ეს-
თერ დედოფალო, ⁂ რაჲ სათხოველი ⁂ რაჲ ვედრება შენი, ⁂ იოს
გ შენდა ნახევარადღე მეფობისა ჩემისა ✡ ⁂ მიუგო ესთერ დედოფალ-
მან, ⁂ ჰრქუა: უკეთუ ვპოე მადლი წინაშე თუალთა შენთა მეფეო,
რათა მისცე სულსა ჩემსა თხოვისაებრ ჩემისა, ⁂ ერსა ჩემსა ვედ-
დ რებისა ჩემისა ✡ რამეთუ მიცემულ ვართ, ხოლო მე ⁂ ერი ჩემი
წარწუმედასა ზედა, ⁂ წარწყალებისა დაძონებასა შინა, ხოლო ჩუენ
⁂ შვლნი ჩუენნი მონანი ⁂ მკეცალნი, რამეთუ არა არს ღირსი ეშმაკი
ე ეზოსა მეფისასა, ⁂ ჰრქუა მეფემან ✡ ვინ არს ესე, რომელმან იკა-
ვ დრა ყოფად საქმე ესე ✡ ⁂ ჰრქუა ესთერ: კაცი მტერი, ამან ბო-
ზ როტი ესე, ხოლო ამან შეძრწუნდა მეფისაგან ⁂ დედოფლისა ✡
ხოლო მეფე აღდგა თანა რისხვითა სუმისაგან, ⁂ განვიდა მტილსა
ჱ შინა, ხოლო ამან ევედრებოდა დედოფალსა, რამეთუ ხედვიდა თავსა
თჳსსა შეჯირვებასა შინა მეოფსა ✡ ხოლო მოიქცა მეფე მტილი-
საგან, ⁂ ამან შეუვრდა სარეცელსა რომელსა ზედა იყო ესთერ,
ევედრა დედოფალსა. ⁂ თქუა მეფემან: ნუ თუ დედა-კაცსა ძალ-უყოფთ
ყოფს სახლსა შინა ჩემსა, ხოლო ამან ისმინა, იცვალა ჴირითა ✡
ი ხოლო ჰრქუა ვეზირთა საჭურისთაგანმან, ხოლო ამან უწ-
ყოდა, მისთჳს ხე რომელი იხილა სახლსა შინა ამანისასა, ოდეს
მოუწოდდა მას სადილსა ზედა მეფისასა, ⁂ ამისთჳს გამოიკითხა

ერთისა ურმაგანისა, ⁂ ცნა განზრახული, ⁂ თქუა მეფისა მიმართ,
აჰა ⁂ ხე განამზადა ამან მარდოხესათჳს, რომელი იტყოდა კეთილ-
სა მეფისათჳს, დადგას სახლსა ამანისასა ამაღლებული წურთა ორ-
მეოცდა ათი, ⁂ ჰრქუა მეფემან: რათა მოჰკიდონ ამან მას ზედა ✡ ი
⁂ მოკიდეს ამან ხესა ზედა, რომელი განუმზადა მარდოხესა, ⁂ მა-
შინ მეფე დასცხრა გულის წუროებისაგან.

თ ა ვ ი ⅥⅮ.

ძას ღამესა შინა მეფემან არტაქსარ მიანიჭა ესთერს რაჲოდენ- ა
ნი იუნეს ამანისა შემასმენელის მტერისა ებრაელთასა, ⁂ მარდოხე
მოწოდებულ იქმნა მეფისაგან რამეთუ მიუთხრა ესთერ, რამეთუ ნა-
თესავი არს მისი ✡ ⁂ წარიძრო მეფემან ბეჭედი თჳსი რომელიცა ბ
აღიღო ამანისაგან, ⁂ მისცა მარდოხეს, ⁂ დაადგინა ესთერ მარდო-
ხე უოველსა ზედა მონაგებთა ამანისათა ✡ ⁂ შესძინა სიტყუაჲ მე- გ
ფისა მიმართ, ⁂ შეუგრდა წინაშე ფერჴთა მისთა, ⁂ ღმერთსა ევე-
დრებოდა, მიქცეულად ამონის სიბოროტისა, ⁂ განზრახვა მისი რო- დ
მელი განიზრახა ებრაელთა ზედა ✡ ⁂ განიჴორცა მეფემან კუშტ-
თჳსი ოქროსა ესთერზე, სოლო აღდგა ესთერ დადგა წინაშე მეფი- ე
სა ⁂ ჰრქუა ესთერ ✡ თუ სათნო შენი არს ⁂ მიჰოვნიეს მადლი
წინაშე შენსა, წარგზავნე მოქცეულად წერილნი, წარგზავნილნი ამა- ვ
ნისაგან, წარწერილნი წარწუმედასა ზედა ებრაელთა, რომელნი მჴ-
დრობენ უოველსა შინა სამეფოთა შენთა ✡ რამეთუ ვითარ შეუძლო ზ
ხილვად განბოროტებაჲ ერთა ჩემთა, ⁂ ვითარ შეუძლო ცხოვრებად
წარწუმედასა შინა მამეულისა ჩემისასა ✡ ⁂ ჰრქუა მეფემან ესთერს: თ
უკეთუ უოველი მონაგები ამანისა მოგეც ⁂ მოკიდიჭუ შენ, ⁂ ივი
მოჴჭიდე ჴესა ზედა, რამეთუ ჴელნი აღამაღლა ებრაელსა ზედა,
რაჲსა კვალად ითხოვ ✡ დაწერეთ ⁂ თქუენ სახელითა ჩემითა, ვი- ⅰ
თარცა სათნო გიჩნსთ თქუენ, ⁂ დაჰბეჭდეთ საბეჭდავითა ჩემითა,
რამეთუ რაოდენი წერილნი იმეოფებიან მეფობის ბრძანებითა, ⁂
დაიბეჭდებიან ბეჭდითა ჩემითა, არა შესაძლებელარს მათდა წინა
აღმდგომის თქმად ✡ ⁂ მოწოდებულ იქმნეს მწერალნი მეფისა- ⅱ

ნი, [1] ჰირველსა შინა თჳსსა, რომელ არს ნისანი, მოცდა სამესა დღესა შინა, იმასვე წელსა, ⁂ დაწერეს ებრაელთათჳს რაოდენი ამცნო მარდოხ, განმმართველთა მიმართ ⁂ უხუცესთა მიერ მკედართ მთავართა, ჰინდოეთიდგან კერძოთა ვიდრე ეთიოპიადმდე, ასოცდა შჯდთა მკედართ მთავართა ეოველთა შინა კერძოსა, თჳსთაებრ მათთა ენითა ✿ ხოლო დაიწერნეს ბრძანებითა მეფისათა, ⁂ დაბეჭდეს ბეჭდითა მისითა: ⁂ წარგზავნეს წერილნი წიენ მტკიცენი თურთ ✿ ვითარ უბრძანა მათ ცხოვრებად სჯულისაებრ მათისა ეოველსა შინა ქალაქსა, ⁂ რათა შეეწყობდენ მათ, ⁂ რათა ჰყონ წინა მსაჯულთა მათთა, ⁂ წინა ამღმდგომთა მათთა ვითარცა ნებაჳსთ ✿ დღესა შინა ერთსა ეოველსა შორის სამეფოსა არტაქსარისსა, მეათსამეტესა დღესა შინა თჳსსა მეათორმეტისასა, რომელ არს ადარ ✿ ხოლო წარწერილიებისტოლესა ესე იყო. მეფე დიდი არტაქსარ: ჰინდოეთიდგან ვიდრე ეთიოპიადმდე, ასოცდაშჯდთა კერძოთა, მკედართ მთავართა ⁂ მთავართა, ⁂ მათთანა ერთ მბრძნობელთა გისაროდენ, მრავალნი მრავლისათჳს კეთილისა, ⁂ ფრიად ჰატივი კეთილთა საქმეთა, მსწრაფლ აღემაღლენს მშჯდობას ჴერ შეუძლებდეს ტჯრთვად, ⁂ არა გარნა წარმათებათა თქუენდა იძიონ ბოროტის ეოფად, არამედ კეთილის მეოფელთაცა მათ იწყონ გარდასვლა სინა დაცემად, არა თჳნიერ კეთილთა ამაღლებიან მადლითა, არამედ თანა ⁂ შემკულთა ზედა ეოველად სახიერისა საუკუნოსა ღუთისა ⁂ ეოველისა მხილველისა, ამაღლებიან სიმულილითა სიბოროტისათა, ჰგონონ შემსმენელთა სიმართლისასა, კელმწიფებისათჳს მრავალჯერ მრავალთა, სოლო მათ ზედა დაიდგინებიან, ⁂ სარწმუნოთა მეცობართა ზრახვათა ჩუენ ჰატივისცემად ვიწუებთ, ვითარცა ესეცა განვაწესეთ ზიარებისათჳს სისხლთა უბრალოთა ვინათგან შესმენა მიზეზითა მოუთმენელითა, ტკუილითა თანა სიბოროტე ბოროტსა გარდადებისა ვითარცა წინა მხედველთა გუაუწუეს ჩუენ, რომელთან იჳრას შეურუეველად კეთილი მეცნიერებაჲ, ⁂ შუენიერ თქუენდა არს ხედვად, რაჲთა ღენ მჳსლთა შინა, ვითარცა ⁂ აწინდელთა ში-

[1] ებრაელსა ⁂ ულღათში გ თჳსსა შინა რომელ არს საკან.

ნა მეძიებელთა არა ღირსა, მეფობისა ცარიელისათჳს ⁂ კელმწიფებათა, რამეთუ ქმნილ არს წესისაებრ წერილითა მოგეცით, ეგრეთ თქუენცა უარად იხუნით შემდგომად ამათ სჯულეტდეთ, ვინათგან ჩუენ შევმინეთ ⁂ ვქმენით შეცვალებითა, ამისთჳს რათა სამეფო შეურეველად ⁂ მშჯდობით ეგოს, ხოლო არა მაცალი წინაშე ჩუენსა რისხჳთა ძლიერითა დავსაჯნე, ვითარცა ⁂ ესე ამან მე ამადათფუესა მაკედონელისა, ჴელმარიტებისა უცხოსა, ⁂ მესისხლისა სპარსეთისა მრავალად არა ერთ ჯერ ვიცით, ჩუენისათჳს კეთილსა რომელი მაქუნდა ეოველისა მიმართ წარმართისა კაცთ მოყუარებაჲ, უმჯობეს იყო მისა უცხოება, შეძინებად ჩუენდა ესოდენსა შინა, რამეთუ ⁂ წოდებულ ეოფად ჩუენგან მამად, ⁂ თაყუანისცემადისა ეოფად ეოველთაგან კაცთა, ⁂ მეორედ ჰირად მეფობისა საყდრისა დადგინებულ ეოფად, ხოლო აშჳარტაჳანებაჲ საფრჴისა მისისა ვგონე ჩუენისა მთავრობისა ჴუენებულ ეოფად, ⁂ სულისა ჩუენისა ცხოვრებისა, ვითარცა კეთილის მნებებელი ეოველთა მარდოხ, ⁂ შეუგინებელი ესთერ მეფობისა თანა ჰიარი ეოველთა თანა ტომთა ამათ, ფრიად მანქანებათა სურვილითა ვითარცა გარდამაჳალთა, მთხოლე არს მოსჰოლვად, ⁂ ამათი მოწუენდით თჳთ იგი ჰგონებდა კელმწიფებასა სპარსეთისასა მაკედონიად მიღებად, ⁂ ჩუენდა ოკერ ეოფად, ხოლო ჩუენ არა ვჰოებთ შეცოდებასა ებრაელთასა მართალთა წარწუმედად, რომელ არა არიან ძჯრის მოქმედნი, არამედ კაცადცა უფროს მართლითა სჯულითა მოქალაქენი, რომელნი არიან დიდისა მღდელისა ცხოველისა ღუთისა, მეობით წარმართებულისა ჰირველთა მშობელთა ჩუენთა მეფობისა აღშენებასა შინა ნეტარებულთა ჩუენთა, ⁂ ამისთჳს უკუნ კეთილსა უეოფდით მათ, ნუ დახსდებთ მათ ზედა წერილითა ებისტოლისათა ამანისაგან მისა ამადაფუსა, ვინათგან მას ამის სიბოროტისათჳს უბრძანეთ წინა ბჭეთა სუსანისათა მოკიდებად, თანა ეოველითა სახლისწულითა მისითა, განწესებისაებრ ეოველის მჴურობელისა ღუთისა, რომელმან მოსწრაფედ მიაგო მას სასჯელი, ესე ვითარი წერილი ებისტოლისა წარგზავნა, თჳთეულსა შინა ადგილსა, ღირსები-

საბრ მინიჭებად ებრაელთა სჯული მათი თანა მონათესავეთა ქუჸ-
შე განძლიერებად, რამეთუ რათა ჲ წინა აღუდგებოდენ ჟამსა შინა
ჭირსა მათისასა, უმჯობეს ყოფად მათ თანა, დღითგან ათსამმე-
ტისა, თჳსა, მეათორმეტისა რომელ არს ადარ, მისს დღესა შინა,
რომელსა მოჰწერათ ჰირველ თქუჸნ ამან, ხოლო რომელი დაამტ-
კიცა ყოველისა დიდებულისა ღმერთმან. წარწუმედისა წილ მართ-
ლისა ნათესავისა, უქმნა მათ სიხარული, ამისთჳს თქუჸნცა მოჰ-
სენებასა შინა თქუჸნთა დღესასწაულობად, საჩინოთა ზედა დღეთა
მგზავსად ყოველისა გონებისა სიხარულითა ჰყოფდით, ვიდრე აწცა
ჲ შემდგომად ამათ, ათცამეტთა შინა დღეთა ყოველსა შინა სამე-
ფოსა არტაქსარსისა, თუჸსა მეათორმეტესა, რომელ არს ადარ,
იხილეს მეოფთა სუსანსა შინა ებრაელთა განიხარეს, ჲ იო მათ-
და განათლება ჲ შუჸბა ქალაქთა შორის ჲ სოფლებთა, სადაცა
უცთო დაიდვა ბრძანებად მეფისა, სიხარული ჲ შუჸბად ჲ სუძა ებ-
რაელთა იო ჲ მრავალთა წარმართთაგან წინა დაიცჯეს ჲ ებ-
რაელობასა ჰყოფდეს შიშისათჳს ებრაელთასა.

თ ა ვ ი თ.


ა ბ გ დ,ე ვ ზ,ჱ თ ი ია იბ

ათორმეტსა შინა თუჸსა რომელ არს ადარ, მეათსამეტესა
დღესა შინა, მოვიდეს წერილნი მეფისაგან ✿ ჲ მასვე დღესა შინა
წარწუმდებოდეს მტერნი ებრაელთა, რამეთუ არცა ერთიღა წინა
აღუდგებოდეს მათ ჲ ეშინოდა მათ ✿ რამეთუ მთავრობელნი კერ-
ძოთა, ჲ მჱურობელნი, ჲ მეფობათა მწიგნობარნი წარუკითხევდენ
ებრაელთა ✿ რამეთუ შიში მარდოხესა დაცათ მათ ზედა ✿ რომე-
ლი დაიდვა ბრძანებად მეფისა სასჯელებად მისა ყოველსა შორის
სამეფოსა ✿ ჲ სუსან ქალაქსა შინა მოსწუჯდნეს ებრაელთა სუთა-
სნი კაცნი ✿ ფარსანა, ნესთანა, ჲ დელფონა ✿ ჲ ფარსაღანა, ჲ
ფარდაფანა, ჲ ვარეა, ჲ სარვაკანა ✿ ჲ მარმასიმა, ჲ არუფა ჲ
არსეა, ჲ ზაუფეფამა ✿ ათნი მენი ამანელთა ამადაფუასი ვუღუნე-
ლისა მტერისა ებრაელთა, რომელი ფარმაფესაგან, ჲ განძარცვეს
მას დღესა შინა მონაგები მათი ✿ ჲ მოეკლინა მეფესა რიცხჳ მო-
წუჸდილთა სუსანსა შინა ქალაქსა ✿ ჲ ჰრქუა მეფემან ესთერს:

მოსწუჯდეს ებრაელთა სუსან ქალაქსა შინა ხუთასნი კაცნი, ხოლო გარემოს სოფლებსა რაჲოდენსა ჰგონებ წარწუმედულ, ჲ რაჲ-
კუალად ითხოვ, ჲ იოს შენდა ✿ ჲ ჰრქუა ესთერ ძეფესა: რა- იგ
ა მისცეს ეგრეთვე ებრაელთა ყოფად ხვალისა, რამეთუ რათა მო-
ჰკიდოს ათნი მენი ამანისნი ✿ ჲ ბრძანა მეფემან ეგრეთ ყოფად, იდ
ჲ შესძინეს ებრაელთა კარე ქალაქსა მოკიდებად გუამნი ძეთა ამა-
ნისათა ✿ ჲ შეკრბეს ებრაელნი რომელნი იყუნეს სუსანსა შინა, იე
თორმეტსა დღესა ადარისასა, ჲ მოსწუჯდეს კაცნი სამასი, ჲ
არაგინ განძარცვნეს ✿ ხოლო სხუანი ებრაელნი რომელი იყო სა- ივ
ჭიფოსა შინა, შეკრბეს, ჲ თავსა თჯისა შეუწყოდეს, ჲ განისუფლნეს
შოლისაგან, რამეთუ მოსწუჯდეს მათგან, ათხუთმეტი ათასი, ათ-
ძეტს ადარს შინა. ხოლო არა რაჲ წარიტაცეს, ჲ განისუფლნეს
ოთხმეტს დღესა შინა იმასვე თუფლსა ✿ ხოლო წარსწერა მეფე- იზ
ან ყოველსა შორის სამეფოსა თჯისა, რომელი იყო ქუეყანასა
ზედა ჲ ზღუასა ზედა, ჲ ძალისა თჯისისა, ჲ მჯეობისა განგებუ-
ლებისა, ხოლო სიმდიდრისა ჲ დიდებისა მეფობისა თჯისისა, აჴა
წერილ არს წიგნსა შინა მეფეთა სპარსთათა ჲ მიდთა მოსაყენე-
ბელსა ზედა, ოდეს მარდოხ მეორე იყო შემდგომად მეფისა არტაქ-
სრისა, ჲ დიდ იყო სამეფოსა შინა, ჲ დიდებულ ებრაელთაგან, ჲ
ერთა მიუთხრა ქმნილი თჯსი, ყოველსა წარმართსა, ჲ ჰრქუა მარ-
დოხ: ღუთისაგან იქმნა ესე. რამეთუ მოვიჯსენე ჩუენებისათჯს,
რომელი ვიხილე სიტყუათა ამათთჯს, რამეთუ არცა შეესცვალოა
ვან სიტყუჯ, მცირენი წუარო რომელი იქმნა მდინარე, ჲ იყო
ელი, ჲ მზე, ჲ წუალი მრავალი, ესთერ არს მდინარე, რომელი
ჴიბერა მეფემან, ჲ ყო დედოფლად, ხოლო ორი ვეშაპი, მე ვარ,
ამან, ხოლო წარმართნი, რომელნი შეკრბეს მოსპოლვად სახე-
ლისა ებრაელთასა, ხოლო ნათესაჲ ჩემი, ესე არს ისრაელ, მღა-
ვადებელი ღუთისა მიმართ, ჲ გჱსნილნი. ჲ აცხოვნა უფალმან ერი
თჯსი, ჲ გჯჱსნნა ჩუენ უფალმან ყოველთა ამათ ბოროტთაგან ჲ
ქმნა ღმერთმან ნიში ჲ სასწაული დიდი, რომელი არა იქმნა წარმა-
რთთა შორის, ამისთჯს ქმნა ორი წილი, ერთისა ერი ღუთისა,

ბ ერთი ოცეელთა წარმართთა, ბ კაბოეიდა ორი წიღნი ესე კამსს შინა ბ დროსა, ბ დღესა შინა სასჯელისასა, წინაშე ღუთისა ოცეელთა შორის წარმართთა, ბ მოიკსენა უფალმან ღმერთმან ერთჯსი, ბ განამართლა ღირსნი თჯსი ✿ ბ ექმნა მათ დღე ღღესასწაულისა თუჱსა შინა ადარს, მეათოთხმეტესა შინა, ჩა- თხუთმეტესა დღესა თუჱსა იმავესა კრებულთა თანა, ბ სიხარულითა, ბ შუჱბითა წინაშე ღუთისა, ნათესავთა შორის უკუნისამდე ერთა თჯსთა ისრაელისა.

დასასრული წიგნისა ესთერისა. და აქუს თავსა შორის თვისსა თაეი თ.



გეჯდვის შეცდომანი

პირველ ნაწილში.

გვერ.	სტრიქ.		დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
3	1	ზემოდამ	რომელმან	რომელნი
4	12	ქვემოდამ	ცნობა	ცნობად
18	7	ზემოდამ	არფაქს. არამედ	არფაქსად
—	9	—	საულდგ	სულდგ
—	3	ქვემოდამ	სახლი	სახლნი
25	5	ზემოდამ	ბრას	ბრამ
—	11	—	არა დაგიმკუდრო	არა დაგიმკუდროს
72	3	—	ახიარ	ასიარ
76	11	—	თაკლთასა	თაკლთასა
—	12	ქვემოდამ	მამდინელნი	მადინელნი
89	1	—	კაცმან	კაცმან
92	3	—	რამეთუ	(არ უნდა)
93	4	—	მამან	მამამან
120	12	ქვემოდამ	ბრძანებით	გრძნებითა
158	7	—	და იყო.	და ადგა
161	4	ზემოდამ	კითარი	კითარძი
—	7	ქვემოდამ	ათორმეტისა	ათორმეტისა
164	8	ზემოდამ	მთასა	მთასა
186	10	ქვემოდამ	ქვეშემო	შინაგან
241	8	ზემოდამ	მონა,	მონაგებად
279	12	ქვემოდამ	სურისადისი	ძისა სურისადისი
305	3	ზემოდამ	და სამრხვად	დასამრხვად
360	13	—	ისხნე	შეკთუ ისხნე
375	6	—	კიდრე	კერ
376	1	—	მინა	შინა
386	9	—	ყარყანცი	ყარყანტი
428	11	ქვემოდამ	ბჭეთა	ბეჭთა

გვერ.	სტრიქ.		დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
475	2	ქვემოდამ	საწანებულისათა.	საწამებულისათა
482	15	—	ღუთითისა	ღუთისა
496	12	ზემოდამ	ადო.	აოდ
—	13	ქვემოდამ	ადო	აოდ
504	4	ზემოდამ	კტუო-	კტუოდა
528	15	—	სულითა	რომლითა
562	1	—	სასდომლებთა	სასხდომელებთა
597	5	ქვემოდამ	ჭრუაჲ	ჭრჭუაჲ
—	1	—	შმან	მამამან
601	11	—	გარანა	გარნა
620	3	ზემოდამ	ნაბან	ნაბალ
639	11	ქვემოდამ	იდი	წილი
654	13	—	ისიდა	იხიდა
662	7	—	იო	იო
670	8	ზემოდამ	კოკელი	ოკოკლი
672	10	ქვემოდამ	წუალობა	წუალობა
673	8	—	მოყუსანი	მოგუსრნა
674	4	ზემოდამ	კუნზიდისა	ბერზიდისა
675	14	ქვემოდამ	და მოკიდნენ	დამოკიდნეს
—	10	ზემოდამ	გული	ბუნი
676	4	ქვემოდამ	უარალო	უბრალო
—	—	—	დრუკსა	დრკუსა
677	12	ზემოდამ	შუწუშე	ჭუწუშე
678	12	ქვემოდამ	შობისა	შუბისა
679	13	ზემოდამ	უცსო	უცხო
682	15	—	გიმოკიდა	გამოკიდა
684	3	—	თჯსნი	თჯსთა
691	14	ქვემოდამ	შერგანა	შეგრგნით
703	9	ქვემოდამ	გარდასადებელდა	გარდასადებელა
704	9	ზემოდამ	მთისა	მთსა
—	14	ქვემოდამ	ოთნი	ოთხნი
—	7	—	ბორთალი	ბორბალი
—	3	—	ოთნი	ოთხნი
705	9	ზემოდამ	მეხოთისა	მეხოთითისა
—	11	—	ხუთსი	ხუთნი
706	2	—	მარცუწნით	მარჯუწნით
—	7	—	შინაგა	შინაგან

გვერ.	სტრიქ.		დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
710	1	ზემოდამ	კკლ იშუნი .	. . კკლი შუნი
720	7	ქვემოდამ	და მასკკდ .	. . დამასკკდ
725	12	—	ანუ . .	. . ანუ
726	9	—	იერობუამს .	. . იერობუამ
808	9	ზემოდამ	გარ . .	. . ხარ
810	12	—	სამუალ .	. . სამუალ
816	2	ქვემოდამ	გაბაათგან .	. . გაბაოთგან
878	10	ზემოდამ	დადაეთისა .	. დაეთისა
879	13	—	შურსა . .	. ურსა
880	8	ქვემოდამ	მჯაარნი .	. მოაჯარნი
888	7	—	სანი . .	. სამი
900	14	ზემოდამ	საფასნე . .	. საფასალმუნე
928	2	—	კოელითა .	. ოკელითა
962	2	ქვემოდამ	კურძოს	. . კურაოს
997	2	—	ას, .	. . მნას,
1001	11	ზემოდამ	შეაბითი	. . და შაბათი
1007	1	—	მისა . .	. . მისა
—	6	ქვემოდამ	მადრანდმდე	. . მაღნარადმდე
009	3	—	კორნი.. .	. . ორნი
014	14	—	თჯთა . .	. . თჯსთა
045	10	ზემოდამ	კზდრისა. .	. . კზდრა
046	3	—	ხუთ . .	. . სუთ
48	7	ქვემოდამ	თქნგან . .	. . თქუფნგან
63	10	ზემოდამ	განკოფანი .	. . განუოფანი
3	14	—	რომკლიცა .	. . რომკლისცა
7	14	ქვემოდამ	კკლთა .	. . კკუთა

სარჩევი

პირველი ნაწილისა

გვერდი

წიგნი პირველი შესაქმე მოსესი 1
წიგნი მეორე გამოსვლათა მოსესი 108
წიგნი მესამე ლევიტელთა მოსესი 194
წიგნი მეოთხე რიცხვთა მოსესი 260
წიგნი მეხუთე მეორე შჯულისა მოსესი. 348
წიგნი მეექვსე ისუსი ძისა ნავესი 435
წიგნი მეშვიდე მსაჯულთა 489
წიგნი მერვე რუთისა. 543
წიგნი პირველი მეფეთა. 551
წიგნი მეორე მეფეთა. 623
წიგნი მესამე მეფეთა 683
წიგნი მეოთხე მეფეთა 759
წიგნი პირველი პრალიპამენონი რომელ არს ნაშთა 824
წიგნი მეორე ნაშთა 883
წიგნი პირველი ეზდრასი 962
წიგნი ნემიასი 984
ი მეორე ეზდრასი 1013
ი მესამე ეზდრასი 1046
ი ტობიასი 1104
ი იუდითისა. 1125
ი ესთერისა 1154